პრეზიდენტი

დასავლეთ საქართველოში დიდი ბაზისური სიმძლავრე იქმნება

19 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა შვეიცარიის „ფინკომიტის" ფირმისა და იტალიის „ზონდელის" კომპანიის წარმომადგენლებს.

აღნიშნული კომპანიები ფოთში თბოელექტროსადგურის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებენ. შემსწავლელ ღონისძიებათა დასრულების შემდეგ, ინვესტორები პროექტის დასაფინანსებლად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს მიმართავენ.

— საქართველოში ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, ადგილზე გავეცნოთ თბოელექტროსადგურის მშენებლობისათვის აუცილებელ პირობებს, გავერკვეთ, რამდენად მომგებიანი იქნება პროექტი, გავეცნოთ ადგილობრივ კანონმდებლობას, შევისწავლოთ ბუნებრივი აირით ელექტროსადგურის უზრუნველყოფის პირობები, ბაზრის პერსპექტივა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას „ზონდელის" კომპანიის საგარეო განვითარების დირექტორმა ანდრეა ტესტიმ.

იხ. მე-2 გვ.

სახელმწიფო მინისტრი

საქართველო და რუსეთი თანამშრომლობის ახალ გზებს მოძებნიან

19 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რუსეთის ფედერაციის ვიცეპრემიერს ილია კლებანოვს. საუბარი დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

* * *

— რუსეთი სტამბოლის ეუთოს გადაწყვეტილებებს დათქმულ ვადაში ერთმნიშვნელოვნად შეასრულებს, — განაცხადა რუსეთის ვიცეპრემიერმა ილია კლებანოვმა 19 ოქტომბერს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან გამართულ შეხვედრაზე. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა და რუსეთის ფედერაციის ვიცეპრემიერმა იმსჯელეს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივაზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დეკემბრამდე, სანამ ორი ქვეყნის სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის მეოთხე სხდომა გაიმართება, საქართველოსა და რუსეთის შესაბამის უწყებათა ექსპერტებმა წინასწარ წარმართული კონსტრუქციული დიალოგისა და შეხვედრათა ფარგლებში, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კომისიის სხდომაზე განსახილველი სავარაუდო სადავო საკითხები.

გიორგი არსენიშვილმა და ილია კლებანოვმა ილაპარაკეს როკის გვირაბის გავლით ჩვენს ქვეყანაში ალუმინის ნედლეულის, კერძოდ, თამბაქოს ნაწარმისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის პრობლემებზე. სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ ტვირთის საქართველოში რეალიზაცია საკმაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, შესაბამისად რუსეთისთვისაც არ არის ხელსაყრელი მათი საქართველოში ტრანსპორტირება. ამ საკითხთან დაკავშირებით ილია კლებანოვისა და გიორგი არსენიშვილის, ორი ქვეყნის სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარეების პოზიცია იდენტურია: კონტრაბანდა, რომელიც ძირს უთხრის ორივე ქვეყნის ეკონომიკას, საერთო ძალისხმევით უნდა დაიძლიოს.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გასული სამშაბათიდან ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 6304 მკითხველი. მათ შორის, 58% აშშ-დან, 32% — საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის
საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International
Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №279 (3680) პარასკევი, 20 ოქტომბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველო ბოლომდე დაიცავს თავის კანონიერ მოთხოვნებს

ყოფილი სსრ კავშირის უძრავ-მოძრავი ქონებიდან საქართველოს კუთვნილი წილის მიღებასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის ვიცეპრემიერის, ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად მყოფი კლებანოვის მიერ გაკეთებული განცხადების გამო ჟურნალისტებთან საუბრისას, 19 ოქტომბერს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

— სამწუხაროდ, არ მომისმენია ამ განცხადებისთვის, მაგრამ არ ვიცი, ვისთვის არის უაზრო ეს მოთხოვნები. ჩვენი მხრივ ეს არის სრულიად სამართლიანი მოთხოვნები. სხვათა შორის, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პირველად არ ლაპარაკობს ამ საკითხებზე. საქართველო ბოლომდე დაიცავს თავის კანონიერ მოთხოვნებს, მიიღოს ის, რაც ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებით, მათ შორის სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დადებული ხელშეკრულებებით გვეკუთვნის.

საქინფორმი.

დღის თემა

ვიღაცა დენს ეთამაშება...

ენერგეტიკოსთა მიზეზით „ფერო" ყოველწლიურად მილიონობით ლარს კარგავს

მთავრობის ბოლო სხდომაზეც (18 ოქტომბერი) ვერ გადაურჩნენ ენერგეტიკოსები პრეზიდენტის „რისხვას". ამჯერად სახელმწიფოს მეთაურის მწვავე რეაქციის მიზეზი გახდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელსაც პრეზიდენტის არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ელექტროენერგიას წლების მანძილზე „ნამცეც-ნამცეც" აწვდიან.

— ამ სხდომის შემდეგ მაინც თუ მოგცეს მაძღრისად ელექტროენერგია? — ვეკითხები საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დავით შალიკაშვილს.

— მოგვცეს, მაგრამ იმის მხოლოდ 40 პროცენტი, რაც ქარხანას სჭირდება.

იხ. მე-4 გვ.

SIC!

ვითომ ღირს ერთმანეთის ძალით მოკვეთა?

ღია წერილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ვლადიმერ პუტინს

ღრმად პატივცემულო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ!

ჩვენ — რუსეთის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მოგმართავთ თქვენ რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

მთელი ბოლო წელიწადი, შეშფოთებით ვადევნებდით თვალს ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას და გვინდა ზოგიერთი მოსაზრება გაგიზიაროთ.

ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ესწრაფვოდნენ და უახლოვდებოდნენ ერთმანეთს ამ ისტორიულ პერიოდში არაერთგვაროვნად განვითარდა... განვლილ-განცდილის მიუხედავად, საერთო ანგარიშით ურთიერთსიმპათიითა და ურთიერთლტოლვით გამოირჩევა. ამ მეგობრობას ადუღაბებს ათიათასობით და ასიათასობით ადამიანთა კავშირურთიერთობა — ოჯახური, ნათესაური თუ მეგობრული. თუ ჩავუღრმავდებით მორეულ წარსულს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქართულმა კინომ, ქართულმა თეატრმა და ლიტერატურამ ბევრი რამ გააკეთა ჩვენი დაახლოებისათვის, ჩვენი სულიერი ნათესაობის დამკვიდრებისათვის. ჩვენ ერთმანეთს ვერ მოგვწყვიტა ვერც 90-იანი წლების დამღუპველი პოლიტიკურმა არეულობამ, ვერც სამხედროებისა და პოლიტიკოსების გაუაზრებელმა მოქმედებამ. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ რუსეთის როლი საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის კონფლიქტში საკმაოდ ორაზროვანი იყო: ფაქტობრივად, ჩვენ ხელი ვკარით ტრადიციულ მოკავშირეს, მაგრამ ამავე დროს უკმაყოფილონი ვართ, თუ შევიტყვეთ, რომ იგი ვიღაცის მხარდაჭერას ეძებს თავისი საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადასაჭრელად. ზემოაღნიშნულმა მოქმედებამ წარმოქმნა სწორედ ერთგვარი გაუცხოება და ეჭვი, მაგრამ სავიზო რეჟიმის შემოღება, ერთი ხელის დაკვრით დაასრულებს ამ ნეგატიურ პროცესს. სამწუხარო ფინალია! განა ამას ესწრაფვოდა რუსეთი, როცა კავშირის ნანგრევებზე აკოწიწებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას! თუ ვაღიარებთ, რომ ამაოა ჩვენი ძალისხმევა?

ობიექტურობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ მთელ წინა პერიოდში ჩნდებოდა უპირატესად ცენტრიდანული იმპულსები — ნაკლებად თუ ლამობდა ვინმე დაახლოებასა და თანამშრომლობას. მაგრამ სწორედ დღეს, როცა ქვეყანაში აშკარად გამოიკვეთა დადებითი ცვლილებები და ცენტრიდანული იმპულსი მომიჯნავე სივრცეზე მზად არის შეიცვალოს ცენტრისკენულით, რუსეთი იღებს გადაწყვეტილებას სავიზო რეჟიმის შესახებ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, კარს იჯახუნებს და აყენებს „სამზერებს" და საკეტებს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს სიტუაცია — მეგობრებთან გათიშვისა და გაუგებრობის სიტუაცია — განსაკუთრებით საგულდაგულოდ უნდა დამუშავდეს და აიწონ-დაიწონოს, რათა პროცესი შეუქცევადი არ გახდეს.

ვხელმძღვანელობთ ჩვენი ხალხის საუკუნოვანი სიბრძნით და დაბეჯითებით გთხოვთ თქვენ, პატივცემულო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, შვიდჯერ გაზომეთ, ვიდრე ერთხელ მოსწყვეტდეთ რუსეთს მთელ მომიჯნავე და მისთვის ახლობელ სივრცეს.

გულწრფელი პატივისცემით და კეთილი სურვილებით,

ირინა არხიპოვა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, **იოსებ ატაბეკოვი** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **ბელა ახმადულინა** — პოეტი, **იური ბაშმეტი** — დირიჟორი, რუსეთის სახალხო არტისტი, **მიხეილ ბოიარსკი** — რუსეთის სახალხო არტისტი, **კამილ ვალიევი** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **იგორ გლებოვი** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **იგორ გოლემბიოვსკი** — გაზეთ „ნოვიე იზვესტიას" მთავარი რედაქტორი, **დანიილ გრანინი** — მწერალი, **იური გულიაევი** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **გიორგი დანელია** — კინორეჟისორი, **ალა დემიდოვა** — რუსეთის სახალხო არტისტი, **მიხეილ დერჟავინი** — რუსეთის სახალხო არტისტი, **ევგენი ევტუშენკო** — პოეტი, **სტანისლავ ემელიანოვი** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **ალექსანდრე კალიაგინი** — რუსეთის სახალხო არტისტი, **ლევ კულიჯანოვი** — კინორეჟისორი, **ლეოპოლდ ლეონტიევი** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **იური ლუბიმოვი** — ტაგანკის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, **ნიკოლოზ მილაშჩენკო** — რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმერ ნაუმოვი** — რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, **ელენე ობრაზცოვა** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, **ვლადიმერ ოგნევი** — მწერალი, **ნიკოლოზ პეტროვი** — კომპოზიტორი, **ანატოლი პრისტავკინი** — მწერალი, **ალექსანდრე პროხოროვი** — ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი, **ვალერი სუბოტინი** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **ოლეგ ტაბაკოვი** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, **პეტრე ტოდოროვსკი** — კინორეჟისორი, **სერგი ფილატოვი** — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **ალექსანდრე ფილიპენკო** — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **გენადი ხაზანოვი** — რუსეთის სახალხო არტისტი, **მარლენ ხუციევი** — კინორეჟისორი, **იური იაკოვლევი** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

„ნოვიე იზვესტია", 17 ოქტომბერი

რეზონანსი:

რუსეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების ეს წერილი რედაქციამ გააცნო საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს.

აი, რა თქვეს მათ:

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 17 ოქტომბერი ქ. თბილისი

გ. რატიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის სოხუმის საყმაწვილო თეატრ „თეთრი ტალღის" დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი **გიორგი რატიანი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

მილოცვა

საქართველოს მშენებლებს

მშენებლობა ქვეყნის მაცოცხლებელი დარგია, მისი ბურჯი და დასაყრდენია. იგი უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში, ქმნის საცხოვრებელ-საარსებო სფეროსა და პირობებს, მრეწველობას, გზებსა და ხიდებს, კულტურისა და დასვენების ობიექტებს, ყოველივე იმას, რაც ჩვენსირგვლივაა. მშენებლის ნახელავი საუკუნეობით ემსახურება ხალხს, მისი გარჯის შედეგზე დიდადაა დამოკიდებული მოქალაქეთა ცხოვრების პირობები, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

დღეს მშენებლებისათვის შექმნილია ახალი პირობები, მოსპობილია მონოპოლიურობა. უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განაპირობებენ მესამე ათასწლეულში მთელ რიგ სიახლეთა ათვისებით მშენებელთა საქმიანობასა და წარსულის მონაპოვართა სრულ ათვისება-გამოყენებას.

საქართველო ამაყობს მშენებელთა შემართებით, თავდადებით, ნახელავით.

დღეს ქალაქებში იქმნება ახალი, დღევანდელობის შესაფერი უბნები და ცალკეული შენობა-ნაგებობები, მრავალფეროვნდება ქვეყანა.

ვულოცავ საქართველოს მშენებლებს ტრადიციულ დღესასწაულს — მშენებლის დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი კვლავაც დაამშვენებენ ახალ საქართველოს ღირსშესანიშნავი ნაგებობებით, კვლავაც შეიტანენ ფასდაუდებელ წვლილს დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინებასა და შემდგომ აყვავებაში.

ე. შევარდნაძე.

გიხაროდენ!

აბასთუმანში 48 ჩვილი დაიბადა

ადიგენის რაიონის კურორტ აბასთუმნის სამშობიარო სახლში ბოლო თვეებში 48 ბავშვი დაიბადა.

— ვცდილობთ მშობიარეებს სათანადო პირობები შევუქმნათ, — გვითხრა მთავარმა ექიმმა გოჩა კაპანაძემ და პალატები შემომატარა, გამაცნო 5 ბიჭისა და ერთი გოგონას დედა.

პატარა საწოლში ორი დღის მზია იწვა; ის 4 კილოგრამი დაიბადა; დედამისი ნინო ტეფნაძე-ფეიქრიშვილი მესხების სოფელ უნწადან ჩამოიყვანეს, ხოლო მესხურ სოფელ უდედან ელზა პეტაშვილ-მაქანდარაშვილს აქ მეორე ვაჟიშვილი შეეძინა.



სოფელ ბოლაჯაურიდან არის აფხაზი მარინე აკვაზბა-აბულაძე. მან ოჯახი პირველი ვაჟიშვილით გაახარა, ჩვილები ჯანმრთელები და საოცრად ლამაზები არიან.

ახალგაზრდა დედებმა „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციასთან დამაბარეს:

— მადლობა სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს გოჩა კაპანაძეს და მის მედპერსონალს ჩვენდამი და ჩვენი ჩვილებისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისათვის. გმადლობთ, რომ მადლიერების გამოხატვის საშუალება თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გვეძლევა.

ლეილა არჩემაშვილი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინფორმაცია

პანკისის ხეობიდან კახეთი განათდება

პანკისის ხეობის სოფელ ხადორში ჩინეთ-საქართველოს ერთობლივი ძალისხმევით ელექტროსადგური შენდება, რომელიც შეძლებს მთელი კახეთის რეგიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას. ამჟამად მიმდინარეობს გზის გაყვანის სამუშაოები, რომელთა დასრულებისთანავე დაიწყება ელექტროსადგურის მშენებლობა.

მაკონტროლებლები შემცირდებიან

საქართველოში სამეურნეო სუბიექტების მაკონტროლებელ ორგანოთა რაოდენობის შემცირება იგეგმება.

როგორც ჟურნალისტებს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა განუცხადა, აღნიშნულ მაკონტროლებელ სტრუქტურათა რიცხვი დაახლოებით 100 ერთეულს შეადგენს. ამჟამად მთავრობაში მზადდება ნორმატიული აქტი, რომელიც რიგი „მსხვილი" მაკონტროლებელი ორგანოების გაუქმებას ითვალისწინებს.

პრემია მედეა მეზვრიშვილს

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით, უკვდავი მწერლისა და მეცნიერის გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია მიენიჭა ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მამულიშვილს მედეა მეზვრიშვილს.

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო მადლობით აღნიშნავს ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის დიდ ღვაწლსა და ამაგს პატარძეულის სახლ-მუზეუმის შექმნისა და დაცვის საქმეში.

მარნეულის აეროდრომის მოდერნიზაციისათვის

მარნეულის სამხედრო აეროდრომის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში თურქეთი აქტიურ დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა თურქეთში საქართველოს სამხედრო ატაშემ თემურ კერესელიძემ, ოთხშაბათს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ თურქულ მხარესთან ხელი მოაწერა შეთანხმებას მარნეულის აეროდრომის მოდერნიზაციის თაობაზე. წინასწარი მონაცემებით, საუბარია რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტზე. კერესელიძის თქმით, წარმატებულად მიმდინარეობს თურქეთში თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძის ვიზიტი, რომელიც შეხვდა სახმელეთო ძალების სარდალს, არმიის გენერალ ჰიმი ოზქოქს, დღეს შეხვდება თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსს, არმიის გენერალ ჰუსეინ ქივრიქოღლუს.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დელეგაცია თბილისში

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მოწვევით, 17-19 ოქტომბერს თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დელეგაცია ამავე სამსახურის დირექტორის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ კომოგოროვის ხელმძღვანელობით.

მხარეებმა განიხილეს ორი მონათესავე სამსახურის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესაძლებლობა ოპერატიული ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთმოქმედებათა კოორდინაციის მიზნით.

საუბრისას ყურადღება გამახვილდა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისა და განმტკიცების პერსპექტივებზე, განსაკუთრებით, ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

დღის კარიკატურა



ვის უნდა 20.000 ????

რეკლამის კვალზე. ვახტანგ კუციას ნახატი.

ისლამური ექსტრემიზმი

ისლამური ექსტრემისტების ორგანიზაციას „მუსულმანი ძმები", რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შედგენილი აქვს ე. წ. „მწვანე ზოლის" გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ყაბარდო-მალყარეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, მორდოვეთი, უდმურტეთი, მარი ელი, ბაშკორკისტანი, თათარსტანი და ჩეჩნეთი დამოუკიდებელ ისლამურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ.

„ნიშანდობლივია, რომ მუსულმანურ სახელმწიფოებად იგულისხმება, აგრეთვე, ყირიმი, სომხეთი, საქართველო, ინდოეთის ქაშმირის შტატი და ლიბანი, რომელიც „შთანთქავს" ისრაელს". („კომსომოლსკაია პრავდა", №193).

უკანასკნელ საათს

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ნაბლუსთან ახლოს გუშინ მომხდარი ახალი შეტაკებებისას ერთი პალესტინელი დაიღუპა.

ამავე დროს გაიხსნა იორდანიისკენ მიმავალი გზების ნაწილი, ღაზის სექტორში კი ფრენები განახლდა საერთაშორისო აეროპორტში.

ისრაელის ხელისუფლებამ ექსტრემისტების შეღწევის თავიდან ასაცილებლად უშიშროების სარტყელი შეინარჩუნა ყველაზე ცხელ წერტილებში.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +3+8;
დღისით +12+17.
მთაში: ღამით +1+6;
დღისით +7+12.
აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +2+7;
დღისით +6+11.
მთაში: ღამით 0+5;
დღისით +2+7.

თბილისში
ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, სუსტი ქარი.
ღამით +5+7;
დღისით +9+11.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

19 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლ.	1	2.8483 ლარი
გერმანული მარკა	1	0.8590 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9650 ლარი
ევრო	1	1.6801 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0706 ლარი

ინტერპანორამა

ბორისის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა [illegible] გუშინ განაცხადა, რომ [illegible] ბრძოლის რეჟიმი [illegible]

შრი ლანკის დედაქალაქ კოლომბოში მუნიციპალიტეტის შენობასთან მომხდარი ძლიერი აფეთქების დროს დაიღუპა 2 და დაშავდა 21-ზე მეტი ადამიანი.

იტალიის ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა მდინარე პოს ჩრდილოეთ რაიონებში. ძლიერი წყალდიდობის გამო ევაკუირებულია 40 ათასზე მეტი მცხოვრები. დაიღუპა 30-ზე მეტი ადამიანი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან...

— გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გაგვაგებინოთ, თუ რა ფუნქციები ეკისრებოდა ძველად საქართველოში კათალიკოსთა სამართალს?

ეთერ ხურციძე, თბილისი.

— კათალიკოსთა სამართალი, კანონები, რომლებიც შეადგინა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებამ XVI საუკუნის შუა წლებში, სამი ნაწილისგან შედგებოდა: შესავალი, კანონთა მუხლები და კრების მონაწილე პირთა ხელრთვები. შეიცავდა 23 მუხლს. ძეგლი სისხლის სამართლის სჯულდებას წარმოადგენდა. დანაშაულთა სახეებიდან აღსანიშნავია მეფის ღალატი, მკვლელობა, კაცის გაყიდვა, ეკლესიის გატეხვა, ქურდობა, რძლის შერთვა და სხვა.

დამნაშავეთათვის დაწესებული იყო მკაცრი სასჯელები: სიკვდილით დასჯა, ხელის მოკვეთა, გაძევება, შეჩვენება და სხვ. კანონთა სამართალი შედგენილი იყო დასავლეთ საქართველოსათვის, მაგრამ იგი მთელი საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილების დამახასიათებელ ძეგლს წარმოადგენდა.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი

დასავლეთ საქართველოში დიდი ბაზისური სიმძლავრე იქმნება

(პირველი გვერდიდან)

აღსანიშნავია, რომ „ზონდელი“ იტალიის ერთ-ერთი უმძლავრესი ენერგეტიკული კომპანიაა და მას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს თბოელექტროსადგურების მშენებლობისა და მართვის გამოცდილება.

„ფინკომიტის“ გენერალური მენეჯერის დომენიკო ბრამიერის განცხადებით, კომპანიებს განსაზღვრული აქვთ ფოთში 108 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა. „ჩვენ ძალზე მიმზიდველად და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველო, როგორც აბრეშუმის გზის საკვანძო ქვეყანა. ამდენად, მთელ ძალ-ღონეს მოვახმართ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას,“– განაცხადა დომენიკო ბრამიერმა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ უცხოური კომპანიების წარმომადგენლები საერთოდ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობითაც დაინტერესდნენ.

საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა იტალიისა და შვეიცარიის კომპანიების ინიციატივას და მხარდაჭერა აღუთქვა სტუმრებს. მან რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოში მათი საქმიანობა წარმატებული იქნება.

საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

მეჩაიეობის აღორძინება ათეულ-ათასობით ოჯახის სასიცოცხლო ინტერესს ეხება

მეჩაიეობასა და ჩაის მრეწველობაში შექმნილი უმწვავესი მდგომარეობის შესახებ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მაჟორიტარ დეპუტატებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს შეხვდა. პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივითა და დავალებით, ამ დარგის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანისათვის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ მოხსენება წარმოადგინა სასურსათო უზრუნველყოფის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ვალერიან ჭანტურიამ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კატეგორიული მოთხოვნით, მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დარგის აღორძინებისათვის 3 მლნ. ლარია გათვალისწინებული. ვალერიან ჭანტურიას თქმით, მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მეჩაიეობის რეგიონებში რეალურად იქმნება ეკონომიკური კრიზისის არასასურველ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში გადაზრდის წინაპირობა. გურიასა და სამეგრელოში, აჭარასა და იმერეთის რაიონებში მეჩაიეობის სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკითხი არა მარტო დარგის, არამედ მოსახლეობის გადარჩენის ტოლფასია, რაც კრიზისის დაძლევის პოლიტიკურ დატვირთვასაც აძლევს და ამ სფეროში ადრე დასაქმებულ ათეულ-ათასობით ოჯახის ელემენტარულ სასიცოცხლო ინტერესებს ეხება.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის განცხადებით ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები ამ დარგში წარმატებით მომუშავე ინდივიდუალური ფერმერებისათვის ხელშეწყობას, პერსპექტიული საწარმოების მუშაობასა და ინვენტარიზაციას უნდა მოხმარდეს. ფერმერებისა და ფაბრიკებისათვის აუცილებელია მომავალი წლის საკრედიტო რესურსების მოძიება, რაც სახელმწიფოს მხრიდან, ხელშეწყობის კიდევ ერთი გარანტია იქნება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა ქვეყნის რამდენიმე რეგიონის დიდი ნაწილისა და გურია-სამეგრელოს მთელი მოსახლეობისათვის სოციალურად გადარჩენის ტოლფასი და ელემენტარული შემოსავლის წყაროა. მანვე აღნიშნა, რომ ეს დარგი 1993 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადდა და მისი აღორძინებისათვის 1998 წელს პარლამენტის ხელშეწყობით გამოიყო 3 მლნ-იანი სუბსიდია. ამ თანხამ მოსახლეობაში დაწყებული ნიჰილიზმის პროცესი შეაჩერა, თუმცა, სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სახელმწიფომ ვეღარ მოახერხა დაფინანსება.

ზურაბ ჟვანიას თქმით, აგრარული კომიტეტის გაფართოებულ სხდომას, რომელზეც სამინისტროების, სააქციო საზოგადოებებისა და ფირმების, ჩაის მრეწველობის მქონე ყველა რეგიონის წარმომადგენელი ესწრება, კონკრეტული შედეგები აუცილებლად უნდა მოჰყვეს. მან რეკომენდაციის სახით, შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებს შესთავაზა შეიქმნას მუშა-ჯგუფები, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის მხრიდან ფუნქციების გადანაწილებას, რაც მოიცავს ამ დარგის გასაღების ბაზრის პოვნასა და დაცვას მეწარმეებისათვის მარკეტინგის გაადვილებას, აგრეთვე, ჩაის წარმოების ახალი პროდუქციის შექმნასა და სხვა კონკრეტულ წინადადებებს. მისივე თქმით, დღეს, გლეხი და ფერმერი არა მარტო ჩაის, არამედ მის მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილის მონეტარიზაციას ვერ ახდენს გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობის გამო. პარლამენტის თავმჯდომარემ მოწვეულ სტუმრებსა და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლებს ამ საკითხზეც გარკვეული პროგრამების მოფიქრება დაავალა. მისი აზრით, უნდა შეიქმნას დეპუტატებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ამ დარგში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, პარლამენტის დადგენილების პროექტს შეიმუშავებს სესიაზე განსახილველად.

• პარლამენტის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.

სახელმწიფო მინისტრი

საქართველო და რუსეთი თანამშრომლობის ახალ გზებს ეძებენ

(პირველი გვერდიდან)

შეხვედრის დასასრულს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა, რომ რუსეთის ვიცე-პრემიერთან ილია კლებანოვთან საუბრის ძირითადი თემა იყო თბილისში, დეკემბერში დაგეგმილი შეხვედრის დღის წესრიგის შინაარსის განხილვა. სავარაუდოდ მასზე სავაჭრო-ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხების პარალელურად იმსჯელებენ ორმხრივი ვალების, აგრეთვე საქართველოს ქონების რუსეთის ტერიტორიაზე (იგულისხმება რუსეთის რამდენიმე რეგიონში საქართველოს კუთვნილი ღვინის ქარხნები), და, პირიქით, რუსეთის ქონების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღრიცხვისა და დაკანონების შესახებ. მოლაპარაკების ფარგლებში ხელს მოაწერენ მთელ რიგ შეთანხმებებს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში.

– საქართველოს დამოკიდებულება მისი პარტნიორისა და დიდი მეზობლისადმი – რუსეთისადმი პოზიტიურია და იმედია, რომ ორი ქვეყნის სამთავრობათაშორისო კომისიის დეკემბერში გამართული მოლაპარაკებაც ასევე პოზიტიურად წარიმართება, იგი ახალი იმპულსი იქნება საქართველო-რუსეთის შემდგომი თანამშრომლობისათვის. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ინტერესი ამიერკავკასიისადმი, კერძოდ, საქართველოსადმი საკმაოდ დიდია. რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგისა და მოლაპარაკების შედეგს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით უნდა მივაღწიოთ, – აღნიშნა გიორგი არსენიშვილმა. – რუსეთის ვიცე-პრემიერთან საუბრისას გამოიკვეთა პოზიცია, რომ დეკემბრის შეხვედრაზე მოლაპარაკება იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ მისი შედეგები მომგებიანი და ნაყოფიერი გახდეს როგორც საქართველოსათვის, ასევე რუსეთისათვის.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2000 წლის 19 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს რკინიგზელთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის მუშაკთა საქართველოს ორდენებით, მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში, ამ დარგის მუშაკთა შრომითი და სამართლებრივი ინტერესების დაცვაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს რკინიგზელთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებით, მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა:

ღირსების ორდენით:

ერმალო ვაშაკიძე – საქართველოს რკინიგზის სამტრედიის პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ღირსების მედლით:

მანანა მერმანიშვილი – თბილისის სავაგონო უბნის პროფკომიტეტის თავმჯდომარე; **დავით მინდიაშვილი** – თბილისის სალოკომოტივო დეპოს პროფკომიტეტის თავმჯდომარე; **დიმიტრი ჩხარტიშვილი** – ბათუმის სალიანდაგო დისტანციის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

გამოეცხადოთ მადლობა:

მანანა ერაძეს – ქუთაისის ელექტრომომარაგების დისტანციის პროფკომიტეტის თავმჯდომარეს; **ცირა თხელიძეს** – სადგურ „რუსთავის“ ინჟინერს, პროფკომიტეტის თავმჯდომარეს; **აკაკი მაზანიშვილს** – გურჯაანის სალოკომოტივო დეპოს მორიგეს, პროფკომიტეტის თავმჯდომარეს; **მარინა მირზაშვილს** – რკინიგზის მედიცინის მუშაკთა გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარეს; **ვახტანგ ულრელიძეს** – სამტრედიის სავაგონო დეპოს პროფკომიტეტის თავმჯდომარეს; **ელენე ჯავახიშვილს** – თბილისის რელსშემდუღებელი მატარებელი №40-ის წამყვან ინჟინერ-ეკონომისტს, პროფკომიტეტის თავმჯდომარეს.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2000 წლის 17 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, მხედრული ვალის მოხდისა და უმწიკვლო სამსახურისათვის, ქართული ავიაციის აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს მედლებით:

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

ელგუჯა დემეტრაშვილი – პოლკოვნიკი, საავიაციო-საბრძოლო ავიაციის უფროსის მოადგილე; **მიხეილ დონაძე** – პოლკოვნიკი, მოიერიშე საავიაციო ბაზის მეთაური; **ტარიელ ხიზანიშვილი** – კაპიტანი, საწვავ-საპოხი მასალების სამსახურის საწვავის გადამზიდვისა და გამმართავ საშუალებათა უფროსი ინჟინერი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

კობა გუგავა – ავიაციის ლეიტენანტი, 44761-ე სამხედრო ნაწილის დაცვის ასეულის მეთაური; **სიმონ ქამერაშვილი** – მაიორი, საჰაერო მოძრაობის მართვის მთავარი ცენტრის მორიგე ოფიცერი, ცვლის უფროსი.

ე. შევარდნაძე.

რეზონანსი

ვითომ ღირს ერთმანეთის ძალით მოკვეთა?

(პირველი გვერდიდან)

ალეკო თავხელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი:

– ქართველ და რუს ხალხს მრავალსაუკუნოვანი კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური უმჭიდროესი ურთიერთობა აკავშირებს ერთმანეთთან. ამ დამოკიდებულებაში ძირითადად ჭარბობდა დადებითი და ორივე ერისათვის სასარგებლო. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში კი რუსეთი და საქართველო ფაქტობრივად ერთ ორგანიზმს წარმოადგენდა დამახასიათებელი წინააღმდეგობებით. პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ უნდა ნიშნავდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურული, ეკონომიკური კავშირების დარღვევას, რამაც არ შეიძლება ზიანი არ მოუტანოს ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. სავიზო რეჟიმი კი ამგვარი უარყოფითი შედეგების გარეშე წარმოუდგენელია, იგი მხოლოდ ჩვენი გათიშვის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

სწორედ ეს გააანალიზეს რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა და მიმართეს რუსეთის პრეზიდენტს. მისასალმებელია მათი მოქალაქეობრივი პოზიცია.

რომან მეტრეველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი:

– ჩემთვის ძალზე მახლობელია ის სული, პათოსი, რომლითაც გაჟღენთილია გამოჩენილი რუსი მოღვაწეების წერილი ვლადიმერ პუტინისადმი.

საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა ქართველ და რუს ხალხებს შორის, მტკიცე ურთიერთობა მეცნიერებსა და მწერლებს შორის. თუ კი რაიმე შეფერხება იყო ოდესმე, ეს პოლიტიკოსების ბრალი იყო. და დღესაც დასანანი იქნება, რომ რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის, ან პოლიტიკური ჯგუფის ამბიციას შეეწიროს დროთა ნაწრთობი მეგობრობა და სიყვარული. მადლობა რუს მოღვაწეებს, რუსეთის ინტელიგენციას, რომელიც ყოველთვის რეალურად აფასებდა ვითარებას და ადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებდა.

სავიზო რეჟიმი – ეს ჩვენი ხალხების ურთიერთობაში დიდი დაბრკოლება იქნება. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არ იქნას იგი შემოღებული.

ნანი ბრეგვაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი:

– ჩემში ეჭვს არასოდეს იწვევდა, რომ რუსეთის ინტელიგენცია სწორედ ასეთ პოზიციაზე იქნებოდა, რადგან მათაც კარგად იციან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ისეთი მეზობელი, მე ვიტყოდი, მეგობარი ქვეყნების ურთიერთობის სტაბილურობა, როგორც საქართველო და რუსეთია. საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ წარმოჩნდა ჩვენი ქვეყნების კულტურათა ურთიერთშეღწევადობის სიკეთე. წლების მანძილზე ყალიბდებოდა მეგობრული ურთიერთობები ამ ქვეყნების ხელოვანთა და მეცნიერთა, სხვა პროფესიის ადამიანებს შორის. მიხარია, რომ სწორედ რუსულმა ინტელიგენციამ აღიმაღლა ხმა ჩვენს ქვეყნებს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების წინააღმდეგ.

მანანა დოიჯაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი:

– დღეს, როდესაც ფართოდ და დაუფარავად ვსაუბრობთ ინტეგრაციის პროცესის დიდ მნიშვნელობაზე, როდესაც ვცდილობთ რაც შეიძლება ნაკლები ბარიერებით შევხვდეთ ადამიანებს სხვადასხვა ქვეყნებში გადაადგილებისას, რადგან ჩვენი დიდი სამშობლო ხომ მთელი დედამიწაა, არასასიამოვნოდ და გაუმართლებლად მეჩვენება საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების ინიციატივა და რაოდენ სასიამოვნოა, რომ რუსეთის ინტელიგენციის ელიტამ ხმამაღლა განუცხადა პრეზიდენტ პუტინს თავისი მოსაზრება ამ საკითხზე – რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ხელოვნური წინაღობის დაკანონება არავითარ სიკეთეს არ მოუტანს ჩვენს ხალხებს, მათ მომავალს. ყოველივე ამას ხომ საუკუნეთა მანძილზე ნალოლიავები კეთილი და, იმავდროულად, საქმიანი ურთიერთობები უდევს საფუძვლად, რისი ხელყოფის მორალური უფლება, ალბათ, არავის გააჩნია. მივესალმები ჩვენი მეგობრების პოზიციას“.

გია ბუღაძე, მხატვარი:

– სავიზო რეჟიმი რუსეთსა და საქართველოს შორის – ამ საკითხის გადაწყვეტისას ყველამ უნდა იხელმძღვანელოს წარსულისა და სამომავლო პერსპექტივით. არავინ არ უნდა დაივიწყოს ის ურთიერთობები – მეზობლური, მეგობრული, ნათესაური და ა. შ., რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა ამ ორ ქვეყანას შორის, არც ის ქარტეხილებია დასავიწყებელი, რომელთაც რუსეთმა და საქართველომ ერთად, მხარდამხარ გაუძლეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ ქვეყნების კულტურულმა ურთიერთობებმა, რომლებიც სასიკეთოდ წაადგა ქვეყანათა განვითარებას ამ რაკურსით, ისევე, როგორც რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებას.

სავიზო რეჟიმის პრობლემაზე არაერთხელ გვიფიქრია და გვიმსჯელია და, ცხადია, გარკვეული პოზიციაც გვაქვს და, თურმე, ამ შემთხვევაშიც ემთხვევა ჩვენი და რუსული ინტელიგენციის შესანიშნავ წარმომადგენელთა მოსაზრებები, რომლებიც ღია წერილის სახით აცნობეს მათ პრეზიდენტ პუტინს, – ისინი სამართლიანად ითხოვენ, რომ არ დაკანონდეს სავიზო რეჟიმი რუსეთსა და საქართველოს შორის. მეგობრული ურთიერთობების განვითარებას ხელი არავინ უნდა შეუშალოს.

ინგლისელები ქართულ ღვინოს სვამენ და საქართველოში დამზადებულ ტკბილეულს მიირთმევენ

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლებს, რომლებსაც შეუყვარდათ ქართული ღვინოები, საქართველოდან მიღებული სხვა პროდუქტებიც ეგემრიელათ. იქ, შეიძლება ითქვას, დაიტაცეს ქართული ტექნოლოგიით დამზადებული საზამთროსა და კაკლის მურაბები. ეს ნუგბარი ინგლისელებს გაუგზავნა წნორის საკონსერვო ქარხანამ, რომელსაც ამას წინათ ეწვივნენ ერთ-ერთი ინგლისური ფირმის ექსპერტები და დადეს საწარმოს პროდუქციის შესყიდვის კონტრაქტი.

ქარხანა არცთუ ისე დიდი ხანია, რაც მწყობრში ჩადგა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად ყოფნის შემდეგ, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა ქალაქ წნორის მერმა მალხაზ მჭედლიშვილმა, იგი შეიძინა თბილისის მეწარმეთა ჯგუფმა. მოკლე დროში განაახლეს ტექნოლოგიური ხაზები, დაიქირავეს 60-ზე მეტი მუშა. ეტიკეტები შეუკვეთეს ბელგიაში, სპეციალური ტარა კი – თურქეთში. პროდუქციის ეფექტიანმა გარეგნულმა სახემ და მაღალმა ხარისხმა იგი კონკურენტუნარიანი გახადა ევროპის ბაზარზე. ქარხნის პროდუქციას ასევე მაღალი შეფასება მისცეს იაპონელმა სპეციალისტებმა, რომლებმაც ამას წინათ დაათვალიერეს ქარხანა და გარიგების დადების სურვილი გამოთქვეს. წნორის საწარმოს პროდუქციის ნიმუშები უკვე გაიგზავნა ამომავალი მზის ქვეყანაში.

მიწას განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება

მიწისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ახლა, როცა ფერმერების გარდა მას პრაქტიკულად სხვა პატრონი არ ჰყავს, მოჰყვა ის, რომ ნიადაგი თითქმის მთლიანად გამოიფიტა. მის აღსადგენად რუსთავში მოქმედმა სააქციო საზოგადოება „აზოტმა“ შეიმუშავა როგორც ნელი მოქმედების, ისე რთული კომპლექსური სხვადასხვა სასუქის წარმოების პროგრამა. მაგალითად, საშემოდგომო მინდორს აუცილებლად სჭირდება აზოტი. გარდა ამისა ყოველ ჰექტარზე საჭიროა 300-350 კილოგრამი ამონიუმის გვარჯილის შეტანა. ახალი სასუქი სწორედ ამ საჭირო კომპონენტებით არის გაჯერებული. ყოველივე ეს კი გაუადვილებს მხვნელ-მთესველს ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების პროცესს. რუსთაველები თავის პროდუქციას უკვე საქართველოს რაიონებში გზავნიან. ახლახან 1500 ტონა პროდუქცია მიიღეს გვალვისაგან დაზარალებულმა რეგიონებმა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ზრუნვა

ფსიქიკური ჯანმრთელობა და შრომა

ასეთი იყო შეხვედრის თემა, რომელიც ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრში ახლახან გაიმართა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს ეძღვნებოდა.

როგორც შეხვედრის ინიციატორმა, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტმა მანანა შარაშიძემ აღნიშნა, ეს დღე კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას, რომ ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ თანადგომასა და ყურადღებას. ფაქტია, რომ ისინი ჩვენში ყველაზე დაუცველი ფენაა და საზოგადოებისგან თითქმის იზოლირებული არიან.

საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს დაეხმაროს ფსიქიკურად დაავადებულებს, რათა მათ იპოვონ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში; აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის, ფსიქიკურად დაავადებულთა ნამუშევრების გამოფენებს, კონცერტებს და ა. შ.

როგორც ქალბატონმა მანანამ თქვა, კლიენტის ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოწერის შემდეგ, მიზანშეწონილია, იგი ჩაერთოს შრომით საქმიანობაში, რაც, თავის მხრივ, მის საზოგადოებაში დაბრუნებასაც ნიშნავს. მსოფლიოში არსებობს ის აპრობირებული მეთოდები, როგორიც არის დაცული სახელოსნო, დაცული სამუშაო ადგილი და პაციენტის მოწყობა ღია შრომით ბაზარზე, ანუ პაციენტის დახმარება სამუშაოს მოძებნაში.

დაცული სახელოსნო შეიძლება იყოს სადურგლო, კაფე, საბაღე მეურნეობა, სტამბა, მაღაზია, სადაც პაციენტები მუშაობენ შეღავათიანი პირობებით: სამუშაო დღე 4-საათიანია, ეხმარება შრომათერაპევტი (საწარმო არ მუშაობს მოგებაზე).

ასოციაციის ხელმძღვანელი თვლის, რომ რეაბილიტაციის კურსის წარმატებით გავლისა და გარკვეული შრომითი უნარჩვევების ჩამოყალიბების შემდეგ, აუცილებელია, პაციენტმა ჩვეულებრივ სამსახურში ნახევარ განაკვეთზე იმუშაოს და მიიღოს ხელფასი, მაგრამ ეს ჩვენთან ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან არ არსებობს რეაბილიტაციის სისტემის შესაბამისი რგოლები, სამსახურის ძებნის სააგენტო ფსიქიკური ავადმყოფობისათვის და რაც მთავარია, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

მზია გოგოძე.

პარტიებსა და ფრაქციებში

არა მე და არა მეო

უკვე დავიღალეთ იმის მოსმენით, რომ აგერ-აგერ, დღეს თუ ხვალ, მემარჯვენე ძალები შეიკრებიან, რომ ასათიანი ბესო ჯუღელთან და „მრეწველებთან“ სულ მალე გაერთიანდება, რომ სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს როგორც ეროვნულ-დემოკრატებთან, ასევე, რესპუბლიკელებთანაც. ხდება პოზიციების მოსინჯვა ქრისტიან-დემოკრატებთანაც და ა.შ. და ა.შ. რეალურად კი ჯერჯერობით არაფერიც არ ხდება. ირინა სარიშვილი-ჭანტურია განმარტავს, – ჩვენ რამდენჯერმე ნაჩქარევი ნაბიჯიც გადავდგით. ამჯერად არ გვსურს ისეთი ბლოკის შექმნა, რომელიც მხოლოდ საარჩევნო ეფექტზე იქნება გათვლილი, გადალახავს თუნდაც 60-პროცენტიან ბარიერს და შემდეგ დაიშლებაო.

მოკლედ, ედპ-ს ლიდერი ამ ეტაპზე უარყოფს რაიმე რეალური სახის მოლაპარაკების წარმოებას პარლამენტს შიგნით თუ გარეთ არსებულ ძალებთან.

ოპოზიციური ძალების ერთ ფრაქციად ან კოალიციად გაერთიანებას აღორძინების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი თარგამაძე ნაკლებად შესაძლებლად მიიჩნევს, მაგრამ თარგამაძის აზრით, პრინციპულ საკითხებზე კონსულტაციებს, საერთო პოზიციის ჩამოყალიბებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მმართველ პარტიაში მიმდინარე პროცესებისთვის მიმართულების მისაცემად. ასე ფიქრობს „აღორძინების“ ერთ-ერთი ლიდერი, მაგრამ როცა მას შეახსენებენ, ხშირად „აღორძინება“ არც მიიჩნევა რეალურ ოპოზიციადო, უპასუხებს, – დამანახეთ სხვა პარტია, რომელიც ისეთ რადიკალურ პოზიციებს იჭერდეს და ისე მიზანმიმართულად და გააზრებულად იცავდეს ოპოზიციის პოზიციებს, როგორც ამას „აღორძინება“ აკეთებსო.

თუ მემარჯვენეებმა ამბიციები დაძლიეს და გაერთიანდნენ, „მოქალაქეთა კავშირს“ თუ არა, ალბათ, „აღორძინებას“ მაინც დაჯაბნიან. თუმცა, დაძლევენ თუ არა ამბიციებს, ეს ჯერ საკითხავია.

თოფაძე თავის მხრივ, არ აპირებს ლიდერობა ვინმეს დაუთმოს. არც ირინა სარიშვილი, დავით ბერძენიშვილი და იელიანე ხაინდრავა აპირებენ მცირე პოლიტიკური გამოცდილების მქონე „მრეწველებთან“ თავის ლახრას. ამბობენ, რომ აკაკი ასათიანი და ასლან აბაშიძე აღარც კი ელაპარაკებიან ერთმანეთს. აბაშიძესთან კავშირი გაწყვიტეს „მრეწველებმაც“. მოკლედ, ასეთია სურათი. ადგილობრივ არჩევნებამდე ჯერ დიდი დროა და, ალბათ, ამიტომაც არავინ ჩქარობს თავისი გადაწყვეტილების გამოცხადებას. არის აზრი, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტმა მემარჯვენეები შეიძლება საბოლოოდ მაინც გააერთიანოს. საწინააღმდეგო მოსაზრებაც არსებობს:

ექსპერტების აზრით, რაც კომუნისტური პარტია დაიმალა, საქართველოში სერიოზული პოლიტიკური პარტია არ შექმნილა. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მოქალაქეთა კავშირი. იმავე ექსპერტების აზრით, ეს ის პარტიაა, რომელიც როგორც მმართველი ძალა, გამაგრებულია სახელისუფლო საშუალებებით. სხვა, ისეთი პარტია, სადაც ყოველდღიური მუშაობა უნდა იგრძნობოდეს, მათი თქმით, არ არსებობს. მეტ-ნაკლებად სერიოზულ ძალებს, რომელთაც ჰქონდათ რაღაც სტრუქტურები, მნიშვნელოვნად არ მიიჩნევენ. ასეა თუ ისე, საქართველოს პოლიტიკურ არენაზე შემოგდებული მომხიბლავი იდეა მემარჯვენე ძალების გაერთიანებისა, ჯერჯერობით რეალურად ხორცს ვერ ისხამს. ყველა, ვინც მემარჯვენედ თვლის თავს, თავის დროზე ხან აქეთ იხრებოდა, ხან იქით. გარკვეული ნდობა პრინციპულობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, დაკარგული აქვთ. თუმცა, ფიქრია ჩიხრაძის აზრით, პოლიტიკოსისათვის იქით-აქეთ გადახრა, სულაც არ არის დანაშაული. ამ აზრს ასე ასაბუთებს, – როცა პოლიტიკურ ჩარჩოში იკეტები, ეს პიროვნულადაც და პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც ძალიან მძიმეაო.

მზია გელენავა.

კონკურსი

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. სამცხე-ჯავახეთის მხარის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი);

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის – 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

● **დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი არქიტექტურული ან ინჟინერ-მშენებლის განათლება;

– სპეციალობით პრაქტიკული საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

– პერსონალის მართვისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;

– რომელიმე დასავლეთევროპული ენის ცოდნა;

– კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა.

კონკურსს ატარებს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები (საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: **380113 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 16, მე-3 სართული. ტელ: 37-79-16; 37-17-15. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს კადრების განყოფილება.**

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 279. პარასკევი, 20 ოქტომბერი, 2000 წელი.

ახლო აღმოსავლეთი

სიცოცხლის უფლება

ამჟამად, ცისქვეშეთში ბევრი რამ იწვევს ადამიანის გაოცებას, ბევრი რამ არის ისეთი, რაც არამხოლოდ გაგაოცებს, ღრმად ჩაგაფიქრებს – ერთი ამათგანი ისრაელის გეოპოლიტიკური მდგომარეობაა, როგორ, რით, თუ არა ღვთის ნებით, ახერხებს ისრაელი არსებობას იმ ქვეყნების, სახელმწიფოების გარემოცვაში, რომლებიც უბრალოდ კი არ ესაზღვრებიან მას, უზარმაზარი ზვირთებივით აღმართულან რეგიონში ამ ყველაზე პაწია სახელმწიფოს გარშემო. არაბული სამყაროს პრესა არც მალავს: მათი მიზანია ამ სახელმწიფოს მოსპობა, განადგურება, ბავშვებს სასკოლო სახელმძღვანელოებში ასწავლიან, რომ მათი, არაბული მიწები დაიკავეს ოკუპანტმა ებრაელებმა, ისინი უნდა გავანადგუროთო.

და ექცევა საფრთხეში დემოკრატია. ის საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს მეცნიერებით, ეკონომიკის წინსვლით, კულტურით ცხოვრებას, ინტელექტის გაღრმავებას, ხოლო თუ უფრო ყოფითად ვიტყვით – შენებას, შვილების კარგად აღზრდას, სწავლას. დემოკრატიის საფრთხეში ჩაგდება კი გულისხმობს ომს, ნგრევას, სისხლს, ლტოლვილობას, კვნესა-ვაებას.

ამას ყოველთვის გაურბოდა ისრაელი, ე. წ. ოსლოს სამშვიდობო პროცესის დაწყების დღიდან კი ამ მისწრაფებამ იმდენად შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რომ სახელმწიფო ლამის ორ, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო.

1992-93 წლებიდან მოყოლებული, სამხედრო თვალსაზრისით ერთობ ძლიერი, ღონიერი ისრაელი ცდილობს არ შეიმჩნიოს, თუ როგორ აღრჭიალებს კბილებს არაბული სამყაროს დიდი ნაწილი, როგორ ნერგავს კაცთკვლას, სისხლისღვრას პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (პგო). ამიტომ ჩამოყალიბდა სახელმწიფოში ორი თეზა:

თეზა პირველი: ებრაული მოთმინებით გავაგრძელოთ მოლაპარაკება, მეზობლები დავიყოლიოთო, შევაჩვიოთ იმას, რომ უნდა ვიცხოვროთ თუ მეგობრულად არა, მეზობლურად მაინც.

თეზა მეორე: ამ სამყაროსთან საუბარი, ურთიერთობა მხოლოდ ერთ ენაზე შეიძლება – ეს არის ძალა. თუ მათს სიძულვილს, პირუმტკიცობას, ძლიერი ძალა არ დაუპირისპირდა, ყველაფერი ამაოა. მრავალმა შეთანხმებამ, ხელშეკრულებამ დაადასტურა, რომ ისინი სისხლისღვრას ესწრაფვიან (რა ნაცნობია ყველაფერი ეს ჩვენი, საქართველოს უახლესი წარსულიდან) განსხვავებული რელიგიური რწმენის ადამიანის მოკვდინება, მათს სულებს ათბობსო.

რეალობამ დაგვანახა, რომ სიმართლე ორივე მხარესაა: ტერორისტები სისხლისღვრას არ წყვეტენ, მშვიდობა, თანაარსებობა მით უფრო სანუკვარია.

ავტობუსში შესული კაცი არ არის დარწმუნებული, რომ იმ ავტობუსიდან ცოცხალი გამოვა, რომ რომელიმე „მსუნთქავი, ცოცხალი ყუმბარა“ თავს არ აიფეთქებს და მთელს ავტობუსს და მის მგზავრებს ნაფოტებად, ხორცის ნაფლეთებად არ აქცევს.

ერთხელ ავტობუსით ხულონიდან თელ-ავივს მივემგზავრებოდი, შვილიშვილები უნდა გამესეირნებინა. ამეკვიატა, არ მომეშვა, ლამის შემჭამა ფიქრმა: აი, ის არაბი, ახლახან ავტობუსში რომ ამოვიდა, თავსაც აიფეთქებს და ამ ავტობუსსაც – ყველას, ყველაფერს ნაფლეთებად აქცევს, ფიქრი, უფრო სწორად შიში საშინელი რამ გახლავთ – თოვლის გუნდასავით იზრდება, მოძლიერდება და, შესაძლოა, ადამიანი ქვეშ მოიყოლიოს როგორც ზვავმა. მეც ასე მიყო – მომერია: შვილიშვილებს ხელი ჩავავლე და ავტობუსიდან გადავედი. იმ დღეს ის ავტობუსი არ აუფეთქებიათ. მაგრამ სხვა ააფეთქეს, სხვა ავტობუსში აქციეს ადამიანები ხორცის ნაფლეთებად.

და ყველაფერი ამის შემოქმედი გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში იასირ არაფატი – იგი აწყობს კაცთახოცვის გეგმებს. სამშობლო ებრაელებისაგან უნდა გავანთავისუფლოთ, დავითის ქალაქი იერუსალიმი ჩვენი უნდა იყოსო! თურმე იუდეა, გალილეა, სამარია, ნეგევი პალესტინელების სამშობლოა და არა ებრაელებისა, თურმე ერი, რომელსაც პირველ საუკუნეში სამშობლოდან ექსორია უყვეს (ვინც ცოცხალი დარჩა!), ერს, რომელსაც რომაელებმა დედაქალაქი – იერუსალიმი გადაუხნეს და სახელიც შეუცვალეს – იერუსალიმი ელია კაპიტალიად მონათლეს, მთელი ისრაელი კი – პალესტინად (135 წლიდან), რათა სამუდამოდ წარეხოცათ სახელმწიფოს, ხალხის ისტორია, არ ჰქონოდა სამშობლოში დაბრუნების უფლება.

რა არ მოხდა მეოცე საუკუნეში, რა კაცობრიული მნიშვნელობის მოვლენები! ამ საუკუნის ერთ-ერთ სასწაულად ებრაელთა მიერ ისტორიულ სამშობლოში მიბრუნება, ისტორიული კერის აღორძინება მიმაჩნია, ის ჭეშმარიტად გმირული, პატრიოტული შრომა, რომელმაც ამ ხალხს უდაბნო წალკოტად გადააქცევინა.

ירושלים
أورشليم (القدس)
Jerusalem

ხალხი დაუბრუნდა თავის ისტორიულ მიწას, კერა გააჩაღა, შვილები დაზარდა, მეცნიერება, ტექნიკა განავითარა. მუსლიმანური სამყარო კი გაიძახის – არა, აქედან უნდა წახვიდეთ, ეს ყველაფერი ჩვენიაო. ზუსტად ის სურათია, რომელსაც კ. გამსახურდია გვიხატავს „დავით აღმაშენებელში“. ეს სათიბები, ეს იალაღები თქვენი კი არა, ჩვენი უნდა იყოს, იმიტომ რომ ჩვენ ბევრნი ვართ და ალაჰი ამის უფლებას გვაძლევსო.

ამ მიზეზის გამო – იმის გამო, რომ ამ მიზნის მიღწევას ტერორით, სისხლისღვრით ცდილობდა, 90-იანი წლების დამდეგამდე ისრაელის არცერთი მოქალაქე იასირ არაფატს არ ელაპარაკებოდა, სახელმწიფო მოღვაწეზე საუბარი ხომ ზედმეტი იყო! მსოფლიო, გარდა კომუნისტური სსრკ-სა, იასირ არაფატს იცნობდა, როგორც სისხლისმღვრელს, კაცობრიობის უკეთესი ნახევრის კარი მისთვის დახურული იყო, მხოლოდ კრემლისა და მისი სატელიტი სახელმწიფოების კარის შეღება შეეძლო, აქ წვრთნიდა თავის ყაჩაღებს (დღეს ეს ყველაფერი რუსეთს ბუმერანგივით მოუბრუნდა: რასაც 70-80-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში ახალისებდა, მისსავე ტერიტორიაზე ხდება), მაგრამ 90-იან წლებში, სსრკ დაშლის შემდეგ, შეიცვალა მსოფლიოს ძალთა განლაგების რუკა. აშშ-ს ისრაელი აღარ სჭირდება, როგორც ახლო აღმოსავლეთში სსრკ-სთან ბრძოლის ფორპოსტი და დაიწყო ე. წ. სამშვიდობო პროცესი. იცხაკ რაბინმა, შიმონ პერესმა ტერორისტი არაფატი პოლიტიკურ პარტნიორად იქციეს. მე მესმის მათი, რუსთაველს უთქვამს, გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო. მაგრამ „გველი ხვრელით“ ვერ ამოიყვანეს.

ბოლო დღეების მოვლენებმა კი ყველაფერი ცხადი გახადა:

29 სექტემბერს ებრაული ახალი წელი – რომ ჰა-შანა დგებოდა. გოდების კედელთან სალოცავად შეკრებილ ებრაელებს ქვა დაუშინეს. გოდების კედელი კი მოგეხსენებათ, სოლომონისეული ტაძრის ნაშთია, სადაც დღისითაც ლოცულობენ ებრაელები და ღამითაც, აბა, წარმოიდგინეთ სასოწარკვეთა ხალხისა, ძვირფასო მკითხველო, ერის უნიკალური ძეგლის გარემოცვაში ღმერთს მშვიდობის წელიწადს რომ ავედრებს, თავს კი – ალ-ქსას მეჩეთიდან ქვა აცვივა, ასეთია მათი მორალი: თუ მათი ლოცვისას რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდება, ქვეყანას შესძრავენ, მსოფლიო აყალმაყალს ასტეხენ, სხვებს კი ქვა და ლოდი უნდა დაუშინონ.

სწორედ ამ ყაჩაღური ფაქტით იყო განპირობებული ის, რომ მეორე თეზის პოლიტიკურმა ადეპტმა, გულადმა გენერალმა არიელ შრონმა (რომელსაც მარშანწინ ბენიამინ ნეთანიაჰუს თბილისში ვიზიტისას, ბების საფლავი ვაპოვნინეთ – მაშინ იგი ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო), მომდევნო დღეს უამრავი ჯარისკაცი, ჟურნალისტი იახლა თან და ტაძრის მთაზე ისე გაიარ-გამოიარა, როგორც ყოველი მოკვდავი უნდა დადიოდეს თავის მშობლიურ მიწაზე. ეს „გაელა-გამოელა“ გახდა სათავე არეულობისა, თითქოს მანამდე სულ თაფლი და რძე ამოსდიოდათ პირიდან.

წინაპირობა. აშშ, პრეზიდენტი კლინტონი, ვიდრე მეუფების ვადა გაუვიდოდეს, აქტიურად ცდილობს მოაგვაროს ახლო აღმოსავლეთის საკითხი. **არ დავმალავ, აშშ პრეზიდენტი გაღიზიანების ღირს ზეწოლას ახდენს ისრაელზე.** ამ ორიოდ თვის წინათ არაფატიცა და ბარაკიც კემპ-დევიდში მიიწვია. ეწადა ვიდრე წავიდოდა, მშვიდობა დაეტოვებინა, კემპ-დევიდში ებრაელი ხალხის უკმაყოფილების ღირს დათმობაზე წავიდა ეჰუდ ბარაკი, თითქოს ახლოს იყო სანუკვარი სამშვიდობო ხელშეკრულება, თითქოს ბოლო უნდა მოღებოდა დაპირისპირებას, მაგრამ არა. არაფატს მშვიდობა არ აძლევს ხელს, არაფატს არეულობა, დაძაბულობა უფრო აძლევს ხელს, ვიდრე სტაბილურობა. იგი იმ სამყაროს წარმომადგენელია, რომელშიც არეულ წყალში იჭერენ თევზს. ამიტომ ვერ შეთანხმდნენ, უფრო სწორად არაფატმა თქვა უარი შეთანხმებაზე, რასაც ჯერ აშშ პრეზიდენტის, მერე კი ევროპის სახელმწიფოთა ნეგატიური დამოკიდებულება მოჰყვა. არაფატმა იგრძნო, რომ გამიშელდა, მსოფლიომ დაინახა: მისი პოლიტიკა მშვიდობას, კეთილმეზობლური ურთიერთობისაკენ სწრაფვას კი არა, სისხლისღვრას ემყარება – ამიტომ არიელ შარონის ტაძრის მთაზე გასეირნებას ძალადობის ესკალაციით უპასუხა.

და დაიწყო ქვასროლიათა ბუნტი. ჯარისკაცებს, ქუჩაში გამვლელ, თუ შეკრებილ ებრაელებს ქვებს ესვრიან, იციან: ჯარისკაცებს ნაბრძანები აქვთ არ უპასუხონ ქვასროლიების შემოტევას. ამგვარი „მშვიდობიანი აქცია“ ჩვენც შეგვეხო – 8 ოქტომბერს ბორის ჯანაშვილი – საქართველოდან 1972 წელს რეპატრირებული, როგორც ისრაელის პრესა წერს, ერთობ კეთილშობილი ადამიანი, საქორწინო დარბაზ „პოლივუდის“ მეპატრონე ბორის ჯანაშვილი შინ ბრუნდებოდა. მას „მშვიდობიანი აქცია მოუწყვეს“ – ქვა დაუშინეს. დაიღუპა ოთხი შვილის მამა.

მომდევნო დღეს ქალაქ შხემში შეურაცხყვეს იოსებ წინასწარმეტყველის საფლავი.

12 ოქტომბერს კი იერიხონში დაწვეს სინაგოგა, რომელსაც 3200 წლის ისტორია აქვს.

ბარბაროსი ყოველ საუკუნეში ბარბაროსად რჩება. იცვლება დრო, ფორმაცია ფორმაციას სცვლის, ბარბაროსთა ბუნება კი არ იცვლება, ისინი ყველგან ერთნაირნი არიან – იქნებიან იუდეასა თუ აფხაზეთში – ანგრევენ ისტორიულ ძეგლებს, სპობენ ყოველგვარ ნაშთს ძველის რაობისა. იოსებ წინასწარმეტყველის საფლავის დანგრევა ხომ უპირველესი დასტურია იმისა, რომ სწადიათ მოსპონ დასახლების ებრაული სახე, მოსპონ ცივილიზაცია.

3200 წლის ისტორიის მქონე სინაგოგის დანგრევა ხომ იმის მაუწყებელია, რომ... აქ, რაც არ უნდა დავწერო, ნოდარ დუმბაძეზე უკეთ ვერ ვიტყვი: „გადაურევია გამჩენს და მე რაღა გითხრა!“

იმავე საღამოს საშინელი ცნობა მოვიდა: პალესტინელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს: უაზრობაა დემოკრატიის ენით ელაპარაკო მათ – ქვასროლიებმა ქალაქ რამალაჰში ორი ებრაელი ჩაქოლეს, წამებით მოჰკლეს, მერე მათი გვამები მანქანას გამოაბეს და ქალაქის ქუჩებში ათრიეს.

რა ბედნიერი იყო ამ წუთებში ეს უბედური, საბრალო ბრბო!

ისრაელი კი არასოდეს უპასუხოდ არ ტოვებს თავისი მოქალაქეების ბედს: რამდენიმე წუთში მიწასთან გაასწორა რამალაჰის საპოლიციო უბანი, გარაჟი, რომლიდანაც ის მანქანა გამოიყვანეს, გვამები რომ ათრია, არაფატის რეზიდენცია.

ზოგიერთმა ტელეკომპანიამ კი მაყურებელს მიაწოდა ინფორმაცია ისრაელელებმა რამალაჰის პოლიციას, არაფატის რეზიდენციას წერტილოვანი ცეცხლი დაუშინაო.

კადრი: ტირიან, მოსთქვამენ, მიმორბიან „საბრალო“ პალესტინელები.

ასეთია მათი სიმართლე! როგორც ჩანს, ისრაელს მხოლოდ არაბული სამყაროს ბნელ ძალებთან არ უწევს ბრძოლა...

17 ოქტომბერს შარმახ-შეიხში მოსალაპარაკებლად დასხდნენ. თითქოს დაზავდნენ, მაგრამ რამდენდღიანია ეს დაზავება, რა პერსპექტივა აქვს მოლაპარაკებას ადამიანების იმ ჯგუფთან, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ყოველ კვირაში არღვევს მოლაპარაკებას. ამ დღეებში იასირ არაფატმა საპყრობილეებიდან გამოჰყარა 60 ხამასელი ტერორისტი. ვინ არიან ეს ტერორისტები, რომლებიც ერთმა ქართულმა გაზეთმა მეამბოხეებად მოიხსენია? ესენი არიან ისინი, ვინც იერუსალიმის ბაზარში ხილისა თუ თევზის საყიდლად მისული, ავტობუსის მგზავრები, ან ქუჩაში მოსიარულენი ხორცის ნაფლეთებად აქცია. მათსავე მიერ აფეთქებულ ყუმბარებთან ერთად თავადაც ასევე იქცნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ალაჰი დაუფასებს სხვა რწმენის ადამიანების მოკვდინებას.

აი, ვისი თავისუფლებისათვის იბრძვის იასირ არაფატი!

გურამ ბათიაშვილი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

რა ხდება ენგურის გაღმა განათლების სისტემაში?

კულტურული გენოციდი გალში

ლარბაზში მყოფთ ყველას ერთნაირად აწუხებდა საქართველოს ძირძველი კუთხის – აფხაზეთის დღევანდელი სატკივარი, სადაც ქართველთა ფიზიკურ გენოციდს, ადგილზე დარჩენილთა კულტურული გენოციდიც მოჰყვა. დღეს ქართველობას აღელვებს აფხაზეთში, გალის რაიონში მცხოვრები ნორჩი თაობის სწავლებისა და აღზრდის პროცესი.

საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით შექმნილმა დროებითმა კომისიამ იმსჯელა სწორედ ამ საკითხზე: „აფხაზეთში ქართული ენის სტატუსისა და მშობლიურ ენაზე განათლების მდგომარეობის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ თავიდანვე დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რამ განაპირობა ამ საკითხის მეორედ განხილვა (პირველად 1997 წელს) – საქართველოს კონსტიტუციამ, რომელმაც ქვეყნის სახელმწიფო ენად ქართული და აფხაზური ენები დააკანონა.

დასახელდა უამრავი ფაქტი. 1992 წლიდან სეპარატისტული რეჟიმის კონტროლირებად ტერიტორიაზე როგორ აიკრძალა ქართული ენა სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში, როგორ დაიხურა და გაიძარცვა ქართული სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები, როგორ განადგურდა ქართული წიგნები, სასკოლო სახელმძღვანელოები. არსებულმა რეჟიმმა როგორ გააუქმა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეგრეთ წოდებულ აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (1994 წ. 26 ნოემბერი) დაფიქსირდა კიდეც, რომ აფხაზეთში სახელმწიფო ენაა აფხაზური. რუსული ენა აფხაზურთან ერთად არის მიღებული სახელმწიფო დაწესებულებების სამუშაო ენად: 1991-1992 სასწავლო წელს აფხაზეთში ფუნქციონირებდა 235 ქართული და შერეული ზოგადსაგანმანათლებლო, არასრული, დაწყებითი სკოლა, ქართულ-სომხური სკოლები, ქართული საშუალო-სპეციალური სასწავლებლები, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იოანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (ქართულ-რუსული სექტორები), მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქართულ-რუსულ-აფხაზური სექტორები), ქართული და ქართულ-სხვაენოვანი სკოლამდელი დაწესებულებები.

...ამჟამად აფხაზეთში არ არსებობს არც ერთი ქართულენოვანი დაწესებულება, ორგანიზაცია, არასასურველი გახდა ქართულ ენაზე საუბარი, ტოტალურად იდევნება მცირედი სიმპათიების გამოხატვაც კი საქართველოსა და მისი ხელისუფლებისადმი. მთლიანად შეცვალეს ტოპონიმიკა, ქუჩების დასახელება; ფალსიფიცირებულია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ცდილობენ შეზღუდონ საქართველოს საინფორმაციო საშუალებები... 1993-1998 წლებში გალის რაიონში დაწვეს, გაძარცვეს და გაანადგურეს თითქმის ყველა სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება.

1994 წლის ბოლოსათვის აფხაზეთის რეჟიმის მოთხოვნით გალის რაიონში (ასევე გალის რაიონის იმ სკოლებში, რომლებიც ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებისათვის მიერთებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ) სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს ულტიმატუმის წესით მოსთხოვეს სწავლების გადაყვანა რუსულ ენაზე, აფხაზურის, როგორც სასწავლო საგნის შემოღება. სკოლების გარკვეული ნაწილი აიძულეს, მიეღო აფხაზეთის ეგრეთ წოდებული განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამები, რუსეთის ფედერაციის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები და სასკოლო ჟურნალები, ასევე საშუალო განათლების ატესტატები. რაიონის სკოლებში აიკრძალა საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლება;

რაიონის მოსახლეობის რუსიფიკაციისათვის ნიადაგის მომზადებას დღეს იქ არსებულმა რეჟიმმა პრინციპულად მოჰკიდა ხელი დაწყებით კლასებში, ბუნებრივია მათი მიზანიც, ერთი სრული სასკოლო ციკლის შემდეგ ყველა სკოლა მთლიანად იქნება რუსულენოვანი; ახალ თაობას არ ეცოდინება მშობლიური ენა, მოსწყდება ტრადიციულ სოციალ-კულტურულ სივრცეს, შეიცვლის მსოფლმხედველობას, ორიენტაციას და მოხდება ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე თავის დროზე გვაფრთხილებდა და არც ახლაა დასავიწყებელი: „...საერო სკოლის ადგილობრივი, ერთობლივი ელემენტი არის, ესე იგი ის ბუნება, ის ერი, ის ყოფაცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდს და რომელთა შორისაც ბავშვი ტრიალებს და ცხოვრობს სულითა და ხორცით დაბადების დღიდანვე“.

აფხაზური ადმინისტრაცია ქართული სკოლების რუსიფიკაციაში წინააღმდეგობას წააწყდა, არ ჰყავთ რუსული და აფხაზური ენის მცოდნე სპეციალისტები.

გალის რაიონის ქართული მოსახლეობისათვის მშობლიური ენის აკრძალვა, როგორც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ აღიარებული ნორმის ხელყოფა, ეროვნული ნიშნით დევნა, ეთნიკური წმენდის კონკრეტული გამოყენება, საქართველოსა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, მათ შორის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის ინიციატივით მრავალჯერ განიხილება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ; საერთაშორისო, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებში, მაგრამ მას საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია.

სეპარატისტული რეჟიმი ქართული მოსახლეობის მიმართ ახორციელებს კულტურულ (ინტელექტუალურ) გენოციდს. ქართველ ბავშვებს, მოზარდებს აიძულებენ ისწავლონ არამშობლიური ენები (რუსული, აფხაზური), თუმცა, აფხაზეთში შენარჩუნებულია სომხური და სხვა სკოლები. ფაქტობრივად, ამჟამად გალის რაიონში არ არსებობს ნებადართული არც ერთი ქართული სკოლა. **1994 წლიდან აფხაზეთში არ ჰყოლიათ არც ერთი ქართველი პირველკლასელი,** ასე რომ, სახეზეა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ მიღებული ისეთი ნორმის ხელყოფა, როგორიცაა მშობლიური ენის გამოყენების უფლება, მშობლიურ ენაზე სწავლების უფლება, რომელიც რეაგირების გარეშე რჩება აფხაზეთში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტს, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს საქართველოში. მოსაგვარებელია ენგურგაღმა სკოლების მასწავლებელთა (სასკოლო პერსონალის) შრომის ანაზღაურების საკითხიც. რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მოთხოვნა ქართული ენის სტატუსის აღდგენის, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესახებ.

აფხაზეთის ეგრეთ წოდებული განათლების მინისტრის ვ. დბარის განცხადებით, რაც მან საქართველოს განათლების მინისტრთან ალექსანდრე კარტოზიასთან სოხუმში შეხვედრაზე დაადასტურა, რომ სეპარატისტთა კონსტიტუციის შესაბამისად გალის რაიონის სკოლებში სწავლება აფხაზურ და რუსულ ენებზე ხორციელდება, ქართული ენის აკრძალვის დამატებით არგუმენტად მას თბილისში შედგენილი ისტორიის, გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში აფხაზეთის სინამდვილის დამახინჯება მიაჩნია. ცალკეული სახელმძღვანელოების მიმართ გამოთქმული პრეტენზია არ უნდა იყოს იმის საფუძველი, რათა აიკრძალოს მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, სხვა საბუნებისმეტყველო საგნების მშობლიურ ენაზე სწავლება. შორსგამიზნულობის ერთ-ერთი დასტურია გალში დაწყებითი კლასების რუსულ და აფხაზურენოვანი პედაგოგ-სპეციალისტების მომზადების კოლეჯის გახსნაც. თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილემ ვახტანგ გასვიანმა, პარლამენტარმა გენო კალანდიამ, პროფესორმა მურმან ბერიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ლტოლვილთა საკითხების კომისიის თავმჯდომარემ ეთერ ასტემიროვამ, პარლამენტარმა გია გვაზავამ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს რწმუნებულმა გუდაუთის რაიონში ილია არქანიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა თამაზ ხუბუამ და მურმან კვარაცხელიამ, გალის განათლების განყოფილების გამგემ მოთა ბულიამ, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა საქართველოში დიტერ ბოდენმა (მან ბოდიში მოიხადა, რომ გაეროს 29 ივლისის რეზოლუციის გამო კოფი ანანის მოხსენების ტექსტში აღმოჩნდა: „გალის რაიონის სკოლებში მეგრელი ბავშვებიც სწავლობენ“), აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ, საქართველოს საპარლამენტო უმცირესობის ფრაქცია „XXI საუკუნის“ წევრმა ჯემალ გამახარიამ, საქართველოს განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ამაღლობელი.

ნათელა ფაილოძე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

თვალსაზრისი

უქნარობით ნუ გადავჯიშდებით

საქართველოს ღმერთმა იშვიათი ბუნებრივი სიმდიდრე უბოძა, რასაც ოდითგან ჩვენი ქვეყნის დაპყრობის ჟინით აღვსილი მომხდური. რა არ იწვნია ჩვენმა წინაპარმა, მაგრამ მამულის სიყვარულით გაჯერებულმა რწმენამ ყოველგვარი გასაჭირი გადაატანინა, გააძლებინა, აქამდე მოიყვანა.

მუყაითი შრომით კი მუდამ ხვავ-ბარაქიან სამშობლოს უტოვებდა ქართველი შთამომავლობას. სწორედ ამგვარი სულისკვეთებით ნასაზრდოებმა სულმა ამოიმღერა ყველას გასაგონად: „ქვეყანა საგარჯილოა, ზარმაცი სასაცილოა“.

თაობები ვალში ვართ ამგვარად მოაზროვნეთა ნათელი ხსოვნის წინაშე.

სამწუხაროდ, ჩვენ არა თუ ვერ შევძელით შეგვენარჩუნებინა მოპოვებული, არამედ მრავალი საუკეთესო ტრადიციაც კი მივივიწყეთ...

ყველამ პოლიტიკოსობა და სხვისი საქმიანობის გარჩევა დაიწყო და ეს მაშინ, როცა აბსოლუტურ უმრავლესობას ამ საქმისა არც არაფერი გაეგება და არც არაფერი ესმის...

ხშირად უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ ისეთი ადამიანები ლაპარაკობენ და ბჭობენ, რომლებსაც საკუთარ ეზოშიც კი ერთი ძირი ხე არასოდეს დაურგავთ, სანიაღვრე არხი არ გაუწმენდიათ და საკუთარი სახლის წინ დაგროვილ ნაგავს, გატანის ნაცვლად, ყოველი გაელა-გამოელისას გულგრილად გადააბიჯ-გადმოაბიჯებენ.

სხვისი შრომა რომ დააფასო, თვითონ უნდა იცოდე შრომის ფასი, უმადურობის სენით არ უნდა იყო შეპყრობილი, ერთმანეთის მხარში დგომა, ურთიერთპატივისცემა უნდა იცოდე. მაშინ გვექნება ყოველგვარი საქმიანობა მოწესრიგებული, მტერიც დაგვაფასებს და მოყვარეც.

პატრიოტიზმი ფართო ცნებაა და იგი ნებისმიერ ქმედებაში ვლინდება, უპირველესად კი – სამშობლოს სიყვარულში. მაშინ, როდესაც საქართველოს თავისი რესურსებით ყველა პირობა აქვს მსოფლიოს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების რიგში იდგეს, რატომ უნდა შემოჰქონდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტები სხვა ქვეყნებიდან? მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო და თითოეული ოჯახი იმდენ დოვლათს კი დააგროვებს არა მარტო საკუთარი თავი არჩინოს, არამედ სხვასაც გაუნაწილოს ლუკმა. აკი შეგვიძლია კიდეც მარცვლეულის, ბოსტნეულის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, მეფრინველეობის, მეთევზეობის, მეაბრეშუმეობის ჩინებულად გაძღოლა.

ჩვენნაირი ბუნებრივი პირობების მქონე კი არა, უდაბნოში მცხოვრები ხალხი ახდენს სასწაულებს და ჩვენ რაღა დაგვემართა? მაგრამ შრომა უნდა ამას ყველაფერს, მუხლჩაუხრელი შრომა და არა ბრტყელბრტყელი ლაპარაკი...

ჩემი გულწრფელი მიზანია, საქართველოს ყველა მოქალაქემ, ოჯახმა, სოფლის თავკაცმა, პატარა და დიდმა ხელმძღვანელმა შრომითი ჩვევების აღდგენაზე ვიფიქროთ და ვიზრუნოთ, მივხედოთ ჩვენს საქმეს და თავი დავანებოთ უსაგნო „პოლიტიკოსობას“.

ზურაბ კომახიძე.

ეროვნება–მოქალაქეობა–ქართული

ეროვნების რეკვიზიტთან დაკავშირებული კამათი, რომელიც თითქმის ორი წელიწადია გრძელდება პარლამენტში, კონსენსუსით მთავრდება. 18 ოქტომბერს სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში განიხილეს კანონპროექტი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ კომიტეტმა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ზოგიერთ დოკუმენტში და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში გაკეთდეს შემდეგი ჩანაწერი: ეროვნება – მოქალაქეობა–ქართული. სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა აღნიშნულთან დაკავშირებით გაითვალისწინა იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის დასკვნა. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას პრინციპში კომიტეტში გაერთიანებული ყველა ეროვნების დეპუტატი დაეთანხმა.

– წარმოდგენილი ფორმა ესაა ეროვნება მოქალაქეობის გაგებით. ამ ფორმის შემოღებით საშუალება გვეძლევა ერთიან მოდელში მოვაქციოთ დოკუმენტთა სისტემა, – განაცხადა სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ გელა კვარაცხელიამ.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის გადაწყვეტილება მსოფლიო გამოცდილებაზეა დაფუძნებული და მრავალი ქვეყნისთვის მისაღები ფორმის ანალოგიურია. მაგალითად, საფრანგეთში დოკუმენტებში ასეა დაფიქსირებული: ეროვნება – მოქალაქეობა – ფრანგული.

კომიტეტში განხილულ კანონპროექტზე პარლამენტი სავარაუდოდ 24 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე იმსჯელებს.

დღეს და ხვალ ტაბახმელაში

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტისათვის მსოფლიო ბანკმა საქართველოს გამოუყო 60 მილიონ აშშ დოლარის კრედიტი. გრძელვადიანი პროექტი, რომლის ხანგრძლივობაც სავარაუდოდ 12 წელია, მიზნად ისახავს საქართველოს დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის გარდაქმნას, მისი ხარისხის და ეფექტურობის გაზრდას.

ამჟამად პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

დღეს და ხვალ თბილისში (ტაბახმელა) გაიმართება განათლების პროექტისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები და განათლების სისტემის ხელმძღვანელები. მისასალმებელი სიტყვით გამოვა და განათლების რეფორმის მიზნებს მიმოიხილავს საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია.

პლენარულ სხდომებზე ცალკეული ქვეკომპონენტების კონსულტანტების მიერ პროექტების განხილვას დაასრულებს დისკუსია სამუშაო ჯგუფებს შორის.

20 ოქტომბერს თბილისიდან ავტობუსი გავა 8 საათსა და 30 წუთზე (მისამართი: უზნაძის ქუჩა №52, განათლების სამინისტროს პირველი კორპუსი), ხოლო 21 ოქტომბერს 9 საათზე იგივე მისამართიდან.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და საქართველოს განათლების სამინისტრომ.

გვიპასუხებენ

გამგეობის კომპეტენციას სცილდება

მიმდინარე წლის აგვისტოში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „ვისი უსულგულობით დარჩა 80 წლის კაცი პირში ჩალაგამოვლებული“?, მოყვანილი იყო სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდის, თბილისელი ვლადიმერ მილაძის წერილის ფრაგმენტი, რომლითაც იგი რედაქციას დახმარებას სთხოვდა 1989 წლის მარტში მისთვის სამსახურის მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დაკანონების თაობაზე.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით, რედაქციას უპასუხებს თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე თეიმურაზ ქურხული:

თქვენს მიერ მიმდინარე წლის 16 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატიის პასუხად, რომელიც შეეხებოდა № 22 პოლიკლინიკის ხელმძღვანელობის მიერ მოქალაქე ვლადიმერ მილაძეზე საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და მასში განთავსებული ნაგებობის გასხვისების ფაქტს, გაცნობებთ, რომ 1992 წლის 6 მარტის № 05 წერილით № 22 პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა, აწ გარდაცვლილმა თ. მაცუკაშვილმა ვლადიმერ მილაძეს პირადი სარგებლობისათვის გადასცა 1500 კვ. მეტრი ფართობი იქ არსებული ნაგებობით და სთხოვდა სამგორის რაიონის გამგეობას აღნიშნული ნაკვეთის მილაძის სახელზე გადაფორმებას. აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება გამგეობას არ შეეძლო, რადგან ეს საკითხი მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

მოგახსენებთ, რომ აწ გარდაცვლილ თ. მაცუკაშვილს არანაირი უფლება არ ჰქონდა პოლიკლინიკის ტერიტორიის გასხვისებისა. დღეისათვის, პოლიკლინიკის ხელმძღვანელობის ცნობით, ტერიტორია, რომლითაც იგი სარგებლობს, არ აღემატება 265 კმ. მეტრს, ე. ი. ტერიტორია, რომელიც დაკავებული აქვს ამჟამად მილაძეს, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ჩვენში მოქმედი კანონმდებლობით დღეს ტერიტორიის დასაკუთრება შესაძლებელია მხოლოდ აუქციონის ან კონკურსის წესით.

ამდენად, აღნიშნული ტერიტორიის დასაკუთრების მიზნით მოქალაქე ვლადიმერ მილაძემ განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს.

დღის თემა

ვიღაცა დენს ეთამაშება...

(პირველი გვერდიდან)

— უდენობით გამოწვეული ზარალი დიდია?

— უზარმაზარი. ბოლო ორი წლის განმავლობაში ენერგეტიკოსთა მიზეზით მთლიანად დაინგრა ორი ახალი ღუმელი, დაზიანდა რამდენიმე მცირე ზომის ღუმელი. თითოეული დანგრეული ღუმელის აღდგენას, მეტი თუ არა, 5 მილიონი დოლარი მაინც დასჭირდება. ასეთი რეჟიმით (ჩართვა-გამორთვა) მუშაობა, გარდა ღუმელების ნგრევისა, იწვევს დანადგარების დაჩქარებულ ცვეთას და ელექტროენერგიის კოლოსალურ ხარჯს.

— თუ გინაზღაურებენ მაინც ამ ხარჯებს?

— საბჭოთა პერიოდში, როცა საწარმოები ელექტროენერგიით პრაქტიკულად უწყვეტად მარაგდებოდნენ, მიუწოდებელი ენერგია კანონმდებლობით ათმაგად ნაზღაურდებოდა. ჩვენ მხოლოდ ბოლო წლებში მივაღწიეთ სამმაგ ანაზღაურებას, რაც რეალური ზარალის მესამედიც არ არის.

— ამ მესამედს მაინც თუ გაძლევენ.

— საქმეც ეგ არის, ამ თანხის მიღებასაც ძლივს ვახერხებთ, და თუ რამეს ვიღებთ, იმასაც მაკონტროლებელი ორგანოების ჩარევისა და სასამართლო პროცესების შემდეგ.

— ბატონო დავით, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, წელიწადში უფრო მეტ დროს მუშაობთ თუ ცდებით?

— ამას რა გულზე ხელის დადება უნდა?! შარშან საწარმომ დატვირთვით მხოლოდ 4-5 თვე იმუშავა, წლეულს კი ეს „რეკორდი" სამ თვემდე შემცირდა. საერთოდ, ქარხანაში მოცდენილი ღუმელდღეების რაოდენობა ბევრად აჭარბებს მომუშავე ღუმელდღეების რაოდენობას. ეს ძალიან წამგებიანია. წარმოიდგინეთ, ყოველწლიურად მილიონობით ლარის მარაგმასალას ვყიდულობთ, რომელიც მოძრაობაში ვერ მოდის, მათზე დარიცხული პროცენტები კი ვალად გვეწევება.

— იქნებ ცუდი გადამხდელები ხართ და ამიტომ გავიწროებენ?

— კი, არის ასეთი ვერსიაც. პრესის საშუალებით ენერგეტიკოსები ხშირად გამოთქვამენ საყვედურს — „ფერო" ურჩი გადამხდელია და მას კიდევ დიდ შეღავათს ვუწევთო.

— ტყუილს ამბობენ?

— 1998 წლის მაგალითს მოვიშველიებ. იმ წელს, როცა ქარხანამ შედარებით ნაკლები გამორთვების პირობებში თითქმის 9 თვე იმუშავა, საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის 2 პროცენტი მოიხმარა, ხოლო ქვეყანაში გაყიდული ენერგიის ღირებულების 34 პროცენტი გადაიხადა. ვფიქრობ, ეს მონაცემები, თუკი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში მას ვინმე ანალიზებს, „ფეროსათვის" დენის შეწყვეტას საერთოდ უნდა გამორიცხავდეს.

— გეთანხმებით, როგორც ჩანს, ენერგეტიკოსები ნაკლებად მოანალიზე ხალხია, მაგრამ თქვენ თუ გაქვთ ნაანგარიშები ასეთი პერმანენტული გამორთვებით, რა რაოდენობის თანხა დაკარგეთ?

— რადგან ენერგეტიკოსები მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ, მეტი რა საქმე გვაქვს (ელიმება), „უქმე" დღეებში ვსხედვართ და მათ მიერ მოყენებულ ზარალს ვანგარიშობთ. ბოლო ორ წელიწადში მან 20 მილიონი ლარი შეადგინა. ამის მიუხედავად, ბიუჯეტის წინაშე მაინც პირნათელი ვართ — წლიურად მას 2 მილიონამდე ლარს ვაძლევთ, რიტმული მუშაობის პირობებში, დარწმუნებული ვარ, ეს თანხა 6 მილიონსაც გადააჭარბებდა.

აქვე მინდა დავამატო — ენერგეტიკოსები მარტო ჩვენ რომ გვაცდენდნენ, კიდევ რა უჭირდა. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ „ფეროს" კისერზეა ჩამოკიდებული 50 ათასამდე ადამიანის დასაქმება, ისეთი ქალაქებისა და ორგანიზაციების ბედი, როგორებიცაა ზესტაფონი, ჭიათურა, ტყიბული, რკინიგზა, თერჯოლის კარიერები, სატრანსპორტო ორგანიზაციები, წვრილი და მსხვილი ინფრასტრუქტურები.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს სავაჭრო ბალანსი ბევრად არის დამოკიდებული „ფეროს" მუშაობაზე. თუ ქარხანა ამჟამად უცხოეთში წლიურად ყიდის 30-40 მილიონი დოლარის პროდუქციას, გამართული მუშაობის პირობებში მას შეუძლია გაყიდოს 100-120 მილიონი დოლარის საქონელი, რაც მნიშვნელოვნად გამოასწორებს ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ბალანსს.

— ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქარხნის შევიწროება უფრო პოლიტიკური თამაშების ნაყოფია, ვიდრე ენერგოკრიზისისა?

— ვარაუდი იმის შესახებ, რომ საწარმოს ელექტროენერგიით ბლოკირება პოლიტიკური თამაშების შემადგენელი ნაწილია, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ ტენდენციების გამოსავლენად, რის შემდეგაც უფრო დაზუსტებით შეიძლება ამაზე საუბარი.

დარწმუნებული ვარ, ენერგეტიკოსები ამის გარკვევას არ დაელოდებიან და ქარხანას დენს „მაძღრისად" მიაწვდიან. ღმერთმა ნუ ქნას, ზემოთ მოყვანილი ვარაუდი გამართლდეს, თორემ ქვეყანას ეს კიდევ უფრო ძვირი დაუჯდება. პოლიტიკურ თამაშებში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ჩართვა ქვეყნისათვის დამანგრეველი პროცესია, და თუ ეს პროცესი გაგრძელდა, მალე აღარც მრეწველობა გვექნება და აღარც სოფლის მეურნეობა. მარტო სიგარეტისა და საწვავის აქციზზე მცხოვრები ქვეყნის პოლიტიკოსობა კი, არცთუ სახარბიელო თამაშია.

ოთარ ხუციშვილი.

გვიპასუხებენ

„ქუჩის ბაზარნიკები"

ბაზრებთან და გარევაჭრობასთან დაკავშირებული ბევრი მტკივნეული პრობლემაა წამოჭრილი „საქართველოს რესპუბლიკის" 11 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ქუჩის ბაზარნიკები" საკუთარ ჯიბეს ისქელებენ, სახელმწიფოს კი აცარიელებენ". სტატიაში უამრავ სხვა საკითხთან ერთად საუბარია დედაქალაქის ვეტსამსახურში არსებულ ნაკლოვანებებზეც. ჩემს პასუხში სწორედ ამის თაობაზე მინდა ვთქვა.

მართალია, ახალი დანიშნული ვარ თბილისის ვეტერინარული გაერთიანების უფროსად, მაგრამ ამ სისტემაში ოთხი წელია ვმუშაობ და აქ არსებულ ნაკლოვანებებს და პრობლემებს კარგად ვიცნობ. ამიტომ ჩემთვის ნათელია, თუ რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ვეტერინარული საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

პირველ რიგში, ვაპირებთ საკადრო ცვლილებებს (ატესტაცია), რასაც, ალბათ, უახლოეს პერიოდში განვახორციელებთ. ამასთან, გვინდა აღვადგინოთ თბილისის ცენტრალური დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ლაბორატორია.

აუცილებელ პირობად მიმაჩნია ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. გვინდა შევიძინოთ თანამედროვე აპარატურები საკვები პროდუქტების ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის. დაწყებული გვაქვს მუშაობა ფასიანი მომსახურების პრეისკურანტში ცვლილებების შესატანად, კერძოდ, გადასახადის თანხების შესამცირებლად.

დაიკეტება ყველა ის ვეტკონტროლქვემდებარე ობიექტები (საძეხვეები, საზკვების ობიექტები, მაღაზიები და ა. შ.), სადაც დარღვეულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ვეტერინარული წესები. მაქსიმალურად გაკონტროლდება ფასიანი მომსახურებიდან შემოსული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის მიმდინარეობა.

ყველა ამ პრობლემის გადასაჭრელად დახმარება და ხელშეწყობა არ გვაკლია როგორც ვეტდეპარტამენტის ხელმძღვანელობიდან, ისე თბილისის მერიიდან.

აქვე მინდა ვთქვა, რომ გარევაჭრობა ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია ყველა ჩვენგანისათვის. აუცილებლად უნდა აიკრძალოს ქუჩებში საკვები პროდუქტებით ვაჭრობა. ქუჩაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყიდებოდეს ხორცი, ძეხვი, სოსისი, თევზი და სხვა ისეთი პროდუქტები, რომლებიც ადამიანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქადის. იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემაც უახლოეს პერიოდში გადაიჭრება.

ირაკლი მოსიძე,
თბილისის ვეტერინარული გაერთიანების უფროსი.

პოზიცია

გვჭირდება კი თავისუფალი ეკონომიკური ზონები?

ჩვენში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის თითქოსდა მივიწყებული იდეა კვლავ წამოტივტივდა. საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ამ რამდენიმე დღის წინათ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში დაიწყო მსჯელობა თავისუფალი ეკონომიკური ზონების ავკარგიანობის თაობაზე. მასში მონაწილეობენ როგორც სახელმწიფო მოხელეები, ასევე მეცნიერები. ეკონომიკურმა საბჭომ, გარკვეული დროის შემდეგ უნდა წარადგინოს დასკვნა: საჭიროა თუ არა საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონები. მანამდე კი ამ საკითხზე ჟურნალისტი ოთარ ხუციშვილი ესაუბრება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს რომან გოცირიძეს, რომელიც აღნიშნული საბჭოს წევრია.

— ბატონო რომან, ვიდრე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ვისაუბრებდეთ, იქნებ განმარტოთ — რას ნიშნავს თვად ასეთი ზონა?

— თავისუფალი ეკონომიკური ზონები ეს არის შეზღუდული ტერიტორიები, ქალაქები, აეროპორტები, საზღვაო ნავსადგურები, სადაც მოქმედებს განსაკუთრებული შეღავათიანი ეკონომიკური პირობები ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეებისათვის. ეს ხელს უწყობს ქვეყნის საერთო-ეკონომიკური, სოციალური, საგარეო სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ანუ „ფრანკო ზონა") ცნებაში იგულისხმება ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონელი განიხილება როგორც ეროვნული საბაჟო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მყოფი ობიექტი, ანუ, სხვა სიტყვებით — ის ტერიტორია, სადაც დაცულია „საბაჟო ექსტერიტორიულობის" პრინციპი.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მიიზიდება უცხოური და ეროვნული კაპიტალი სპეციალური შეღავათიანი ეკონომიკური მექანიზმების, სტაბილური საკანონმდებლო ბაზისა და სხვადასხვა ორგანიზაციული პროცედურების გამარტივების მეშვეობით. შრომის საერთაშორისო დანაწილების და კაპიტალის საერთაშორისო მიმოქცევის უპირატესობანი გამოიყენება მზა ნაწარმის ექსპორტის გაფართოებისათვის, იმპორტის რაციონალიზაციის და წარმოების ისეთი მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლებისათვის საჭირო პირობებს შექმნის. თავისუფალი ზონების წარმატებული მუშაობის შემთხვევაში იზრდება სავალუტო შემოსავლები ქვეყნისა და რეგიონის ბიუჯეტში. გარდა ამისა, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმების ზრდას.

— თავისთავად ამის მოსმენა სასიამოვნოა, მაგრამ, თქვენი აზრით, გვჭირდება დღეს საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონები? და თუ არ გვჭირდება, რატომ?

— საქართველოში საგარეო ვაჭრობა ამჟამად სრულად ლიბერალიზებულია. ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პროცესი თავისთავად შეიცავს თავისუფალი ეკონომიკური ზონების მთელ რიგ მახასიათებლებს. უკვე არსებობს მეტნაკლებად სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზაც, მაგალითად, საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმების ფართო სპექტრი (კერძოდ, ქვეყანაში არ არსებობს ექსპორტის ან იმპორტის კვოტირების წესი, საერთაშორისო ნორმებით დასაშვებ მინიმუმამდეა შემცირებული საექსპორტოდ აკრძალული და ლიცენზირებადი პროდუქციის ნუსხა, მოხსნილია ყოველგვარი შეზღუდვა ეროვნული ვალუტის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანაზე). 1999 წლის ბოლოს საქართველო გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რამაც კიდევ უფრო ლიბერალური გახადა საგარეო ვაჭრობა.

აქედან გამომდინარე, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ჩვენში კლასიკური ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა ტერიტორიული პრინციპით მიზანშეუწონელია. ეს ძირითადად დაკავშირებულია პოლიტიკურ ასპექტთან, აგრეთვე, აღნიშნულ ზონებში კრიმინალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის შეზღუდულ შესაძლებლობებთან.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისათვის აუცილებელი პირობაა ქვეყანაში და მთლიანად რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობა. საქართველო და კავკასია ამით რომ არ გამოირჩევა, ისედაც ნათელია. საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, სანამ არ გადაჭრილა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის პრობლემები, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე პოლიტიკურად გაუმართლებელია თავისუფალი ზონების შექმნა.

დღეს, როდესაც კონსტიტუციურად არ არის გადაჭრილი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი, გაურკვეველია აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის სტატუსი, მძლავრობს კუთხურობა — თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა შეიძლება მეტად სამიში ექსპერიმენტი აღმოჩნდეს ქვეყნისათვის.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების საქმიანობის მოსალოდნელი ნეგატიური მხარეები ზოგიერთმა არაკეთილმოსურნედ განწყობილმა მეზობელმა ქვეყანამ შეიძლება თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ინტერესების მისაღწევად გამოიყენოს.

— ამ შემთხვევაში, ალბათ, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ძლიერი ხელისუფლების ფაქტორს.

— რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია არსებული ხელისუფლების ადმინისტრაციული შესაძლებლობები, ჯერ კიდევ სუსტი საბაზრო ინსტიტუტები, აგრეთვე, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისა და საქმიანობის გამოცდილების უქონლობა. ყველა კარგი იდეა შეიძლება ქაღალდზე დარჩეს ან უკან შემოგვიბრუნდეს (უკვე როგორც სამიში მოვლენა), როცა ხელისუფლებას არ გააჩნია საკმარისი ადმინისტრაციული უნარი, ეფექტიანი კონტროლის განხორციელების ორგანიზაციული თუ სხვა სახის შესაძლებლობები.

საზღვარგარეთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირებისას, როგორც წესი, ჩნდება უთანხმოება (ძირითადად შეღავათებისა და მმართველობის საკითხებზე) როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ისე მეზობელ რეგიონებთან, რომლებიც ასევე მოითხოვენ პრივილეგიების დაწესებას.

ამგვარი ზონების ჩამოყალიბების შემთხვევაში მოგვარებული უნდა იყოს სახელმწიფო უშიშროების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებულ თავისუფალ ზონებში ნარკოტიკების, იარაღისა და სხვა უკანონო საქონლის შეუღწევადობა.

— ბატონო რომან, მოდით ახლა პრობლემას ეკონომიკური თვალსაზრისით შევხედოთ. საქართველოში თავისუფალი ზონების შექმნის მიზანშეუწონლობას რა მიზეზებით დაასაბუთებდით?

— როგორც უკვე ვთქვით, მთლიანად საქართველოში შექმნილია საკმაოდ ლიბერალური და გახსნილი ეკონომიკური გარემო. ამ პროცესის კიდევ უფრო გაღრმავების პირობებში ზონების დაარსება კარგავს აქტუალობას, რადგან სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს კიდევ უფრო შეუმცირდებათ ისედაც მცირე შემოსავლები. საქმე ის გახლავთ, რომ ზონების შექმნა და რეალური ამოქმედება დაკავშირებულია მნიშვნელოვან საწყის დაბანდებებთან, რის საშუალებაც ქვეყანას სადღეისოდ არ გააჩნია. სხვა შემთხვევაში კი ზონის დაარსება ფორმალურ ხასიათს შეიძენს. ნიშანდობლივია, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების მრავალი, განსაკუთრებით თანამედროვე სახეობები (მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური ზონები) მხოლოდ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს, რადგან მათი შექმნა და შემდგომი ქმედუნარიანობა მნიშვნელოვან სახელმწიფო დაფინანსებასთან არის დაკავშირებული.

— როგორ ფიქრობთ, უკვე არსებულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს საქართველოში ახლადშექმნილი ზონები კონკურენციას გაუწევს?

— ვერა, ვერ გაუწევს — განვითარებული ინფრასტრუქტურისა და საწარმოო ბაზის შექმნის და ქვეყნის შიდა ბაზრის მოცულობის თვალსაზრისით. ამდენად, ისინი ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდება სერიოზული ინვესტორებისთვის. პრაქტიკულად პატარა ქვეყნებში, რომელთა ტერიტორია ეთნიკური სიჭრელით ხასიათდება, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, როგორც წესი, არ იქმნება. ასეთი ქვეყნებისათვის არ არის სასურველი ისედაც მცირე ტერიტორიის დანაწევრება, რადგან ეს ხელს უწყობს კუთხურობისა და სეპარატიზმის გაღვივებას.

— მაგრამ ხომ შეიძლება ასეთ პატარა ქვეყნებშიც კი ზონები შეიქმნას თუნდაც საზღვაო ნავსადგურებში?

— საქართველოს ორი ძირითადი ნავსადგურის ბაზაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩამოყალიბება ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოკლებული იქნება საშუალებას — განახორციელოს თავისი საზღვაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. გარდა ამისა, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, კასპიის გაზსადენისა და „ტრასეკას" სხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელება მაქსიმალურად საჭიროებს ერთიან სახელმწიფოებრივ პოლიტიკასა და კონტროლს, რაც თავისთავად გამორიცხავს ქვეყანაში „იზოლირებული" ტერიტორიების არსებობას.

— როგორია ამ მხრივ პოსტსაბჭოური ქვეყნების გამოცდილება?

— არასახარბიელო. ასეთი ზონების (შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ბალტიისპირეთში, ყაზახეთში და სხვ.) მუშაობის პროცესი ჩიხშია მოქცეული. მაგალითად, რუსეთში თავისუფალი ზონების შექმნა მეტწილად დაკავშირებული იყო გაიოლებულ შეხედულებებზე — ისინი აღიქმებოდა როგორც მრავალი რთული სოციალურ-ეკონომიკური მიზნის მიღწევის უნივერსალური საშუალება. გარდა ამისა, საყოველთაოდ იყო გავრცელებული წარმოდგენა (ასეთი ეიფორიული წარმოდგენაა ამჟამად საქართველოში), თითქოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისათვის საკმარისია ამა თუ იმ რეგიონის ზონად გამოცხადება, იქ ზოგიერთი შეღავათის დაწესება და უწყვეტ ნაკადად წამოვა უცხოური კაპიტალი.

— მოკლედ, როგორია თქვენი დასკვნა ამ საკითხზე?

— ლაკონური: თავისუფალი ზონები საქართველოში ეკონომიკისათვის შეიძლება გადაიქცეს ფაქტობრივად უკონტროლო ადგილებად, საიდანაც საიმედო საბაჟო კონტროლის შეუძლებლობის პირობებში მოხდება ქვეყნის სანედლეულო და სხვა რესურსების უცხოეთში უკანონოდ გადინება სახელმწიფოსათვის ეკონომიკური უკუგების გარეშე, ზონიდან საქონლის კონტრაბანდული სახით შემოტანა ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (სამაგალითოდ ერგნეთის ბაზრობაც კმარა, რომელიც ფაქტობრივად ერთგვარ „თავისუფალ სავაჭრო ზონად" იქცა, საიდანაც მოზღვავებული კონტრაბანდული საქონელი მთელ ქვეყანაში ნაწილდება), ნოყიერი ნიადაგი შეიქმნება მსხვილმასშტაბიანი კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის, მოხდება ე. წ. „ჭუჭყიანი" ფულის გათეთრება, რეგიონული სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურობა, კრიმინალური ელემენტების კონცენტრაცია და სხვა ნეგატიური მოვლენები. ასეთი ზონები კრიმინალური დაჯგუფებების თავშესაფარად შეიძლება იქცეს. ამიტომ, სავსებით კანონზომიერად, მაგალითად, რუსეთში ბოლო ხანს აღინიშნება წინა პერიოდებში ნაჩქარევად შექმნილი, ეკონომიკურად დაუსაბუთებელი და არაეფექტიანი ზონების დახურვის, მათთვის პრივილეგიების ჩამორთმევის ან შეზღუდვის ტენდენცია. რუსეთში თვალსაჩინო გახდა თავისუფალი ზონების არაპერსპექტიულობა. ნიშანდობლივია, რომ იქ არსებული ორ ათეულამდე ზონიდან ამჟამად მხოლოდ ორია მოქმედი.

საქართველოს მასმედიის ინფორმაციის პასუხად

რუსეთის სააქციო საზოგადოება „ეს როსიას" საქართველოს ფილიალის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: 17 ოქტომბერს საქართველოს მასმედიის მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რუსეთიდან გამოგზავნილი ელექტროენერგიის ღირებულება შეადგენს კილოვატსაათი 5,6 თეთრს (2,8 ცენტს). რუსეთის სააქციო საზოგადოება „ეს როსიას" საქართველოს ფილიალი აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორც არაერთგზის აღნიშნულა ადრე, რუსეთის სააქციო საზოგადოება „ეს როსია" საქართველოში რეგიონულ და რაიონულ ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს, აგრეთვე მსხვილ მომხმარებლებს, რომლებსაც შეუძლიათ ელექტროგადამცემი ხაზებით მიიღონ 110 კილოვატი ელექტროენერგია, სთავაზობს რუსეთის ელექტროენერგიის იმპორტს რუსეთის სააქციო საზოგადოება „ეს როსიას" საექსპორტო ფასით, ანუ კილოვატსაათისათვის არა უმეტეს 4,8 თეთრისა (2,4 ცენტი).

რუსეთის სააქციო საზოგადოება „ეს როსიას" საქართველოს ფილიალი მზადაა განიხილოს ელექტროენერგიის პირდაპირი მიწოდების კონტრაქტის პირობები შესაბამისი საბანკო გარანტიების მიღების შემთხვევაში.

ინვესტორთა შეხვედრა ნოემბერში გაიმართება

სუფსის პორტში მსხვილი ნავთობქიმიური კომპლექსის მშენებლობის პოტენციურ ინვესტორთა შეხვედრა იგეგმება ნოემბრის შუა რიცხვებში.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს საერთაშორისო სანავთობო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ უთხრა, რამდენიმე ეტაპად დაგეგმილი კომპლექსის მშენებლობის ღირებულება დაახლოებით 1 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

ეს პროექტი, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება აშშ ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს დაკვეთით შეიმუშავა ამერიკულმა კომპანიამ Otis Capital, კასპიის რეგიონში მომუშავე მრავალ ნავთობკომპანიას იზიდავს, — აღნიშნა გიორგი ჭანტურიამ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

სახელმწიფო შესყიდვა

გამჭვირვალობა ყველგან საჭიროა

სახსრების ხარჯვა, რომელსაც სხვადასხვა უწყება ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებს, სახელმწიფო შესყიდვებით ხდება. 1998 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", რომლის საფუძველზეც ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე, რა პრობლემებია მოსაგვარებელი?

ახლად შექმნილი დეპარტამენტის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი იყო „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შემუშავება, რომელიც 1999 წლის აგვისტოში დამტკიცდა და სათანადო რეესტრშია შეტანილი. ეს არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც დაწვრილებით განსაზღვრავს კანონში ზოგადი სახით მოცემულ ყველა პროცედურას, წესსა და ნორმას. ფაქტობრივად, ეს არის სახელმძღვანელო-მეთოდოლოგიური დოკუმენტი.

გარდა ამისა, დეპარტამენტმა შეიმუშავა „დებულება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და დაბრუნების წესის შესახებ", რომელიც შარშან 20 დეკემბერს დამტკიცდა. სატენდერო მოსაკრებელთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ზემოაღნიშნული დებულება ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებულ ტენდერებზე, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების უფლება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ, მაგრამ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით დღემდე ეს მხოლოდ თბილისის საკრებულოს აქვს გაკეთებული. გამონაკლისია მხოლოდ რუსთავი, სადაც სადაზღვევო პრინციპით ჯანდაცვის მხოლოდ ერთი ტენდერი გაიმართა.

— ცნობილია, რომ სწორედ სახელმწიფო შესყიდვების სფერო იყო და ახლაც არის კორუფციისა და სახელმწიფო სახსრების დატაცების მასაზრდოებელი. მოხერხდა თუ არა ამ ხნის მანძილზე სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალე სისტემის შექმნა? — ასეთი კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს ნინო ბოგატაძეს.

> **კანონის აღსრულება საქართველოში არა მარტო სახელმწიფო შესყიდვების, არამედ ბევრ სხვა სფეროშიც მოიკოჭლებს. ჩვენში კანონები ეფექტიანად რომ არ მუშაობს, ყველამ კარგად ვიცით, ხოლო გამჭვირვალობაზე ლაპარაკი არათუ იოლია, არამედ, ძნელად მოსაგვარებელიც.**

— ძნელი სათქმელია. კანონისა და ნორმატიული ბაზის დონეზე საჯაროობასთან დაკავშირებული მომენტები ნამდვილად გათვალისწინებულია.

კანონის თანახმად, 25 ათას ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები ხდება ტენდერის მეშვეობით, აქედან 25-დან 70 ათასამდე ლარის ღირებულების შემთხვევაში გათვალისწინებულია დახურული ტენდერი — მაშინ პრესაში შესაბამისი განცხადება არ ქვეყნდება, ხოლო 70 ათას ლარზე მეტი ღირებულებისა და მშენებლობის შემთხვევაში 230 ათას ლარზე მეტი ღირებულების დროს ტარდება ღია ტენდერი, ე. ი. შესაბამისი განცხადება ქვეყნდება პრესაში. გარდა ამისა, დადგენილია მონეტარული ზღვარი საზღვარგარეთის პრესაში სათანადო განცხადების გამოქვეყნების თვალსაზრისით: როცა საქონელზე, სამუშაოებსა თუ მომსახურებაზე ტენდერის ღირებულება ალემატება 600 ათას ლარს, ხოლო მშენებლობის შემთხვევაში— თუ მისი ღირებულება 8 მილიონ ლარზე მეტია.

ეს არის ერთი მომენტი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საჯაროობას, ასევე კონკურენტული გარემოს არსებობის შესაძლებლობას. ამდენად ყველა მსურველს შეუძლია იმის გაგება, თუ რას ხმარდება სახელმწიფო სახსრები.

მეორე მომენტი ის არის, რომ ტენდერში გამარჯვებულმა შედეგები ასევე პრესაში უნდა გამოაქვეყნოს. გარდა ამისა, საჯაროობას უზრუნველყოფს ისიც, რომ ყველა სახელმწიფო შესყიდვა უნდა აისახებოდეს ჩვენს დეპარტამენტში წარდგენილ ანგარიშებში. ისინი გარკვეული ვადის განმავლობაში ინახება და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ასეთია პარლამენტის მიერ მიღებული კანონისა და მის საფუძველზე შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნები. მაგრამ... სინამდვილეში რა ხდება?

ფაქტობრივად საქმე ისეა, რომ კანონის აღსრულება საქართველოში არა მარტო სახელმწიფო შესყიდვების, არამედ ბევრ სხვა სფეროშიც მოიკოჭლებს. ჩვენში კანონები ეფექტიანად რომ არ მუშაობს, ყველამ კარგად ვიცით, ხოლო გამჭვირვალობაზე ლაპარაკი არათუ იოლია, არამედ, ძნელად მოსაგვარებელიც. ამის დასტურად მოვიყვან შემდეგ მონაცემებს:

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ექსპერტული შეფასებით, შემსყიდველი ორგანიზაციების რიცხვი საქართველოში 8-10 ათასია, რომელთაგან ყველა ვალდებულია წარმოადგინოს როგორც ტენდერის გამართვის ოპერატიული ანგარიში, ასევე კვარტალური, ანუ მცირე შესყიდვების ანგარიშები, რომლებსაც ტენდერი არ სჭირდება. გარდა ამისა, განსაზღვრულია მათი წარდგენის ვადებიც: ტენდერის დასრულებიდან ათ დღეში, ხოლო მცირე შესყიდვებზე — არაუგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა.

— რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

—რეალურად ვადების დაცვაზე ლაპარაკიც არ არის. ჩვენ მადლობელი ვიქნებით, თუკი ანგარიშებს საერთოდ წარმოგვიდგენენ. დეპარტამენტის მონაცემებით, თუ ტენდერების გამართვის შესახებ ინფორმაციის მიღება მეტნაკლებად სრულად შეიძლება, შარშან მხოლოდ 33 კვარტალური ანგარიში იყო წარმოდგენილი, წლეულს პირველ კვარტალში — 121, მეორე კვარტალში — 101. ეს არის ცენტრალურ ბიუჯეტთან ანგარიშვალდებული ორგანიზაციების ანგარიშები. რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტთან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციებს, აქ ციფრები უფრო მწირია: პირველ კვარტალში მათ წარმოადგინეს 23, მეორეში — 14 ანგარიში.

ამის ერთ-ერთ მიზეზად დეპარტამენტის უფროსი სათანადოდ მომზადებული კადრების მწვავე დეფიციტს ასახელებს. ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების დარგში სპეციალისტებს ჩვენში არავინ ამზადებს. ეს ასეა. მაგრამ მიღებული ინფორმაციით, მსოფლიო ბანკის დამხმარე კრედიტში — **SRS** — სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის შექმნისათვის მიზნობრივი თანხა იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი დეპარტამენტს დაეხმარა კომპიუტერების სადემონსტრაციო ტექნიკის შეძენაში და დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო კონსულტანტის დაქირავება. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სათანადო სპეციალისტების დროულად მომზადებაზე ყველას ერთად რომ ეზრუნა, უკეთესი არ იქნებოდა?

ანგარიშების წარუდგენლობის ობიექტურ მიზეზად შეიძლება ცენტრალური ბიუჯეტის ქაოსურობა და არასტაბილურობაც მივიჩნიოთ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ, ქალბატონი ბოგატაძის თქმით, სახელმწიფო და ადგილობრივი უწყებების ხელმძღვანელთა უმრავლესობას უბრალოდ არ სურს თავიანთ საქმიანობაში ვინმე ზედმეტად ჩაახედონ და, როცა რომელიმე სამსახურს (ამ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს) მათზე ზემოქმედების არანაირი საშუალება არ გააჩნია, იგი იძულებულია ეხვეწოს: ანგარიში წარმოგვიდგინეთო და ყველაფერი მხოლოდ მავან ხელმძღვანელთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამდენად, რაიმე „გამჭვირვალობასა" და „საჯაროობაზე" ლაპარაკიც ზედმეტია.

აქ, ვფიქრობ, მხოლოდ ერთი, ისიც სიმბოლური კითხვის დასმა შეიძლება: რომელი კორუმპირებული მოხელე გაუწევს ანგარიშს კანონს და კანონქვემდებარე აქტს, რომელთა შესრულებას ვერავინ აიძულებს? არადა, ძალის დატანება რომ საჭიროა, ეს ხომ ცხადია. განა რა შეუძლია სამინისტროს სამსახურს, რომელიც მხოლოდ სახელმძღვანელო-მეთოდოლოგიურ და საინფორმაციო დახმარებას უწევს, და კონტროლის არანაირი მექანიზმი არ გააჩნია?

ახლა მხოლოდ იმის იმედია, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო თხოვნით მიმართავს ქვეყნის პრეზიდენტს, გამოიჩინოს საპარლამენტო ინიციატივა, რათა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ, რაც ხელს შეუწყობს კორუფციასთან ბრძოლის გამწვავებას.

ოთარ ტურაბელიძე,
საქინფორმის კორ.

პოლიცია

კრიმინალებს არ მისცეს „ამოსუნთქვის“ საშუალება

გასული კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 136 სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთაგან 114 უკვე გაიხსნა.

ამ მშრალი სტატისტიკური მონაცემიდან ფრიად საყურადღებო დასკვნის გაკეთება შეიძლება. იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში პოლიციის ოპერატიული ძალების ძირითადი ნაწილი გაიგზავნა 1 ოქტომბერს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაქცეულ პატიმართა ადგილ-სამყოფელის დასადგენად და დასაკავებლად, აგრეთვე, იმ აუცილებელი პროფილაქტიკური და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად, ერთი წუთითაც არ შესუსტებულა დანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, არ გაუარესებულა კრიმინალური ვითარება.

ამის დასტურია თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამნაშავეთა ჯგუფების დაკავება და პროფილაქტიკურ-ოპერატიულ ღონისძიებათა შედეგები.

3 ოქტომბერს შსს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა „თბილისი-ბორჯომის“ ელექტრომატარებელში დააკავეს ქარელში მცხოვრები კობა ნაბიევი, რომელსაც აღმოაჩნდა უცხოური წარმოების პისტოლეტი „სტარი“, ნიღაბი, დანა, ე. წ. „სკოჩი“, მასთან ერთად დაკავებულ, გორის რაიონის სოფელ შინდისში მცხოვრებ გიორგი თათარაშვილს კი პოლიციელებმა ორი ნიღაბი და „სკოჩი“ ამოუჩინეს.

6 ოქტომბერს ბოლნისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ქვემო ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებისა და საგზაო პოლიციის მე-9 განყოფილების თანამშრომლებთან ერთად დააკავეს ბოლნისში მცხოვრები მამუკა დავითულიანი და ნიკა ბანძაძე, რომლებმაც ამჟამად მიმალულ კიდევ ერთ თანამზრახველთან ერთად გაძარცვეს სოფელ ზეარეთში მცხოვრები ლეილა რამაზანოვა.

7 ოქტომბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს, წალენჯიხისა და ზუგდიდის პოლიციის განყოფილებების თანამშრომლებმა ზუგდიდში დააკავეს ამავე ქალაქის მცხოვრები თენგიზ ჭითანავა, რომელმაც იმავე ღამეს ორ თანამზრახველთან ერთად წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცა სურსათით დატვირთული ავტომანქანა „მაზი“, რომელიც ეკუთვნის ზუგდიდის რაიონის სოფელ ეწერში მცხოვრებ გია მილდიანს. გატაცებული ავტომანქანა დაუბრუნდა მფლობელს.

ამ დღეებში სამეგრელოში ისე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, პოლიცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ამოღებას.

10 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად დააკავეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, სოფელ რიყეში დროებით მცხოვრები გელა მოროხია, რომელსაც ბინაში აღმოაჩნდა გადაჭრილი სანადირო თოფი.

იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ რიყეში მცხოვრების რომეო თოლორაიას ბინიდან ამოიღეს „აკს“ სისტემის ავტომატი მჭიდითა და 29 ვაზნით.

9 ოქტომბერს წყალტუბოს ზონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა შსს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად დააკავეს სოფელ ხომულში მცხოვრები ორჯერ ნასამართლევი მერაბ ფანცხავა, რომელიც ამჟამად მიმალულ ერთ-ერთ თანამზრახველთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა იქვე მცხოვრებ ვალოდია გელენიძის ოჯახს და იარაღის მუქარით გასტაცა ფული.

10 ოქტომბერს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებისა და მე-7 სექტორის თანამშრომლებმა „ცხელ კვალზე“ დააკავეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ბესიკ ლგებუაძე, რომელმაც მეტროპოლიტენის სადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიიდან მოქალაქე გიორგი ბიძინაშვილს გასტაცა ავტომანქანა „გაზ-24“.

11 ოქტომბერს შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და გორის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერებებით გაბრუებული თბილისელი თეიმურაზ ირემაძე, რომელსაც აღმოაჩნდა თვითნაკეთი რევოლვერი, მცირეკალიბრიანი შაშხანის 11 ვაზნა. დადგინდა, რომ თ. ირემაძემ 7 ოქტომბერს ცხინვალის გზატკეცილზე მდებარე ბაზრობიდან გაიტაცა ქარელში მცხოვრები ნანეტაშვილის კუთვნილი ავტომანქანა „ნივა“, ხოლო 2 ოქტომბერს კიდევ ერთი „ნივა“, რომლის მფლობელის ვინაობა დგინდება.

13 ოქტომბერს ქუთაისელმა პოლიციელებმაც დააკავეს ავტომანქანის გამტაცებლები – წყალტუბოს ზონის სოფელ ზარათში მცხოვრებმა ზაურ გრიგოლაშვილმა და გიგა წიწილაშვილმაც ქუთაისელ საშა მხსილაძეს გასტაცეს „გაზ-24“ ავტომანქანა. დაკავებულ წიწილაშვილს თვითნაკეთი პისტოლეტიც აღმოაჩნდა.

14 ოქტომბერს დუშეთის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა საგზაო პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებთან ერთად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს თბილისში მცხოვრები დავით ტაველური და სოფელ მლეთაში მცხოვრები ვლადიმერ ნაზღაიძე, რომლებიც 12 ოქტომბერს, ღამის 23 საათზე სოფელ მლეთაში თავს დაესხნენ გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში მცხოვრებ უშენგ ბაირამოვს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 3 000 რუსული რუბლი. ყაჩაღებს ჩამოერთვა „აკს“ სისტემის ავტომატი, ორი მჭიდითა და 50 ვაზნით.

გასაგები მიზეზების გამო ბოლო ორი კვირის განმავლობაში პოლიცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჩვენი ქვეყნის შემოსასვლელ-გასასვლელების დაცვას.

12 ოქტომბერს ღამის 2 საათზე თელავის რაიონის პოლიციისა და კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს რუსეთის ფედერაციის ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ქ. ნალჩიკში მცხოვრებნი თემურ სატოევი, ზაურკან მოგენოევი, მაქსიმის რაიონის სოფელ ქიზბულდში მცხოვრები ასლან ბერკიზევი და ქალაქ ვლადიკავკაზში მცხოვრები მუჰამედ თაკაზოვი, რომლებმაც უნებართვოდ გადმოლახეს საქართველოს საზღვარი.

მასალები გადაეცა უშიშროების სამინისტროს თელავის განყოფილებას, რომელიც დაადგენს დაუპატიჟებელი სტუმრების ვიზიტის მიზანს.

ვალერიან გოგოლაშვილი.

მისი საუკუნე

95 წლის იონა გუნია საფრანგეთში საქართველოზე ლოცულობს

74 წელიწადი ქართულ მიწას დანატრებული, საფრანგეთში ქართული ისტორიული ემიგრაციის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელი, ცნობილი მრეწველი და ბიზნესმენი, საფრანგეთში ქართული მაწვნის წარმოების დანერგვის ინიციატორი, 95 წლის იონა გუნია შვილთან ნოელთან ერთად ამ დღეებში სამშობლოში ჩამოვიდა.

ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ბატონი იონა მისი დიდებული გვარის – გუნიების წარმომადგენლებს, ქართველ ინტელიგენციას და ჟურნალისტებს შეხვდა.

95 წლის იუბილარსა და მის ქალიშვილს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის „მაფშალიას“ ანსამბლის წევრები „კუჩხი ბედინერით“ შეხვდნენ.

სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის სახელით ჩვენს თანამემამულეებს მიესალმა პროფესორი ალექსანდრე კუჭუხიძე.



იონა გუნია აბაშაში, სოფელ ზანათში დაიბადა. მისი ოჯახი მაშინდელ სენაკის მაზრაში საყოველთაოდ ცნობილი იყო სტუმართმოყვარეობით, ინტელიგენტურობითა და სიმდიდრით. 1926 წლიდან იონა გუნია ემიგრაციაში იმყოფება. მან შეძლო გაქცეოდა კომუნისტური ხელისუფლების დიქტატორულ რეჟიმსა და ჩეკას რეპრესიებს.

დღეს, XX საუკუნის მიწურულს, საქართველოსა და საფრანგეთის გადასახედიდან, იონა გუნიას ცხოვრება ქრისტიანული მიმტევებლობითაა აღსავსე. ის ღრმად მორწმუნე ადამიანია. მისი ქორწილის ღამეს იქ, საფრანგეთში, ქართული საგალობლები ჟღერდა. ალბათ, ბედნიერი დამთხვევაა ისიც, რომ ნოელი (ფრანგულად შობას ნიშნავს) სწორედ შობა დღეს დაიბადა. ყოველი ცისმარე დღეს მამა-შვილი ერთად ლოცულობენ.

„ზედმეტი ფუფუნება კაცს რყვნის, რწმენა უფლისა, ქველმოქმედება კი აღამაღლებს“ – ამბობს მონრუჟის (პარიზთან ახლოს) გიგანტური კონცერნის სოციალურ საკითხთა უფროსი მრჩეველი, სათნო ქალბატონი ნოელ გუნია. ის მოცალეობის დროს ხატვით არის გატაცებული. მის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებში ქართული სული იგრძნობა. ქრისტეშობის დღეს დაბადებულ ნოელს მისმა მშობლებმა არა მარტო სიცოცხლე აჩუქეს, არამედ, ფრანგულ-ქართული ქრისტესმიერი ერთობის დასტურად, კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და სათნოების თვისებები დაანათლეს.

შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პარლამენტარი, პროფესორი გურამ შარაძე, პროფესორი ილია ტაბაღუა, დოცენტი ნუგზარ ნადარაია, რომლებმაც გულთბილად ილაპარაკეს იონა გუნიას მოგონებების უმშვენიერეს წიგნზე, რომელშიც ჯანსაღი ოპტიმიზმითა და მოყვასის სიყვარულით გამთბარი, გულწრფელი, იმავდროულად, სევდიანი ესსეები, ლექსები და ნოელ გუნიას ფერწერული კომპოზიციებია წარმოდგენილი.

...ბატონ იონას თვალზე ცრემლი მოადგა, რომელიც მას სამშობლოსთან კვლავ შეხვედრამ და მეხსიერებაში სევდიანი, უტკბილესი მეგრული სიმღერების მოსმენამ მოჰგვარა.

ნანა სულავა.

სურათზე: იონა გუნია (მარცხნიდან) და-ძმასთან, მატრონა და ვალესთან ერთად, 1967 წ.; ნოელ გუნიას ნახატის „დავით გურამიშვილის“ ფოტორეპროდუქცია.

მსჯელობენ იდეოლოგიაზე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „პოლიტოლოგია და იდეოლოგია“. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერები.

პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ვაჟა კეშელავამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რამდენად არის დამოკიდებული თანამედროვე პოლიტიკა იდეოლოგიურ ორიენტირებზე. კონფერენციაზე მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში კვლავ გრძელდება იდეოლოგიური ქაოსი, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის სტაბილიზაციას.

„ექიმები ადამიანის უფლებებისთვის“

უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების აფხაზურ და ქართულ კომისიათა მუშაობისათვის აქტიური თანადგომის მიზნით, თბილისსა და სოხუმს 19-30 ოქტომბერს ეწვევა დოქტორი უილიამ ჰეგლანდი ორგანიზაციიდან „ექიმები ადამიანის უფლებებისთვის“.

როგორც პრაიმ-ნიუსს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში უილიამ ჰეგლანდი შეხვდება „გაეროს“ გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს, ჯგუფის „გაეროს გენერალური მდივნის მეგობრების“ წევრი ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობის წარმომადგენლებს, ასევე ქართული და აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენელთ, მათ შორის, უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების აფხაზურ და ქართულ კომისიათა თავმჯდომარეებს.

ამ ვიზიტის მოწყობასთან დაკავშირებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მიმართა ბოსტონში დაფუძნებულ ცნობილ ორგანიზაციას „ექიმები ადამიანის უფლებებისთვის“, რომლის საქმიანობა სასამართლო მედიცინასა და კონფლიქტურ სიტუაციებთან დაკავშირებულ ნეშტთა ამოცნობას ითვალისწინებს.

უსინათლოები 300000 ლარს მოითხოვენ

უსინათლოთა საზოგადოების წევრებმა ქალაქის ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხის გამოყოფის მოთხოვნით გუშინ თბილისის მერიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა ანზორ მღეღელაძემ განუცხადა, მიმდინარე წელს დედაქალაქის ბიუჯეტში მათი ბინების ასაშენებლად 300 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. თბილისის მერია მათ მომავალი წლის ბიუჯეტში კიდევ 300 ათასი ლარის გამოყოფას პირდებოდა, რის შედეგადაც უსინათლოთა 42 ოჯახი საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილდებოდა.

მღეღელაძის თქმით, მერია მათ მიმდინარე წელს მხოლოდ 100 ათასი ლარის გამოყოფას, ხოლო მომავალი წლის გაზაფხულზე ვარკეთილში აშენებული ბინების ჩაბარებას დაჰპირდა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

განსჯა

ვაკეთოთ კონკრეტული საქმე

ფიქრები ახლო წარსულსა და მომავალზე

ქვეყნის ჭირ-ვარამი იქცა დღეს გულშეჭირვებულ ადამიანთა განსჯის უმთავრეს თემად. ისინი ღრმა გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მრავალ პრობლემას ჩვენი სახელმწიფო თავს ვერა და ვერ ადგამს. მაინც, რამ განაპირობა ეს?

სერიოზულ შეცდომებს ვერ ავცდით

დღევანდელ პრობლემათა წანამძღვრები სათავეს იღებს არც თუ ისე შორეულ წარსულში, როცა საქართველო ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგა. რამდენადაც ძვირფასი და სანატრელი იყო ეს არჩევანი, იმდენად საბედისწერო აღმოჩნდა შეცდომები, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდანვე გაჩნდა. აქ ერთი რამ არის ნიშანდობლივი: ეროვნული ძალების აქტიური მოქმედებისა და საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად, საქართველო მექანიკურად მოწყდა, ჩამოშორდა უზარმაზარ რუსეთს, ისე, რომ არ იყო მზად სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის. ეროვნულმა მოძრაობამ, რომელმაც ისტორიულად რთულ ხანაში ქვეყნის ჭირისუფლობა იკისრა, ვერ განჭვრიტა სიძნელეები, რომლებიც ბუნებრივად შეექმნა ახალი სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობას. არავინ გაითვალისწინა ის, რომ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია მკაცრი სახელმწიფო წესრიგისა და დისციპლინის გარეშე განხორციელდეს (მით უმეტეს, მაშინ, როცა იცვლება საკუთრების ფორმები). ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო გარდამავალი პერიოდისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და მისი გამოყენება ახალი (საბაზრო) ეკონომიკის მშენებლობის დაწყებად.

მაშინდელი ხელისუფლების უუნარობამ და არაკომპეტენტურობამ, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ძალთა წონასწორობის დარღვევამ (რომელიც მალე სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა), ადამიანთა მსხვერპლთან ერთად, აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ხელისუფლებამ მთელი თავისი ძალისხმევა მოახმარა იმას, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებინა და ეკონომიკის გადარჩენისთვის ვერ მოიცალა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის სამოღვაწეო ასპარეზიდან წასვლის შემდეგაც პროცესები ისე განვითარდა, რომ მათ ნაცვლად მოსულმა ქვეყნის ევრეთ წოდებულმა სახელმწიფო საბჭომ, ვერ შეძლო არსებითად მიეხედა ეკონომიკური პრობლემებისთვის. ნაცვლად იმისა, რომ ამჯერად მაინც გამოგვეჩინა სიფხიზლე, სახალხო მეურნეობა ნგრევის გარეშე გადაგვეყვანა წარმოების ახალ რელსებზე და თანდათანობით ჩაგვეყენებინა ქვეყნის სამსახურში, იმძლავრა უსინდისობის, მომხვეჭელობის სინდრომმა, ფრთები შეისხა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ, კორუფციამ. საზოგადოების „პრივილეგიურმა“ ნაწილმა, ვისაც ყველაზე მეტად მიუწვდებოდა ხელი სახელმწიფო დოვლათზე, შეძლო დაპატრონებოდა ქვეყნის მთელ სიმდიდრეს. უაღრესად მახინჯი ფორმებით წარიმართა სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. ეს იყო სახელმწიფოს, ხალხის წინაშე დაშვებული არა მხოლოდ შეცდომა, არამედ დანაშაული! ამიტომ არის, რომ ქვეყნის ძირითადი სამრეწველო პოტენციალი დღესაც ამოქმედებას ელის...

დღეს ბევრგან, მათ შორის პარლამენტშიც კი გაისმის ხმები, რომ ქვეყანას უნდა დაუბრუნდეს ყოველივე ის, რაც მავანთა და მავანთა მიერ უკანონო გზით იქნა მიტაცებულიო. სავსებით სწორი მოთხოვნაა, მაგრამ ხელისუფლება შესძლებს ამას? ჩემი ღრმა რწმენით, თუ კანონი იკანონებს, უთუოდ შესძლებს.

ფართო დემოკრატიას თავისი დრო და ადგილი აქვს

ზემოთ ვთქვით გარდამავალი პერიოდის თავისებურებებზე. აქვე დავძენთ, რომ შეცდომად მიგვაჩნია დემოკრატიის ყველა „სარქველის“ ერთბაშად გახსნა და სახელმწიფოს იძულებითი (არსებული კანონმდებლობის ფარგლებში) ადმინისტრაციული ფუნქციის შესუსტება. საქართველოში ასეთი ფართო დემოკრატიისთვის აუცილებელი პირობები ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული. ამიტომაცაა, რომ არ სრულდება პარლამენტის მიერ მიღებული მრავალი კანონი. ამ კანონთა უმრავლესობა ხომ დასავლეთის მიბაძვით, ადგილობრივი კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად, ფართო დემოკრატიის პრინციპებზეა შექმნილი და ჯეროვნად არ ესადაგება ჩვენი საზოგადოებრიობის სადღეისო სასიცოცხლო ინტერესებს. მაგალითად, ადამიანთა უფლებების დაცვის ღონისძიებებში ზოგჯერ მთელი აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ როგორმე დავიცვათ მძიმე დანაშაულის ჩამდენი.

ვფიქრობ, ქვეყანამ იჩქარა, როცა გააუქმა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, პიროვნება, რომელმაც არაერთხელ გაისვარა ხელი ადამიანის სისხლში, არაერთი უმწიკვლო ადამიანი, მათ შორის ბავშვიც გამოასალმა სიცოცხლეს, თვითონ სიცოცხლის ღირსი არ უნდა იყოს...

ჩემი აზრით, ფართო დემოკრატიის დამკვიდრება ქვეყანაში გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ძალთა თანაფარდობა ანტისახელმწიფოებრივ და სახელმწიფო ინტერესების გამომხატველ ძალებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ საბოლოოდ არის გადაწყვეტილი და გამორიცხულია ბოროტების სიკეთეზე გამარჯვება.

საკადრო რეფორმების მოლოდინში

არსებით შეცდომად, რომელმაც განაპირობა ქვეყნის წინსვლის შეფერხება, კვლავ რჩება კადრების როლის შეუფასებლობა. ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს მმართველობაში მოვიდნენ, უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობითა და აქტიურობით, მზად იყვნენ პირადი ბედნიერება ანაცვალონ მამულის, ხალხის ინტერესებს და თუ საჭიროებამ მოითხოვა, სიცოცხლეც კი შესწირონ მათ. თავიდანვე შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ძნელი გასარკვევი გახდა, თუ ვის შეეძლო ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა. სამწუხაროდ, ქვეყნის წარმმართველი ძალები არც მაშინ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე, როცა უკვე ფარდა აეხადა ყველაფერს და მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთგვარი იმედი გაჩნდა. უმაღლესმა ადმინისტრაციამ ვერც მაშინ შეძლო სახელმწიფოს ძირითად სამართავ პულტებთან სუფთა ხელების, მაღალი პასუხისმგებლობის და კომპეტენციის მქონე ადამიანები დაეყენებინა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ დღეს სახელმწიფო რამდენადაც ცდილობს წინ წასწიოს ქვეყნის ეკონომიკა, იმდენად ამუხრუჭებენ მას ცალკეული არაპროფესიონალები, უპასუხისმგებლონი, რომლებიც ზოგჯერ თვით სახელმწიფო სტრუქტურების წაყრუებით და ხელისშეწყობითაც კი სარგებლობენ. სწორედ ამიტომ, სერიოზული საკადრო რეფორმები კვლავ დღის წესრიგშია. ჩვენ ისეთი კადრები გვჭირდება, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების ყველა მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

სოფლის გამგებელი იქნება თუ ქალაქის მერი, დეპარტამენტის თავმჯდომარე თუ მინისტრი, ქვეყნის ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს, დღე და ღამეს უნდა ასწორებდეს არა მარტო თავის რეგიონულ, უწყებრივ პრობლემებზე ფიქრსა და ზრუნვაში, არამედ სახელმწიფოს საერთო ინტერესებით სულდგმულობდეს და მისი „წყლული აჩნდეს წყლულად“. ეს სულაც არ არის გადაჭარბებული და განუხორციელებელი მოთხოვნა. სწორედ ასეთი ადამიანები თუ გადაარჩენენ საქართველოს.

საკადრო რეფორმების განხორციელების საშუალებას იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც გაისად მოეწყობა. სამართლიანად, სინდის-ნამუსის კარნახით მისი მოწყობა სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას. სასურველია, არჩევნები საქალაქო და რაიონულ რგოლში უფრო ადრე გაიმართოს, ვიდრე სოფლებში, დაბებსა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ მთელი პასუხისმგებლობა სასოფლო გამგეობათა ხარისხობრივ შემადგენლობაზე ახლადარჩეულმა გამგებლებმა და მერებმა იკისრონ. ყურადსაღებია ერთი გარემოებაც, მრავალპარტიულობამ საქართველოში ავადმყოფური სახე მიიღო, მათი დაპირისპირება ხშირ შემთხვევაში ვიწრო პარტიულ ინტერესებს არ სცილდება. ამას სახელმწიფოსთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. ამიტომაც, თვითმმართველობის არჩევნები, იქნებ ისე ჩატარდეს, რომ პარტიების შეჯახება გამოირიცხოს.

კორუფცია და სახელმწიფო...

შემოსავლების კლებამ და ამით გამოწვეულმა ბიუჯეტის სიმწირემ ახალი სიძნელეების წინაშე დააყენა ქვეყანა, შექმნა სოციალურ აფეთქებათა საშიშროება. ისედაც უმნიშვნელო პენსიებისა და დახმარებების მიწოდება შეუწყდათ პენსიონერებსა და ლტოლვილებს, რამაც აიძულა ხელისუფლება გონს მოსულიყო და სწორი შეფასება მიეცა ქვეყანაში შექმნილი მეტად მძიმე ვითარებისთვის. ერთხელ კიდევ გამოიკვეთა, რომ სანამ ქვეყანაში მძვინვარებს კორუფცია, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოდერნიზება შეუძლებელია. შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც დაეკისრა ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავება.

ალბათ, იგი სწორად განსაზღვრავს კორუფციის წინააღმდეგ შეტევის ძირითად მიმართულებებს. სახელმწიფო ხაზინაში ხელის ფათურმა, მის ხარჯზე გამდიდრების ტენდენციებმა, ქვეყნის ქონებისა და დოვლათის მიტაცებამ, ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ თითოეული ჩვენგანის მოთმინების ფიალა აივსო.

ერთი ძველი საბჭოთა პერიოდის მოწოდება აღდგა ჩემს მეხსიერებაში: დამნაშავეთა (მაშინ სიტყვა კორუმპირებული არ იყო) ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!.. და თუ ეს მართლაც ასე იქნება, შანთით „გახურებულ“ მიწაზე კორუმპირებული ვერ გაივლის. თუ კორუფციას საზოგადოების სიმსივნე უწოდეს, მხოლოდ პატიოსანი, შეულახავი რეპუტაციის მქონე ადამიანთა მეშვეობით, მათი სუფთა ხელებით შეიძლება განვიკურნოთ ამ მძიმე სენისგან. უკან დასახევი გზა არ არის. წარმატებას უთუოდ მივაღწევთ, თუ ბრძოლას უკომპრომისოდ, ანტიკორუფციული კომისიის მიერ შემუშავებული ღრმად გააზრებული პროგრამის საფუძველზე წარვმართავთ.

ჯერ კიდევ არ არის გვიან...

შევეცადე გულწრფელად გადმომეცა ჩემი სათქმელი ქვეყნის ზოგიერთ სატკივარზე. მე იმ ადამიანთა შორის ვარ, რომლებსაც გულთან ახლოს მიაქვთ ქვეყნის ჭირ-ვარამი, თუნდაც იმიტომ, რომ იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობასთან. საზოგადოებაში აქა-იქ გაისმის ხმები – შეძლებს კი ბატონი ედუარდი და მისი გუნდი გამოიყვანოს ქვეყანა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც იმყოფება? მდგომარეობა მართლაც მძიმეა და არსებობს გარკვეული საფუძველი ასეთი განცხადებისა, მაგრამ ჩვენში უმრავლესობა მაინც სულ სხვა გაგებისა და რწმენისა გახლავთ. მათ არ დაუკარგავთ იმედი, რომ ქვეყანა სწორედ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით დააღწევს თავს სიძნელეებს – მოახდენს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოდერნიზებას და გადაწყვეტს გლობალურ პრობლემებს. სწორედ ამ თვალსაზრისს ვემხრობი მეც. საამისოდ კი აუცილებელია ურთიერთდაპირისპირებისა და სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობის ერთმანეთზე გადაბრალების ნაცვლად, პრეზიდენტს მხარში ამოვუდგეთ, ყველა სასიკეთო და საიმედო ეროვნული ძალები გავაერთიანოთ, ერთ მუჭად შევიკრათ და ვაკეთოთ კონკრეტული საქმე. მხოლოდ მაშინ აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და მკვეთრად ამაღლდება ადამიანთა ცხოვრების დონე.

გრამიტონ კვარაცხელია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ისტორია

რუსეთის სამხედრო ატაშე ქართული ჯარის ოფიცერთა შესახებ

როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთის საელჩო დემოკრატიულ საქართველოში დიპლომატიური საქმიანობის გარდა, აქტიურ სადაზვერვო მუშაობასაც ეწეოდა. დიპლომატის იმუნიტეტით აღჭურვილი საბჭოთა რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები, მათ შორის სამხედრო ატაშეც, აგროვებდნენ აგენტურულ ცნობებს ქვეყნის სამხედრო პოტენციალის, შეიარაღებული ძალებისა და ქართული ჯარის ხელმძღვანელ პირთა შესახებ. საბჭოთა „დიპლომატების“ ძირგამომთხრელი საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთში კარგად ესმოდათ, რომ კავკასიაში „წითელი იმპერიის“ გაბატონებული მდგომარეობის აღდგენა და შენარჩუნება შეუძლებელი იყო საქართველოს ხელახალი დაპყრობის გარეშე, რადგანაც ჩვენი ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით კავკასიის ხერხემალს წარმოადგენდა და ამდენად, რეგიონში ბატონობის გასაღები საქართველოში იდო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოში ელჩად მოავლინა არა დიპლომატი, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელი სერგეი მირონის ძე კიროვი (კოსტრიკოვი).

საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე შეგროვილ მასალებს მოსკოვში აგზავნიდა. მისი ინტერესების მიღმა არც ქართული ჯარის ელიტის წარმომადგენლები დარჩენილან, რომელთა შესახებ მეკრებილ აგენტურულ ცნობებში საკუთარი მოსაზრებანი აქვს გამოთქმული. თუმცა, იმასაც შევნიშნავთ, რომ ეს მოსაზრებანი ტენდენციურად გვეჩვენება, რადგანაც მის სუბიექტურ შეხედულებებში ქართული ჯარის უფროს ოფიცერთა შესახებ მრუდე სარკეშია დანახული ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმი, მათი პიროვნული თვისებები. არადა, ქართველ ოფიცერთა რენომე საკმაოდ მაღალი გახლდათ რუსეთის იმპერიაში. ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ქართული ჯარის უფროს ოფიცერთა ზოგიერთი წარმომადგენლის დახასიათება საქართველოში რსფსრ-ს საელჩოს სამხედრო ატაშის მიერ. ეს დოკუმენტი დაწერილია 1920 წელს, წარმოადგენს მოკლე დოსიეს ქართველ უფროს ოფიცრებზე. აი ისიც.

„რსფსრ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა საქართველოში. სამხედრო ატაშე. ამხანაგებს ლენცმანს, შტეიმანს, ოლოევსკის.

მოხსენება №272. ხელმძღვანელ პირთა დახასიათება. გენერალი იოსებ გედევანიშვილი. დაამთავრა გენშტაბის აკადემია მეორე თანრიგით. 1905 წლამდე მსახურობდა დივიზიის შტაბში. 1906 წელს მონაწილეობდა დუშეთის ხაზინის გაძარცვაში, ვითომდა პოლიტიკური მიზნით (აქვე დავსძენთ, რომ სოციალ-ფედერალისტების მიერ დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციაში მონაწილეობისათვის ი. გედევანიშვილს ოთხი წლის პატიმრობა მიუსაჯეს – ზ. შ.). იყო პასუხისგებაში. დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შემდეგ, კვლავ შედის სამხედრო სამსახურში და სწრაფად, კაპიტნობიდან აღწევს გენერლობას. არავითარი სერიოზული სამხედრო მომზადება, არ მეთაურობდა ასეულსაც კი. როგორც ფრონტის სარდალი, სრულიად უნიჭოა, მაგრამ დიდი პრეტენზიების მქონეა. ჟორდანიამ, ჩანს, კარგად შეიცნო იგი და ამჟამად მას ვერ იტანს.

პოლკოვნიკი ძაგანია (ფრონტის შტაბის უფროსი) ნიჭიერი, მაგრამ გენშტაბის ნაკლები გამოცდილების მქონე ოფიცერი, რომელმაც 1918 წელს დაასრულა აკადემიის დაჩქარებული კურსი. მსხვილი ოპერაციებისათვის სრულიად მოუმზადებელია.

გენერალი ჯიჯიხია. ომის პირველსავე წელს (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი – ზ. შ.) გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ, საიდანაც დაბრუნდა 1918 წელს კაპიტნის ჩინით. მოღვაწეობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. მოეწყო სახალხო გვარდიაში და სწრაფად მიაღწია გენერლის ჩინამდე. სამხედრო თვალსაზრისით მომზადებულია სუსტად, დიდი ინტრიგანია. მიიღო თანამდებობა, რადგანაც სახალხო გვარდიაში დასაწინაურებელი სხვა აღარავინ იყო.

პოლკოვნიკ სლინკოს შესახებ უკვე მოგწერეთ. გენერალი სუმბათოვი (სუმბათაშვილი – ზ. შ.) და განსაკუთრებით ვარდენ წულუკიძე კარგი სამწყობრო ოფიცრები არიან, რომლებსაც განვლილი აქვთ ჯარისკაცური სამსახურებრივი სკოლა.“ (სცსსა, ფონ. 1877, საქ. 3. ფურც. 184).

ეს დოკუმენტი მკაფიოდ ადასტურებს რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთა, კერძოდ კი, სამხედრო ატაშეს სადაზვერვო საქმიანობას საქართველოში. აქვე შევნიშნავთ, რომ რუსი სამხედრო ატაშე ანტიპათიურადაა განწყობილი ქართველი სამხედრო ინტელიგენციის მიმართ, განგებ აკნინებს მათ პროფესიონალიზმს. არადა, ჩვენი ოფიცრობა ყოველთვის შეადგენდა რუსეთის იმპერიის ელიტარულ ნაწილს. ამიტომაც, ვფიქრობთ, ქართველმა მკვლევარებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სამხედრო ინტელიგენციისა და საერთოდ ქართულ საჯარისო ფორმირებათა ისტორიის კარდინალურ საკითხებზე მუშაობას. ამ მიმართებით გარკვეული ძიება მიმდინარეობს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტშიც, რომლის ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს ამ პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებს, რაც მისაბაძ და საშურ საქმედ მიგვაჩნია. ქართველ მეომართა მრდამი წინაპართა მხედრული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჯეროვნად შესწავლა სასიკეთოდ წაადგება საქმეს.

გურამ შენგელია.

შპს „შანდორი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვაკითხოთ ფირმის მისამართზე: ნინოშვილის ქ. №44.

შპს კულტსამეურნეო საქონლის დირექცია

აცხადებს, რომ ქ. თბილისის რკინიგზის სადგურის სალაროების ფოიეში, დაიკარგა ვარდისფერი პოლიეთილენის საქაღალდე, რომელშიც დევს საჯარო რეესტრის მიერ გაცემული რეესტრის ამონაწერები, რომლებიც ადასტურებდნენ სააქციო საზოგადოება კულტსამეურნეო საქონლის საკუთრების უფლებას ამავე საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნამდე – შემდეგ ქონებაზე:

1. ქ. თბილისში, დიდი ხეივნის ქუჩა №3-ში მდებარე 757 კვ. მ. მიწისქვეშა გასასვლელში არსებულ არასაცხოვრებელ ფართზე, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომრით №1/18/5/2/8; განაცხადის რეგისტრაციის ნომერია №2426/99, თარიღით 21.07.99. გაცემული 1999 წლის 31 აგვისტოს სახელმწიფო რეგისტრატორის მიერ. ამონაწერს თან ერთვის საკადასტრო რუკა.

2. ქ. თბილისში, გულიას ქუჩა №1-ში მდებარე 12800 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე და არასაცხოვრებელ ფართზე. უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერია №1/18/5/8/4; განაცხადის რეგისტრაციის ნომერია №1816/98, თარიღით 28.12.98. გაცემული 1999 წლის 21 იანვარს სახელმწიფო რეგისტრატორის მიერ, ამონაწერს თან ერთვის საკადასტრო რუკა.

მპოვნელს გთხოვთ მოგვმართოთ
მისამართზე: გულიას ქ. №1
ან დაგვირეკოთ: 94-27-66; 899-58-10-56.

შპს კულტსამეურნეო საქონლის დირექცია.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

დავით ტიგინაშვილი

ციკლიდან — „თუშური ჰანგის წკრიალი"

ნეტა ვინ დაგჭრა, არწივო

ნეტა ვინ დაგჭრა, არწივო,
ვინ დაგიღამა დილაო,
მხარზე შეახმეს მარჯვენა,
შენებრ დაენგრეს ბინაო.
დამწუხრებულა საჯიხვე,
ვეღარ ვჭერდები შინაო,
დაჭრილი მაინც მესტუმრე,
ცრემლებს დაგაფრქვევს თინაო.
იფრინე, ოხერ-ტიალო,
სანამდის მთებში გრილაო,
შენით იღვიძებს ბუნება,
შენს კივილს მოსდევს დილაო.
ნეტა ვინ დაგჭრა, არწივო,
ცრემლებ ვინ დაგადინაო,
ვინც საქართველოს ფრთას მოსტეხს,
თავზე დაემხოს ბინაო!..

მტერო, კლდის ანატეხი ვარ

მტერო, კლდის ანატეხი ვარ,
ცაში აჭრილი სალისა,
ღრუბლებსა ვგევარ სასეტყვეს,
არა მეტყობა დარისა.
ბრძოლაში გამოზრდილი ვარ,
გამოდი არ დაახანო,
მკლავი შემახმეს, მარჯვენა,
თუ ჩემს მიწაზე გახარო.
გულსისხლძარღვებში, ოხრებო,
დიდგორის სისხლი ღრიალებს,
წმინდა გიორგი, ძლიერო,
დაგვლოცე, აგვახმიანე!

ცუდს ნურას იზამთ, შვილებო!

ცუდს ნურას იზამთ, შვილებო,
ქვეყანა დაგემდურებათ,
მაღლიდან ღმერთი დაგვყურებს,
დედამიწაზე ბუნება.
ისმინეთ ჩემი ვედრება,
რას დააცქვიტეთ ყურები,
თუ სადმე ცოდვამ გიწიათ,
მე ნუღარ დამემდურებით.

გულს მიხსნის ივრის ქალები

გულს მიხსნის ივრის ჭალები,
გრილი ნიავი ბინდისას.
ძილშიაც მესმის ხივილი
ჩემი გიჟმაჟი ივრისა.
მორბის, მოანგრევს ოხერი,
დღე ენატრება მზიანი,
იორ-ალაზნის სათავეს
რა შეედრება ტიალი!..
ვერ დასთვლი ამდენ წყაროებს,
დაგატკბობს მათი ხმაური,
აგახმიანებს ბუნება
თავისი აურ-ზაურით.
ვენაცვლე ივრის ხეობას,
მთაში კლდეს, ბარში ჭალებსა,
ყველას ჩავკოცნი გულმკერდში,
ივრის წყლით ნაბან ქალებსა.

იხარე, ტურფა ბუნებავ

კლდეზე გადმოჰქუხს არაგვი,
თერგის ღრიალი მაგიჟებს,
ათასწყაროთა კისკისი
როგორ უხდება მძაბიჭებს.
ძირს ალაზანი ბუტბუტებს,
ივრის მებნაში დაღლილა,
მტკვარი მოარღვევს ნაპირებს,
მთვარე დაჰყურებს მაღლიდან.
იხარე, ტურფა ბუნებავ,
არ შეგეცვალოს წესები, —
ზამთარ-ზაფხულში ხარობდეს
ლამაზ ყვავილთა ფესვები.
შენი მშვენებით, ოხერო,
მტერსაც უბრწყინდეს თვალები,
ზაფხულში თოვდეს მთის წვერზე,
ბარად ყვაოდეს ჭალები.
შემოსეოდნენ ველ-მინდვრებს,
ჩვენი ცქრიალა ბალღები,
გადამეხედოს, ჩამოვტკბე,
გულზედ მომეშვას დარდები.

შუბლში მიყურე, დიაცო

სადედაკაცოდ გამხდარა,
ცეცხლი ჩაქრობას აპირებს,
დედაკაცს ცეცხლთან რა უნდა
ის უნდა ზრდიდეს უმაწვილებს.
კრუხივით ქექოს ნაცარი,
ცოცხი ეკავოს ხელშია,
მანდ რა ხმალ და ხმალ გადავა,
სახელ გაითქვამს თემშია.
შუბლში მიყურე, დიაცო,
ნუ დახვალ განი-განზედა,
აახმიანე საჯიხვე,
თორო გაგცვალე სხვაზედა.

დასჭექე, ჩემო გამზრდელო

რამდენჯერ დაგიჭექია,
ღრუბელო, სეტყვის მშობელო,
გულს არ მეშვება შენი ხმა,
ზეციდან თავზედ მდგომელო.
დაიღრიალე, ოხერო,
ვაი, რა ძალა გქონია,
უშენოდ კაი ლექსებსაც
ვერ დავწერ, ასე მგონია.
დასჭექე, ჩემო გამზრდელო,
მიყვარხარ, გულით გეკვრები,
გთხოვ, იქაც შეაზანზარო
ჩემი საფლავის კედლები.

ცრემლმორეულმა პანთეონში შემოვიარე

ცრემლმორეულმა
პანთეონში შემოვიარე,
თქვენს ფერებაში გავატარე
ღამე დილამდე,
ღვინო დამისხით,
ღმერთმა ყველას სული გიცხონოთ,
ეთიმ-გურჯიდან დაწყებული
გრიშაშვილამდე!
ღვთიური ღვინო,
პური, ყველი,
ქორფა მწვანილი,
მოგონებებში ცრემლნარევი
ყანწი ივსება,
მომარწყვევინეთ ეს სამოთხე
ვაზის ცრემლებით,
ღმერთო! თქვენა ხართ
უკვდავება, ჩვენი ღირსება...
დილა თენდება
ბულბულების ტკბილი გალობით,
ნაზი სურნელი ეფინება
იმერ-ამიერს,
ჰაუ, რა იყო პანთეონში
ის ერთი ღამე,
ქალბატონებო, ბატონებო,
მრავალჟამიერ!!!

მოთხრობა

ნანა კანდელაკი

არა მარტო პურითა...

ალექსი იმ საღამოს ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაბრუნდა შინ.

ფეხაკრეფით შევიდა სამზარეულოში. სანათური ჩართო, მაცივრიდან „ბორჯომი" გამოიღო, გახსნა და უმალვე ტუჩთან მიიტანა. ბოლომდე დასცალა. ცარიელი ბოთლი მაცივარზე დადგა, სამზარეულოს მაგიდასთან დაჯდა, საკინძე ბოლომდე შეიხსნა და მთელი ამ დღის განმავლობაში ნაჯაფარმა და დაღლილმა პირველად შვებით ამოისუნთქა.

სამზარეულოში დედამისი შემოვიდა, ქეთევანი. მაგიდას მიუჯდა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა, — მოხვედი, შვილო, და ნაღვლიანი, ნამტირალევი თვალებით შეხედა.

— ჰო, მოვედი, დედი... რაო, ვითომ ძალიან დავიგვიანე, ასე რომ მომჩერებიხარ? კაცი ვარ, დედი, ოჯახის მარჩენალი, რით ვერ შეეჩვიე ამას? მაინც მაპატიე, ამდენს რომ განერვიულებ. ესაა დედისერთას ხვედრი, ყველაფერზე ღელავ. მაგრამ დამიჯერე, მადლობა ღმერთს, ის დრო წავიდა, იმ მოთარეშე თოფიანების შიშით, ღამე კი არა, დღისითაც ჭირდა სიარული ქუჩაში... სამაგიეროდ, ხელცარიელი არ მოვსულვარ... შეხედე... — ალექსიმ ნიშნის მოგებით გახედა ქეთევანს, შარვლის ორივე ჯიბიდან რამდენიმე შეკრული ფულის დასტა ამოალაგა და მაგიდის შუაგულში დააწყო.

დედამ ამდენი ფულის დანახვაზე არავითარი რეაგირება რომ არ გამოხატა და არ აგრძნობინა, არაფრად ჩააგდო, ალექსის წაუხდა გუნება, მაგრამ თითქოს არც შეუმჩნევიაო დედის ეს გულგრილობა, სკამის საზურგეზე გადაწვა და თავმომწონედ წარმოთქვა:

— შევუსრულე ჩემს თამუნას დიდი ხნის ნატვრა და ოცნება. წავიდეს და ხვალვე იყიდოს ის ძვირადღირებული ქურქი. რატომაც არა? — ვიღაც-ვიღაცეები თუ დაბრძანდებიან რუსთაველზე და გამვლელებს ნაცარს აყრიან თვალებში, ჩემი თამუნა ვისზე ნაკლებია?! მინდა ესტუმროს, მოვა თუ არა პირველი თოვლი თბილისში, თავისიანებს და ნახონ, როგორ ვაცხოვრებ მათ შვილს, რომ მეტი რიდი ჰქონდეთ სიძისა... დიახ, ეგრე არ არის საქმე, იმათ რომ ეგონათ...

ქეთევანმა დარდიანად შეხედა შვილს და ამოიოხრა. მაგრამ ალექსიმ ამას ყურადღება არ მიაქცია, განაგრძო, ცდილობდა დედის უგუნებობა გამოეკეთებინა:

— რომ იტყვიან, ნემსის ყუნწში გავძვერი... ძნელია ამ დროში ბიზნესმენობა. ათას ვიღაცას უნდა თავი უქონო. ლამის გული ამერიოს ზოგჯერ, მაგრამ რას იზამ, ასეა საჭირო, ისე ფონს ვერ გახვალ... და აი, შედეგი: კარგა დიდი თანხა მოვიგე. ალალი იყოს ჩემ თამუნასთვის და შენთვის, დედი, ჩემი ოქრო ბიჭებისთვის. ხომ იცი, დედი, თამუნასთვის სიცოცხლეც არ მენანება. უნდოდა, ის ქურქი ჰქონოდა, იყიდოს, ხვალვე იყიდოს!

ქეთევანს წეღანდელზე უფრო მეტად ჩამოეღრუბლა სახე, ფულის შეკვრები შვილისკენ გასწია, ჩუმად ამოიოხრა და თავი თითქმის მაგიდამდე ჩაქინდრა.

— რა იყო, დედი? ცუდად ხარ? რა დაგალევინო, თუ „სასწრაფოს" გამოვუძახო? დედა, ხმა გამეცი... ადამიანისფერი არ გადევს სახეზე, გავაღვიძო თამუნა? მანამ კი „სასწრაფოს" გამოვიძახებ, — მან ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, დარეკვა დააპირა, მაგრამ დედამ არ დაანება, თავი ნელა გაიქნია, თვალზე წამოსული ცრემლი თითით მოიწმინდა და ძლივს გასაგონად ჩაიდუდუნა:

— არ გინდა, შვილო... ნუ შეწუხდები, მე არაფერი მომივა... შენს თავს მიხედე...

ალექსი ფეხზე წამოიჭრა, თვალებაბრიალებულმა წამოიძახა:

— მე რა მაქვს მისახედი, უბედნიერესი კაცი ვარ, მაგრამ ეს რა ლაპარაკია, ვერ მიგიხვდი, რა გაქვს მხედველობაში? დედა... რაღაც შეგემთხვა? რაღაც მოხდა? თქვი, ადამიანო, თქვი, გული ამოვარდნაზეა.

დედამ წინსაფრის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ფურცელი ამოიღო, შვილს თანაგრძნობით შეხედა და წერილი გაუწოდა.

— წაიკითხე.

— რა არის ეს? ვისგანაა? უწყისია რამე?!

— წაიკითხე და გაიაზრე, რაც მოხდა, ალექსი.

— ვინ გადმოგცა? ვისგანაა?

— თამუნასგან.

— თამუნასგან?! — ჯერ გაოგნდა ალექსი, მერე კი უცბად გაეღიმა, — გასაგებია, მორიგი თხოვნაა, თვითონ ვერ მეუბნება და წერილით მამცნობს... ვიცი, სადმე ეგზოტიკურ, ფეშენებელურ კურორტზე უნდა დასვენება... მაგას ვენაცვალე, უარს როგორ ვეტყვი. ეს ფული სულ მაგისია, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს, რად დაიხარჯა წერილის დაწერაზე.

— ალექსი! — მკაცრად შეხედა ქეთევანმა შვილს, — წაიკითხე წერილი, წაიკითხე!

ალექსი აღარ შესიტყვებია დედას, ფურცელი გაშალა და თვალი გააყოლა გაკრული ხელით დაწერილს.

წერილში ეწერა:

„ალექსი! მიყვარდი, მართლა მიყვარდი და ჩემი ოჯახის მხრიდან მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ცოლად გამოგყევი. მჯეროდა, დარწმუნებული ვიყავი, შენსავით ამქვეყნად არავის ვუყვარდი. ორი შვილი გაგიჩინე, სკოლის კარამდე მივიყვანე, გვქონდა ოჯახი, მაგრამ დღეიდან ყველაფერი დამთავრდა. მივყვები ადამიანს, რომელმაც სიყვარულთან ერთად მაგრძნობინა, რომ ქალი ვარ და არა თოჯინა. მან მაზიარა სიყვარულის იმ მწვერვალებს, რაზეც მხოლოდ ფილმებში მინახავს, წიგნებში წამიკითხავს. ამას ვეღარ დავთმობ! არც მინდა მოგატყუო, არც იმას უნდა, არ დაუშვებს, სარეცელი სხვასთან გავუყო. ვიცი, ცოდვაა შვილების მიტოვება, ოჯახის დანგრევა, მაგრამ მაპატიეთ. ცოდვად ის უფრო ჩამეთვლებოდა, ორ კაცს შუა რომ გამეყო ცხოვრება. მაპატიეთ შენც, შვილებმაც, რომ ვერ ვკარი ხელი სიყვარულს. თამუნა".

— გაგიჟდა?! მითხარი, დედა, გაგიჟდა?! როგორ თუ წავიდა, სად, ვისთან?! ეგ უტიფარი, როგორ მწერს, რომ სიყვარულს ხელი ვერ ჰკრა... რომელი თხუთმეტი წლის გოგონა ეგა მყავს, რომ გრძნობას აჰყვა? რა გამართლება აქვს მის საქციელს, ეს ხომ ღალატია, ღალატი! — ალექსიმ წერილი მოჭმუჭნა რაც ძალა და ღონე ჰქონდა და მაგიდას დაანარცხა.

— ალექსი... გთხოვ... შვილის დამშვიდება სცადა ქეთევანმა, მაგრამ იმას აღარაფერი ესმოდა, უკიდურესობამდე იყო აღელვებული.

— რა ვუთხრა შვილებს, დედა? როგორ ავუხსნა მათი დედის საქციელი? მოვეკალი, მაგ უსულგულოს, მოვეკალი, ამ სირცხვილს რომ არ მოვსწრებოდი... რომ მწერს, მაპატიეო... რა ვაპატიო, ღალატი, უტიფრობა, აჯილდობა? მე კი... სულ იმაზე ვფიქრობდი, ნემსის ყუნწში ვძვრებოდი, რომ თამუნას დედოფალივით ეცხოვრა, გამორჩეული რომ ყოფილიყო ყველასაგან. რა აკლდა, რა? თქვი, დედა, განა რა აკლდა? რასაც ვაკეთებდი მისთვის, განა ეს დიდი სიყვარულის გამო არ იყო?! — აქვითინდა ალექსი და ისევ წერილს სტაცა ხელი, გაშალა და თავიდან გადაიკითხა.

ქეთევანმა „ბორჯომი" ჩაუსხა ჭიქაში, წინ დაუდგა, მაგრამ ალექსიმ არც შეხედა დედის მიწოდებულ ჭიქას, გულდამდუღრებულმა ამოიგმინა:

— წავიდა... გამცვალა... მიღალატა და კიდევ ბედავს, მწერს, მაპატიეო... არასოდეს! ამის პატიება არ შეიძლება, კაცი თუ ვარ და კაცური თავმოყვარეობა თუ გამაჩნია... მორჩა, დღეიდან ამოვიგლიჯე მისი სახელი გულიდან, სამუდამოდ!

— იყუჩე, შვილო... ბავშვები არ გააღვიძო, ცოდონი არიან.. ღმერთი მაღალია, დროა საჭირო, ჭრილობა რომ შეხორცდეს... გაუვლის ეს დროებით მოწოლილი ვნება, განელდება ცეცხლი სიყვარულისა, ქალია და არ შეიძლება არ მოაგონდეს შვილები... ნახავ, ფეხებში ჩაგივარდებათ და პატიებას გთხოვეთ, — ალერსით უთხრა ქეთევანმა.

— რას ამბობ, დედა, ან კი როგორ ამბობ ამას? როგორ თუ გაახსენდება შვილები და მობრუნდება... არა, დედი, გატეხილ პურს ვეღარაფერი გაამრთელებს. ჩემს შვილების ძარღვებში ჩემი სისხლი მოედინება, ამაყი, თავმოყვარე კაცის სისხლი. ათი წელიწადია ერთად ვართ და დამიჯერე, მე სხვა ქალისკენ არ გამიხედავს, ხატად მყავდა ეგ და მაგაზე ვლოცულობდი... ნუთუ არ გრძნობდა ამას? ვინ მიგდია ის, ვისაც ორი გვრიტივით შვილის სიყვარული ანაცვალა, ვინ მიგდია?.. გახსოვს, დედა, რომ დავქორწინდით, თითქმის ბალღები, მთელი ქალაქი ლაპარაკობდა, სიყვარულმა ყველა ჯებირი გადალახა და ზეიმობსო, ხომ გახსოვს? დღეს კი რასა მწერს, რას? — ტიროდა გამწარებული კაცი, მოთქვამდა, ბოლთას სცემდა სამზარეულოში და მაგიდასთან ყოველ ავლა-ჩამოვლაზე მუშტს შემოჰკრავდა ხოლმე.

ქეთევანი შიშით თვალს ადევნებდა აბობოქრებულ შვილს, შიშის ზარი სცემდა, გული არ გახეთქოდა და უფრო ამიტომაც სდუმდა, თავისი ნათქვამით უფრო არ გაელიზიანებინა.

ალექსი კი სწორედ დედის დუმილმა გააბრაზა, — რასა სდუმხარ, თქვი რაღაცაო.

— ვიფიქრე, გული მოიოხოს-მეთქი და მერე ვეტყვი. როგორ არ გეტყვი, რასაცა ვფიქრობ, რაც გულს მიკლავს... ადვილი გგონია ჩემთვის, შენ ეგრე გამწარებულს რომ გიყურებ?! დაჯექი, დალიე „ბორჯომი", სული მოითქვი და მომისმინე,

ალექსიმ შეასრულა დედის თხოვნა, დალია „ბორჯომი", სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა და მის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა მაგიდასთან.

ქეთევანმაც მოსვა „ბორჯომი", ერთი ხანი მაგიდას დასჩერებოდა, რამდენჯერმე გაუსვა ხელისგული იქაურობას და ისე დაიწყო ლაპარაკი, რომ შვილისკენ არ გაუხედავს, თითქოს თავისთავს ებაასებოდა.

— თქვენ, მამაკაცებს გგონიათ, უმრავლესობას ყოველ შემთხვევაში, ოჯახში ცოლი მაძღარი თუ გყავთ, ჩაცმულ-დახურული, სახლ-კარი მორთულ-მოწყობილი, ეს არის, ბედნიერების მთავარი ნიშანი „ხუთიანზე" გაქვთ შესრულებული... ვაი, რომ ასე არ არის... გაიხსენე, მამაშენი როგორ მაცხოვრებდა? საკმაოდ საშუალოდ, მაგრამ ზოგჯერ, როგორც იტყვიან, იმ ხმელა პურს იმდენ ალერსს, სითბოს და სიყვარულს ჩაატანდა ხოლმე, ნამცხვარს შერჩევნა... არც ვარდი და არც მიხაკი მას ჩემთვის არ მოურთმევია, მაგრამ შინ ისე არ მოვიდოდა, ყვავილნარების გაზონს გარეთ, შიგადაშიგ მინდვრის ყვავილი რომ იყო გარეული, იმის პატარა კონა არ მოეტანა... აბა, გაიხსენე, ხილს რომ მოიტანდა შინ, თვითონ გარეცხავდა, მათლაფაზე დაყრიდა და პირველს... მე მომაწოდებდა. ერთ პრემიერას არ ვაცდენდით. ქანდარაზე ვიჯექით, მაგრამ ანტრაქტის დროს რომ გავისეირნებდით, ჩვენს ღიმილიან სახეზე ყველა იგრძნობდა, ვინც შემოგვხედავდა, უზომოდ შეყვარებულები ვიყავით...

შენ კი... სულ საშოვარზე იყავი გასული, რაც ეგ გოგო ცოლად მოიყვანე. ამ ლამაზ ქალს, მართლაც ძვირფასად მორთულ-მოკაზმულს, დღეობებზე, კონცერტებზე, გასვენებებზეც კი მეგობარ ქალებთან ერთად უშვებდი... ქალი დანატრული იყო შენს ძლიერ ხელს, ენატრებოდა, საზოგადოებაში შენთან ერთად გამოჩენილიყო... რამდენჯერმე გაგაფრთხილე, გითხარი, გამაჩუმე, ჩვენს საქმეში ნუ ერევიო... გათხოვილი ქალი მარტოხელასავით, მარტოსულივით გყავდა... პოდა, აი ამის ბოლო.

— გაჩუმდი, დედა, გემუდარები გაჩუმდი, სულ არ გეცოდები? გაჩუმდი... დაიკვნესა ალექსიმ და თავი ჩაქინდრა.

— არა მარტო პურითა... ასე სწერია ბიბლიაში. ეს უნდა გაგეთვალისწინებინა... აკი, გწერს: ამ კაცმა მაგრძნობინა, რომ ქალი ვარ და არა თოჯინაო...

— კი, მაგრამ, დედა, მის გვერდით რომ ემჯდარიყავი, განა ამ ფუფუნებაში მეყოლებოდა? ხომ იცი, რა ოჯახშიც გაიზარდა, — თავის მართლება სცადა ალექსიმ.

— მინდა იცოდე, შინიდან არაფერი წაუღია, არც ერთი სამკაული, რაც ეცვა, იმით გავიდა სახლიდან და წავიდა. შენი არაფერი გაიყოლია, არაფერი... ასეა, არა მარტო პურითა... ყველაფერზე ხელი აიღო, ყველაფერზე, ნანატრი სიყვარულის თასის შესმისათვის...

— დედა, შენ ამართლებ მის ღალატს?! — ისევ წამოენთო ალექსი.

— არამც და არამც, შვილო, მაგრამ ჯოხს ორი ბოლო აქვს, მისი საქციელი ერთი ბოლოა, მეორე შენა ხარ. ჩაიხედე შენს თავში. გააანალიზე შენი საქციელიც... რა თქმა უნდა, ყველა ქალი როდი ჰყვება გრძნობას, მაგრამ ხდება ასეც... თამუნამ იმ კაცში იპოვა თავისი სულის სწორი და ვერ გაექცა ცდუნებას... ეს მისი იქნებ უბედურებაცაა...

— ამიტომ წერს, მაპატიეო?! არა, არა! ორგულობას, ღალატს არ ვაპატიებ, — შესძახა გაგულისებულმა ალექსიმ, დამუშტული ხელი მაგიდას დაჰკრა და ყვირილით ხელი ჰკრა ფულის დასტას: — ოხრადაც დარჩენილხარ... ოხრადაც!

ხმაურზე სამზარეულოში ძილდამფრთხალი ბავშვები შემოვიდნენ.

უფროსმა ბიჭმა აღელვებით იკითხა:

— რა მოხდა, მამი, რა ხმაური იყო?

— შენ ყვიროდი, მამი? — უმცროსმა ბიჭმა უფრო მორიდებით მიმართა მამას:

— მამი, სამსახურიდან მოგხსნეს? ეგ არაფერი, ახლა ძალიან ბევრია უმუშევარი... შინ იქნები და ერთად წავალთ ზოოპარკში... შენ არც კი იცი, იქ რამდენი ახალი ბინადარია, ხომ ბებო? დედას როგორ გაეხარდება, სულ შინ რომ იქნები.

ალექსიმ სწრაფად მოისვა ცხვირსახოცი თვალზე, შვილებს გადაეხვია. უცებ ყელში რაღაცამ წაუჭირა, არ იცოდა, როგორ უნდა ეთქვა მათთვის, რაც მათ ოჯახში დატრიალდა. ასე უმწეოდ არასოდეს უგრძვნია თავი და გონებაში ღმერთს შევედრა: დახმარებოდა, არ აღრიალებულიყო.

ბიჭმა კი განაგრძო:

— დედა სად არის? შენ ისე ყვიროდი, როგორ არ გაიგონა? დედა, დედიკო, — გასძახა მან და მშობლების საძინებლისკენ დააპირა გაქცევა, მაგრამ ალექსიმ შეაჩერა, არ გაუშვა.

ბიჭმა გაკვირვებით ამოხედა მამას, გაიმეორა შეკითხვა:

— სად არის დედა? ასე მაგრად სძინავს?

ალექსი ქანდაკებასავით გაშეშდა.

ასე განადგურებული და შეურაცხყოფილი მაშინაც არ იყო, საშინელი ამბის მაცნე წერილი რომ წაიკითხა. ძალა მოიკრიბა შვილებთან გულახდილობით უნდოდა განემუხტა გულისმომკვლელი ფიქრი, ლოდივით რომ აწვა გულზე და სუნთქვას უშლიდა, სულს უხუთავდა.

უნდოდა ეთქვა, რომ დედამ მიატოვა ისინი, წავიდა სახლიდან, წავიდა სხვა კაცთან. უნდოდა დაემცირებინა მისი გულისმომკვლელი, უშვერი სიტყვებით სამარცხვინო ბოძზე გაეკრა ოჯახის მოღალატე და შემარცხვენელი, მაგრამ კრიჭა შეეკრა, კრინტიც ვერ დაძრა. ახლა თუნდაც ერთი სიტყვის თქმა, მის ძალას აღემატებოდა.

შვილები კი მისჩერებოდნენ, მამის სიტყვას ელოდნენ, უნდოდათ გაეგოთ, სად არის დედა, რატომ არ არის ახლა, ამ წუთში მათ გვერდით.

ეს ვეება, ჯანით სავსე ვაჟკაცი, წასაქცევად განწირული, უსიცოცხლო ფიტულასავით იდგა. შვილებს თვალი ვერ გაუსწორა. მერე მოიკრიბა ძალა, ორივე ხელი თავში შემოიკრა, მლეგიანივით შევარდა საძინებელ ოთახში, ერთი კი იყვირა თამუნა! თამუნააა... რასაც არაადამიანური ღრიალი მოჰყვა.

შეშინებული ბიჭები ქეთევანმა ჩაიხუტა და თვითონაც ატირდა.

ივლისი, 2000 წ.

მხატვარი კარლო ფაჩულია.

ყრილობის წინ

მწერალთა კავშირის რეალური ისტორიისათვის

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის პირველი მეოთხედის ლიტერატურული პროცესი ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი: სადავოა გენეზისის სპექტრი, კვლავ ნახევაპროფილითაა წარმოჩენილი მოდერნისტულ დაჯგუფებებში მოღვაწე მწერლები, ლიტერატურის ისტორიაში არ არის ჩართული მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, არარეალისტური პრობლემატიკა და ა. შ. ერთ-ერთი ამ რანგის დაუზუსტებელი საკითხი იყო — ქართველ მწერალთა ორგანიზაციის ევოლუციის ეტაპები. მკვლევარები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ზოგჯერ ტენდენციურად განიხილავდნენ ისტორიულ მომენტებს, ხოლო პირველი მონოგრაფიული შრომა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, ბატონ რ. კვერენჩხილაძეს ეკუთვნის.

80-იანი წლებიდან ხელახლა იწყება ქართველ მწერალთა ორგანიზაციის რეალური ისტორიის აღდგენა, რაც თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდგომ კი მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე გახმიანდა.

შემდეგში მწერალთა ყრილობამ აღადგინა უშუალოდ მწერალთა ინიციატივით ჩატარებული პირველი და მომდევნო ყრილობები და დაადგინა მწერალთა კავშირის ყრილობების რეალური ქრონოლოგია.

მიუხედავად საკითხის გადაწყვეტისა, დღემდე სხვადასხვა თვალსაზრისი კვლავაც გამოითქმის. მიზეზი სათანადო მასალის არასაკმარისი პუბლიკაციაა. ნარკვევი მწერალთა ორგანიზაციის XX ყრილობას ეძღვნება. მართლაც, ისტორიული სინამდვილე ჭეშმარიტი ორიენტირია.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში მწერალთა კავშირის დაარსების თარიღად ერთმანეთის საწინააღმდეგო სამი საწყისი ეტაპია დამკვიდრებული: 1917, 1926 და 1932 წლები. ამ ქაოსური ვითარების შედეგად, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც სხვადასხვა ენაზე გამოცემულ სასწავლო, სამეცნიერო და საცნობარო წყაროებში აღრეული და დაპირისპირებულია არსებითი ლიტერატურული პრობლემები, ფაქტები, მოვლენები. სიტყვის ხელოვანთა პირველი პროფესიული გაერთიანება უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-შემოქმედებითი ფაქტორი აღმოჩნდა და ამ პროცესის რეალური ვითარების გათვალისწინების გარეშე XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შექმნაც შეუძლებელია. მწვავე სინამდვილეა, რომ რეპრესირებულთა რანგში აღმოჩნდა არა მარტო ცალკეული ნაწარმოები, მწერალი, არამედ მასშტაბური ორგანიზაციული სტრუქტურებიც. ჩვენი თვალსაზრისით საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიაში — არა სამი საწყისი თარიღია, არამედ სამი უმთავრესი ევოლუციური ეტაპი 1917 — (1921) — 1925; 1926 — (1928) — 1931; 1932 — (1934) — 1992 წლები და ორი მსოფლმხედველობითი რკალი: ეროვნული და საბჭოური.

მწერალთა კავშირის გრიფი აღნიშნულია 1920-1928 წელს გამოცემულ გაზეთზე „პოეზიის დღე": 1920 წლიდან — საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, 1922 წლიდან — სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, ხოლო 1928 წელს — მწერალთა ფედერაცია. ასევეა მინიშნებული ჟურნალებზე: „ლომისი" (1922-1923) „კავკასიონი" (1924), გაზეთებზე „ხომლი" (1923) „ივერია" (1923), „ქართული სიტყვა" (1923-(1924) და სხვა. უაღრესად მნიშვნელოვანია მწერალთა კავშირის მიერ 1918-1920 წლებში ჩატარებული ახალი შინაარსისა და თვისებების ღონისძიებები: მწერალთა პირველი დღესასწაული, ინტერნაციონალური პოეზიის საღამო, პირველი ერთობლივი შემოქმედებითი ექსკურსია ალავერდობისა და სვეტიცხოვლობის რელიგიურ-სახალხო ზეიმზე და სხვა.

როგორც მიჩნეულია, საქართველოს მწერალთა კავშირი უშუალო მემკვიდრეა 1908 წლიდან არსებული „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მოყვარულთა საზოგადოებისა". ასევე, ქართველ მწერალთა ორგანიზაციულად გაერთიანებას ორიოდე წლით უსწრებდა პირველი პროფესიული ლიტერატურული ჯგუფის „ცისფერი ყანწების" დაარსება, რომელთა თავკაცებმა, შეინარჩუნეს რა საკუთარი მსოფლმხედველობითი კრედო და მანიფესტისადმი მიდრეკილება, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს სხვადასხვა რედაქციებში მოღვაწე მწერლების შეკავშირებისათვის. ამ ფაქტს ტ. ტაბიძე ხაზგასმით აღნიშნავს: „იმ დროსაც ქართული მწერლობა დაყოფილი იყო ჯგუფებად. ყველაზე მემარცხენე ჯგუფი „ცისფერი ყანწები" სრულიად უარყოფდა კონსერვატიულ მწერლობას, მაგრამ ორგანიზაციული მიზნით, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, ეს ჯგუფი მოხდა მწერალთა კავშირის ორგანიზატორთა შუაგულში და კავშირის დაარსებიდან იცავს ამ პრინციპს". უთუოდ მწერლებისათვის მასტიმულირებელ როლს ასრულებდა ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, სცენის მოყვარეთა, განათლებისა და შემოქმედებითი კავშირები და საზოგადოებები. ხოლო საერთო ეროვნული თვითშემეცნების თვალსაწიერს აფორიაქებდა წინა საუკუნის ისეთი საზოგადოებრივი მოვლენები, როგორიც იყო: ოცდათორმეტი წლის შეთქმულებათა ამაყი სული, თერგდალეულთა პლეადის თავდადებული მოღვაწეობა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ტრადიციები. გასახსენებელია მამულიშვილური მოღვაწეობის ერთი მნიშვნელოვანი კონკრეტული შტრიხიც: 1880 წლის 27 ნოემბერს გაზეთი „დროება" იუწყებოდა „ორშაბათს, საღამოს, 24 ნოემბერს მოხდა პირველი ყრილობა ქართულ მწერლობის მოყვარულთა, რომელთაც აქვს განზრახვა დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი" შეათანხმონ ხელთნაწერ „ვეფხისტყაოსანს". ი. ჭავჭავაძისა და უმრავლესობის აზრით გადაწყდა „ვეფხისტყაოსანი" გამოიცეს ისევე, როგორც მანამდე გამოუციათ. რედაქციის გამგედ აირჩიეს გრ. ორბელიანი, ხოლო თანაშემწედ ი. ჭავჭავაძე და რ. ერისთავი". ამ ინიციატივის შედეგია „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის ძვირფასი, ქართველიშვილისეულად წოდებული გამოცემა. ოქმებში ამაგდართა შორის დასახელებულნი არიან აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია, ივანე მაჩაბელი და სხვა.

თვით ახლადდამკვიდრებული XX საუკუნის მძაფრი საზოგადოებრივი მოვლენები სათანადო ნიადაგს ქმნიდა მნიშვნელოვანი ცვლილებებისათვის: პოლიტიკურ ასპარეზს გამოეყო ლიტერატურული სფეროს ერთი ნაწილი; მცნება „ხელოვნება ხალხისათვის" ივსება „წმინდა ხელოვნების" ესთეტური შინაარსით, იდეოლოგიურ-პარტიულ ლიტერატურულ მიმართულებებს გაემიჯნა და დაუპირისპირდა მოდერნისტული ნაკადი, ლიდერის — უნივერსალური მოღვაწის ადგილი დიფერენცირებული მიმდინარეობების მესვეურებმა დაიკავეს, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიული გაერთიანებების წილხვედრი, პარტიულ-პოლიტიკურ ასპარეზზე პროფესიონალი პოლიტიკოსები მეტობენ, მწერლობაც სპეციფიკური, პროფესიული დარგი ხდება. ახალგაზრდობაც ძირითადად ასეთი პროცესისაკენ მიილტვის. მაგრამ, ამასთანავე საგრძნობლად გაღრმავდა იდეური, შემოქმედებითი და მსოფლმხედველობითი დაპირისპირება, რაც ზოგჯერ, სამწუხაროდ, მწვავე და არაეთიკურ ხასიათს ღებულობს. განმაზოგადებლად ჟღერს 1916 წლის 6 გიორგობისთვის ცნობილი პედაგოგისა და სათნო მოღვაწის სილოვან ხუნდაძის საჯაროდ წარმოთქმული სტრიქონები: **„დღევანდელ კრიტიკაში საზოგადოთ ყველგან სუბიექტური გრძნობა, პირადი სიმპატია და ანტიპატია სჭარბობს — და, ჩვენში ხომ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „პარტიები" გაჩნდნენ, კრიტიკამაც უმთავრესათ „პარტიული ხასიათი მიიღო, ხშირია იმისთანა მოვლენა, რომ „კრიტიკოსი" თავისი პარტიის პაწაწკინტელა მწერალს ცამდი ამაღლებს და ადიდებს, „სხვა პარტიისას" კი რიგიან მწერალსაც — მიწასთან ასწორებს... და ყველა ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს ძველებურათ არავინ ლოცულობს: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა და სადაც წმინდა გული და წრფელი სული არ სუფევს, იქ სიმართლესა და სამართლიანობას ადგილი არ აქვს".**

ამიტომაც დასჭირდა ქართულ მწერლობას ყრილობის წინ ქართველი ხალხისათვის, ინტელიგენციისათვის ეროვნული ინტერესებისათვის შეერთების, გაერთიანების მოწოდებით მიემართა: „თავისუფალი და ბედნიერი საქართველო — ჩვენ შეგვაერთებს" (ტ. ტაბიძე). გარდასული გზა-კვალი მარადიული ხიდია მომავლისაკენ. უმთავრესია ეპოქისეული ენერგიის მოქცევა-უკუქცევის ზვირთები და სიახლეთა ბუნებითი მუხტები საკეთილდღეოდ წარიმართოს. გადამწყვეტი ნიშანსვეტი 1917 წელი გახდა! თებერვლის რევოლუციის პოლიტიკურმა შედეგებმა თავიდანვე გაალღვია ქართული ეროვნული ფენომენი. ერთბაშად აფეთქდა და მშობლიური კერის წიაღში შენივთდა ინტელექტუალური შესაძლებლობები. პოლიტიკოსებზე უმეტეს ახალი პროცესების მესაჭე სასულიერო მრეველი და შემოქმედებითი ინტელიგენცია აღმოჩნდა. იმჟამინდელი თვალსაზრისით: „თებერვლის" ამბების შემდეგ საქართველოში ბევრმა არც კი იცოდა რა გაეკეთებინა, ქართველმა მწერლებმა გაორკეცებული ენერგიით იწყეს მუშაობა. მიუხედავად მწერალთა მთლიან ოჯახში მომხდარი განხეთქილებისა, ორფლანგად მომუშავე მწერლები მაინც ერთ და იმავე საქმეს ემსახურებოდნენ" — კ. გამსახურდია. უფრო მწვავეა ნ. ნიკოლაძის, გ. ქიქოძისა და სხვათა სტატიები. მართლაც, გათვითცნობიერებული ეროვნული თვითგამორკვევის იდეა ბევრი ახალი საზოგადოებრივ-შემოქმედებითი მოვლენის ფუძემდებელი გახდა: თებერვალ-მარტის თვეების რამდენიმე ქრონიკა, რელიგიის, განათლებისა და მწერლობის უმთავრეს მოვლენათა განვითარების ქარგა ასეთია: მარტის 12 — სვეტიცხოვლის ტაძარში საეკლესიო კრებაზე საზეიმოდ გამოცხადდა რუსეთის სინოდისგან ქართული ეკლესიის გამოყოფის ფაქტი და ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლების პირველი დღეების გაურკვევლობის რთულ ვითარებაში სასულიეროთა პირველი ნაბიჯები რწმენად და იმედად შთაესახა ერისკაცთა შემართულ ქმედებას. ამავე თვეში ქართული უნივერსიტეტის დაარსების მიზნით თავდაპირველად პეტროგრადში — 1 მარტს ივ. ჯავახიშვილის ბინაზე და შემდეგ კინოთეატრ „ელიტაში" ქართული სათვისტომოს ეროვნული კომიტეტის წევრებისათვის, აპრილიდან საქართველოში (თბილისში, ქუთაისში) ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით იმართება საინიციატივო ჯგუფის შეკრებები. პარალელურად, ამავე თვეში გამოიკვეთა ქართველ მწერალთა ორგანიზაციულად გაერთიანების იდეაც. პრაქტიკული ნაბიჯი კი 4 აპრილს გადაიდგა, ქართველ მწერალთა და ხელოვანთა საგანგებო შეკრებაზე „ცისფერი ყანწების" პოეტურმა ორდენმა, სიტყვაკაზმული მწერლობის მოყვარულთა საზოგადოებამ, სხვადასხვა მსოფლმხედველობის პარტიულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ბეჭდურ გამოცემებში დანაწილებულმა თუ დამოუკიდებლად მოღვაწე მწერლებმა ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად ქართველ მწერალთა დამფუძნებელი კონფერენცია — ყრილობის მოწვევა გადაწყვიტეს. შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, მდივანი კ. გამსახურდია, წევრები: შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი (ლეონ შენგელაია), დავით ლიხული (სულიაშვილი) ორი დღის შემდეგ ტიციან ტაბიძემ პრესის ფურცლებიდან მოუწოდა ქართველ მწერლებს ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ. 6 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში „ღია ბარათი ქართველ მწერლებს" პოეტი აღნიშნავდა: **„სხვა დროს არ გვქონია საშუალება არც შეერთების და არც ხმის ამოღებისათვის. დღეს ეს შესაძლებელიცაა და აუცილებელიც"**. დამოუკიდებელი ჯგუფის „ცისფერი ყანწების" ერთ-ერთი თავკაცის საყურადღებო განაცხადი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი პრინციპების არეალში ეროვნული პრიმატის დამკვიდრებას მოასწავებდა: ...„მაშინ რუსეთშიაც არ არსებობდა კავშირი, იქ თითქმის ნახევარი წლის შემდეგ მოხდა ამის ორგანიზაცია". ეს სტრიქონები უკვე 1923 წელს განეკუთვნება.

როგორც ცნობილია, მრავალი შემოქმედებითი მოვლენა საქართველოში მსოფლიო საკაცობრიო მიღწევათა გამოძახილია, მაგრამ როგორც მივიწყებულ მოვლენათა პროცესი გვიჩვენებს, მწერალთა ორგანიზაციულად შეკავშირების პრიორიტეტი მშობლიურ ნიადაგზე იშვა და უშუალოდ ქართველ მწერალთა წმინდა ინიციატივის, ნაყოფია, — საერთო ეროვნული ფენომენის აღორძინებასთან მისადაგებული გამოძახილი, კერძოდ: გრძელდება დაძაბული შრომა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. 12 მაისს თბილისში მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა კრებაზე შეიქმნა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება... თავდადებით იღვწიან ქართველი მწერლებიც... 9 ივნისს ქვეყნდება საორგანიზაციო ბიუროს მდივნის კ. გამსახურდიას წერილი „ქართველ მწერალთა შეკავშირებისათვის". ავტორი აღნიშნავდა: „დღემდის ქართველი მწერლები დაქსაქსულ-შეუკავშირებელნი იყვნენ. დღეს მწერლები თვითვე ხედავენ, რომ მათზე არავინ ზრუნავს. ამიერიდან მათ თვითონვე უნდა იზრუნონ ხელოვნებისა და ქართველი ერის ესთეტიურ განვითარებისათვის". იმჟამად პირველად ჩატარდა ქართველ მწერალთა ატესტაცია. 18 ივნისს მწერალთა საგანგებო ბიურო (თავმჯდომარე კ. მაყაშვილი) და ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების საბჭო (თავმჯდომარე გ. რცხილაძე) აქვეყნებენ 193 მწერალი — დელეგატის სიას 9 ივლისისათვის დანიშნულ მწერალთა პირველ კონფერენცია-ყრილობაზე დასასწრებლად მანდატების მისაღებად. დელეგატთა სია შემდეგში შეივსო, მაგრამ იმხანად ქართულ კლუბში დანიშნული მწერალთა ფორუმი გადაიდო. შეკრება სამი თვის შემდეგ შედგა და ისტორიულ თარიღად აღინიშნა ქართულ სინამდვილეში.

ზაურ მექველია.

(გაგრძელება იქნება).

48 საათი – მშვიდობის აღსადგენად

ერისადმი მიმართვაში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ერთიანობისკენ მოუწოდა და თქვა, რომ სრულმასშტაბიანი შეტაკების საფრთხე ჯერაც არ არის დაძლეული.

თვითმხილველთა თქმით, ვნებათაღელვა იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზაში რამდენადმე დაცხრა, თუმცა შეტაკებები გრძელდება. პალესტინელთა ავტონომიისა და ისრაელის უშიშროების სამსახურების მეთაურები აწყობენ კონსულტაციებს შარმ ამ-შეიხში მიღწეულ მორიგებათა განსახორციელებლად.

პალესტინელთა ცალკეული ორგანიზაციები, კერძოდ, „ფათხი" და „ჰამასი" კვლავინდებურად მოუწოდებენ ხალხს, განაგრძონ „აჯანყება". ბარაკისაგან განსხვავებით, იასირ არაფატს არ გაუკეთებია საჯარო განცხადება, რომელშიც მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა.

ისრაელის ოფიციალური პირნი ამბობენ, თუ შეტაკებანი პარასკევისთვის არ შეწყდა, არმია და პოლიცია მკაცრ ზომებს მიიღებენ.

პრეზიდენტმა კლინტონმა, როგორც ჟურნალისტებს განუცხადა ისრაელის მთავრობის წარმომადგენელმა, მხარეებს 48 საათი მისცა მორიგებათა შესრულებისათვის. თუ ამ დროის განმავლობაში შეტაკებები არ შეწყდება, ისრაელი კვლავ შეიყვანს ჯარებს ავტონომიის ტერიტორიაზე და ჩაკეტავს პალესტინელთა ქალაქებს, როგორც ეს შარმ ამ-შეიხში ითქვა.

ამჟამად ისრაელებმა კვლავ გახსნეს ღაზის აეროპორტი და რამდენიმე გასაშვები პუნქტი ავტონომიის საზღვარზე.

ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობით, რვა პალესტინელი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან რამალაჰში ორი ისრაელი რეზერვისტის ჩაქოლვაში, დააპატიმრეს. პალესტინელთა მხარე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

გუშინ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციას გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია განიხილავდა.

შვეიცარიის წყალდიდობა იტალიას მისწვდა

იტალიისა და შვეიცარიის ალპურ რაიონებში, კვლავ საგანგებო მდგომარეობაა. იგი გამოიწვია უდიდესმა წყალდიდობამ, რომელმაც სულ ცოტა 27 კაცის სიცოცხლე შეიწირა. ოთხშაბათს შვეიცარიის ალპებში დაწყებულმა წყალდიდობამ გადაინაცვლა იტალიის ქალაქებში – მილანსა და ტურინში.

ხალხის მეტი ნაწილი დაიღუპა მას შემდეგ, რაც მთიდან წამოსულმა ღვარცოფმა ქვეშ მოიყოლა შვეიცარიელთა რამდენიმე სოფელი.

ორშაბათს და სამშაბათს მაშველები ცდილობდნენ, ღვარცოფის გროვებქვეშ აღმოეჩინათ შვეიცარიის სოფელ გონდოს მცხოვრებნი. მათი ცდები წარუმატებლად დამთავრდა.

ოთხშაბათს კი სტიქიის დარტყმის მიმართულებამ ჩრდილოეთ იტალიისაკენ გადაინაცვლა. ამჟამად აქ დაღუპულია 12 კაცი, დაახლოებით ამდენივე უკვალოდ დაკარგულად ითვლება. განუწყვეტელი წვიმების შედეგად ნაპირები გადმოლახეს მდინარეებმა პომ და ტიჩინომ. მთავრობამ გამოაცხადა ქვეყნის სამხრეთი რაიონების მცხოვრებთა მასობრივი ევაკუაცია. უახლოეს ხანს უნდა გახიზნონ 12 ათასი იტალიელი. ტურინისა და მილანის უზარმაზარი მოედნები წყლით არის დაფარული, დაიხურა ფაბრიკა-ქარხნები, დაირღვა სატრანსპორტო მიმოსვლა, დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები, არ მუშაობენ სკოლები, ქალაქის ადმინისტრაცია მცხოვრებთ სთხოვს, ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად, არ დალიონ აუდუღარი წყალი.

მიწისქვეშა მთვარე

საფრანგეთის ცნობილი პრეისტორიული მღვიმის კედლებზე არსებული სიმბოლოები, სწავლულთა აზრით, შეიძლება იყოს მთვარის კალენდარი – ყველაზე ძველი მეცნიერებისათვის ცნობილი კალენდრებიდან.



ფორაჯიანი წაბლა ცხენი და – მთვარის კალენდარი?

ის მოსაზრება, რომ ნახატები, რომელთა ასაკი 15 ათას წელიწადს შეადგენს, ასახავენ მთვარეს სხვადასხვა ფაზის გაელისას, გამოთქვა მიუნხენელმა სწავლულმა დოქტორმა მიხაელ რაპენგლუკმა, აქამდე იგივე მეცნიერმა კლდის რამდენიმე ნახატი მიიჩნია ვარსკვლავებად და თანავარსკვლავედებად.

ახლა კი იგი ამტკიცებს, რომ ხარების, ცხენებისა და ანტილოპების ნახატებში შერეული წერტილებისა და კვადრატების ჯგუფები სხვა არა არის რა, თუ არა 27-დღიანი მთვარის ციკლი.

ხელოვნების ნაწარმოებები

საფრანგეთის ხელისუფალთა საგანგებო ნებართვის მიღების შემდეგ მე დოქტორ რაპენგლუკთან ერთად ჩავედი მღვიმეში, რათა პირადად დამეთვალიერებინა გამოსახულებანი, წერს ბი-ბი-სის სამეცნიერო მიმოხილველი **დევით შაიტკაუსი**, და განაგრძობს: ეს უნიკალური შესაძლებლობაა: იმისათვის, რომ დაიცვან ისტორიული ადგილი, ტურისტებს ახლა მეზობელ მღვიმეში უშვებენ...

– ამ მღვიმეების გაგების საიდუმლო მოქცეულია იმ ადამიანთა გაგებაში რომლებიც ამ კედლებზე ხატავდნენ, – თქვა დოქტორმა რაპენგლუკმა. – ისინი ხატავდნენ ცას, – მაგრამ – მთელს არა, მხოლოდ იმ არეებს, რომლებიც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

როდესაც თვალი სიბნელეს შეეჩვია, ხარების დარბაზში შევედი და ადგილზე გავშეშდი. ნებისმიერი კაცი, ვისაც კედლების უძველესი მოხატულობა უნახავს, დაადასტურებს, რომ იგი წარმოადგენს უდიდეს შედევრს მთელ დედამიწის ზურგზე.

დოქტორი რაპენგლუკი: ითვალეთ, ითვალეთ!

ეს ცხოველები კედლებზე დახატეს კრომანიონელებმა – ჩვენმა ახლო წინაპრებმა – 15 ათასი წლის წინათ. იმ დროს ახლანდელი ევროპის მეტი ნაწილი სქელი ყინულის საფარქვეშ იყო მოქცეული.

– აი, – თქვა დოქტორმა რაპენგლუკმა და მიჩვენა დაახლოებით მკერდის სიმაღლეზე დახატული წერტილების წრფე, – დაითვალეთ.

ირმის გამოსახულების ქვეშ 13-წერტილიანი წრფე იყო გავლებული.

– რატომ 13? – ვიკითხე მე.

– ნახევარწრეა: 13 წერტილი და ცარიელი კვადრატების მწკრივი. ეს გახლავთ ნახევარი მთვარის ციკლი. ერთი წერტილი ეს არის მთვარის ერთი დღე ცაში. როდესაც ახალი მთვარეა, როცა იგი ციდან ქრება, ჩვენ ვხედავთ ცარიელ კვადრატს, რომელიც, ალბათ, სიმბოლურად გამოხატავს მთვარის არყოფნას.

– აი ნახეთ, აქ რა არის. ფორაჯიან წაბლა ცხენს ქვეშ გავლებული აქვს წერტილების კიდევ ერთი წრფე. აქ 27 წერტილია: თითო წერტილი 27-დღიანი ციკლის თითო დღეზე, რომლის დროსაც მთვარე ცაში გადის ყველა თავის ფაზას. ეს არის ბუნების რიტმი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ადამიანებისათვის. კრომანიონელები გრძნობდნენ ბუნების რიტმებს. ამ რიტმებზე იყო დამოკიდებული მათი გაძლება-გადარჩენა. ისინი მათ ნაწილს შეადგენდნენ...



პლეადების თანავარსკვლავედი ხარის ბეჭზე.

ერთ-ერთი ხარის ქედის თავზე მოჩანს პლეადების თანავარსკვლავედი. კიდევ ერთი გამოცანა. ვხედავ წერტილების სერიას, რომლებიც ძირითად მწკრივს სცილდება:

– ეს რაღაა?

– მე ვფიქრობ, ეს გვიჩვენებს ახალი მთვარის დროს, როდესაც იგი ციდან ქრება რამდენიმე დღით.

– ამ კედლებზე – სრულიად გარკვევით – ასტრონომიაა. რამდენიმე თვის წინათ დოქტორმა რაპენგლუკმა აქ რამდენიმე თანავარსკვლავედის გამოსახულებანი განსაზღვრა.

ალბათ, ჩვენ ვერ შევძლებთ, ბოლომდე ჩავწვდეთ იმ კრომანიონელის ცნობიერებას, რომელმაც ეს მღვიმე მოხატა. ცხოველების გამოსახულებანი სავსებით გასაგებია, მაგრამ ნეტავ რა იმალება ყველა ამ გეომეტრიული ფიგურისა და წერტილ-წირების მიღმა?...

ბაზრები ეცემა

დოულ ჯონსის ინდექსი ვაჭრობის დაწყებისას დაეცა 422 პუნქტით, ანუ 4,2 პროცენტით. გასული წლის მარტიდან ინდექსი პირველად ჩამოვიდა 10 000 პუნქტის ნიშნულზე დაბლა. საბოლოო ვარდნამ 1,5 პროცენტი შეადგინა.

ვარდნა თავბრუდამხვევი სისწრაფით მოხდა. ვაჭრობის ორ პუნქტში ინდექსი 250 პუნქტით „შემსუბუქდა". კიდევ უფრო სავალალო სურათია ნაზდაკ ელექტრონული ვაჭრობის ბირჟაზე. აქ ინდექსი დაეცა 5,7 პროცენტით, ანუ 104 პუნქტით.

დაქვეითება შეიმჩნეოდა ევროპის ბაზრებზე. ლონდონის ბირჟის ინდექსმა დაკარგა 3 პროცენტზე მეტი, ფრანკფურტისამ – თითქმის 14 პროცენტი, პარიზისამ – დაახლოებით 5 პროცენტი.



მთელი მსოფლიოს სავაჭრო მოედნებზე ინვესტორები ტოვებენ მაღალტექნოლოგიურ სექტორს და ამით განაპირობებენ ფასების კლებას. ანალიტიკოსები კოტირების ვარდნას ხსნიან ორი ფაქტორით.

ეს არის რამდენიმე სამრეწველო და კომპიუტერული გიგანტის (იბმ, კოდაკი, ფორდი, ინტელი) კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნება, რომლებშიც მოგების პროგნოზი გადაისინჯება კლების მხრივ.

ყველაზე მეტ შეშფოთებას იწვევს ინტელის პროგნოზები. კვარტალში გაყიდვის მოცულობა გაიზარდა 5 პროცენტით, ანუ ორჯერ ნაკლებად, ვიდრე ინვესტორები მოელოდნენ. ამის შედეგად კომპანიების აქციების ფასი უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე 50 პროცენტით შემცირდა.

კოტირების კლების მეორე მიზეზი ის არის, რომ ინვესტორები ნეგატიურად აღიქვამენ შეერთებულ შტატებში უმუშევრობისა და სამომხმარებლო ფასების დონის მონაცემებს, რომლებიც ერთ თვეში 0,5 პროცენტით გაიზარდა (ხუთჯერ მეტი აგვისტოსთან შედარებით).

ინვესტორები ვარაუდობენ, რომ რამდენადაც ციფრები ინფლაციის საფრთხეს მოწმობენ, ფედერალურმა რეზერვმა შეიძლება ასწიოს დისკონტის განაკვეთი. ანალიტიკოსები თვლიან, რომ ევროპასა და აზიაში კოტირებათა კლება გაგრძელდება.

ევროპაში ვითარებას ართულებს ისიც, რომ უმუშევრობის შემცირებას და სამომხმარებლო ფასების ზრდას შეიძლება მოჰყვეს ევროს შემდგომი დაცემა. გუშინ ევროვალუტის კურსმა 0,85 დოლარი შეადგინა და მორიგ მინიმუმამდე დაეცა.

ვის რისი შნო აქვს

ოთხშაბათს გამოქვეყნდა კონდომების მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმის სოციოლოგიური კვლევის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ამერიკელები ყველაზე ტემპერამენტიანი საყვარლები ყოფილან მთელ დედამიწის ზურგზე. რუსებმა მეორე ადგილი დაიკავეს წლის განმავლობაში სქესობრივი აქტების რაოდენობით.



SSL International ფირმის მკვლევარები რამდენიმე თვის მანძილზე აგროვებდნენ მონაცემებს. მათ გამოჰკითხეს 16-დან 24 წლამდე ასაკის 18 ათას კაცს, და ჩამოაყალიბეს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის სექსუალური ცხოვრების დაახლოებითი სურათი. აღმოჩნდა, რომ ამერიკელები წელიწადში 132-ჯერ მისდევენ სექსს. რუსები ლიდერებს ჩამორჩებიან ყოველწლიურად 10 კოიტუსით. რუსეთის მოქალაქეებს კვალდაკვალ მისდევენ ფრანგები 121 აქტით. ყველაზე „არასექსუალურნი" გამოდგნენ აზიელები – იაპონელები, მალაელები და ჩინელები. როდესაც შედეგები შეაჯამეს, აღმოჩნდა, რომ საშუალოდ სტატისტიკური ახალგაზრდა დედამიწელი მოქალაქეობის მიუხედავად, ოთხ დღეში ერთხელ უნდა მისდევდეს სექსს. ამერიკელები დაწინაურდნენ მეორე პოზიციაში – ისინი სხვებზე ადრე კარგავენ უბიწობას – საშუალოდ 16 წლის ასაკში. მათ მიჰყვებიან ბრაზილიელები. ფრანგები აქაც მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ – მათი პირველი „ზიარება" 17 წლის ასაკში ხდება. მაგრამ ერთ პოზიციაში ფრანგები მაინც გახდნენ ფავორიტები. ისინი სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებზე უფრო ხშირად იცვლიან პარტნიორებს. საშუალოდ ფრანგი წელიწადში „ჰყვარობს" 16-17 ქალს, ბერძენი – 15-ს, ხოლო ამერიკელი – სულ 11-ს. იმათ, ვინც ერთგულების დამფასებელია, სოციოლოგები ურჩევენ, ინდოეთს გაემგზავრონ. ამ ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა გარე-გარე არ დარბის და ერთი მუდმივი პარტნიორი ჰყავს...

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე,
კახა ქორიძე.

ფეხბურთი

დიდებული არს ესე...

ჩემპიონთა ლიგაში სამშაბათს და ოთხშაბათს 22-22 გოლი გავიდა, თუმცა, დამთხვევები აქ წყდება. თუ 17 ოქტომბერს ერთბაშად 3 მერვედფინალისტი გამოვლინდა, გუშინწინ ამ ეტაპზე არავის გაუღწევია. და ბოლოს, მთავარი: მილანში გამართულმა გრანდთა დუელმა შინაარსითა და საშემსრულებლო ოსტატობით ყველა სხვა დაჩრდილა, თუმცა, სჯობს განვლილ ბატალიებზე თანმიმდევრობით ვისაუბროთ.

„ე" ჯგუფი

„დეპორტივო" – „იუვენტუსი" 1:1.

გოლები: ვიქტორი („დეპორტივო"), ინძაგი („იუვენტუსი").

კიდევ კარგი, რომ ინძაგიმ იტალია-საქართველოს შესარჩევი რაუნდი ავადმყოფობის გამო გამოტოვა, თორემ კაცმა არ იცის, რამდენ თავსატეხს გაგვიჩენდა. ის, რომ ამ ადამიან-გოლს მთავარი ღირსება არ დაუკარგავს, ესპანეთშიც დადასტურდა, სადაც კუთხურის შემდეგ მე-10 წუთზევე მიუჩინა ძელიდან ასხლეტილ ბურთს ადგილი მოლინას კარის ბადეში. მასპინძლები უმალ მოეგნენ გონს და ვან დერ სარის „შემწეობით" ორიოდე წუთში გაათანაბრეს ანგარიში. დროის დარჩენილი ნაწილი ორმხრივ უნაყოფო იერიშებსა და წვიმით გაჟღენთილი გრუნტის მუდმივ თანამგზავრში – უხეშობაში გაილია. დისკვალიფიცირებული ზიდანის არყოფნაში დაფიქსირებული ფრე, ვფიქრობ, აქტივში უფრო „ბებერ ქალბატონს" უნდა ჩაეწეროს.

„მილანი" – „ბარსელონა"

„პანათინაიკოსი" – „ჰამბურგი" 0:0.

„იუვენტუსი", „დეპორტივო" – 6-6, „პანათინაიკოსი" – 5, „ჰამბურგი" – 2 ქულა.

24 ოქტომბერს ითამაშებენ „იუვენტუსი" – „ჰამბურგი", „დეპორტივო" – „პანათინაიკოსი".

„ფ" ჯგუფი

„ბაიერნი" – „პარი სენ-ჟერმენი" 2:0.

გოლები: სალიხამიჯიჩი, პაულო სერჯიო.

მასპინძლებმა ბუნდესლიგის ორი უკანასკნელი მატჩი ზედიზედ წააგეს, რაც იშვიათი შემთხვევაა ამ პოპულარული კლუბისთვის, „პსჟ" კი ბავარიის დედაქალაქს ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის რანგში ეწვია. ასეთი ბუღალტერია რომ პირობითი ცნებაა, ამჯერადაც დამტკიცდა. ფრანგმა მცველებმა დებიუტში და ბოლო წუთზე ორჯერ მოამიშელეს „პიატაჩოკი" და მწარედ დაისაჯნენ, საერთოდ კი მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე მეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებლები მოსაწყენი სანახაობის მოწმენი გახდნენ.

„ჰელსინგბორგი" – „რუსენბორგი" 2:0.

გოლები: ლარსონი, სანტოსი.

„ბაიერნი" – 9, „რუსენბორგი", „პარი სენ-ჟერმენი" 6-6, „ჰელსინგბორგი" – 3 ქულა.

24 ოქტომბერს ითამაშებენ „პარი სენ-ჟერმენი" – „რუსენბორგი", „ბაიერნი" – „ჰელსინგბორგი".

„გ" ჯგუფი

„ანდერლეხტი" – კიევის „დინამო" 4:2.

გოლები: ვამჩუკი (საკუთარ კარში), რაძინსკი (2), სტოიკა („ანდერლეხტი"), კალაძე, ბელკევიჩი („დინამო").

სერიოზულად დაავადებული ვალერი ლობანოვსკი პირდაპირ საავადმყოფოდან გაჰყვა შეგირდებს ბელგიაში, მაგრამ, საკუთარი მცველების უსუსური თამაშის შემხედვარე, ადვილი შესაძლებელია, სამშობლოში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში დაბრუნებულიყო. არადა, წინა ტურში პირწმინდად დაჩაგრულ მეტოქესთან საპასუხო შეხვედრაც ზღაპრულად დაიწყო – პირველივე წუთზე დე ბილდეს კართან ჩამოწოდებული კუთხური **კახა კალაძემ** თავით გოლად აქცია. ვინ იფიქრებდა ამ დროს, რომ უკრაინელებს შესვენებამდევე მოუწევდათ ოთხი უსიამოვნო პროცედურის შესრულება, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე **გიორგი დემეტრაძე** ამჯერად თავის თავს არ ჰგავდა და, მჭიდრო მეურვეობით გატანჯული, მეორე ტაიმში შეცვალეს კიდეც.

„მანჩესტერი" – „ეინდჰოვენი" 3:1.

გოლები: შერინგემი, სქოულზი, იორკი („მანჩესტერი"), ვან ბომელი („ეინდჰოვენი").

„ჰელსინგბორგი" – „რუსენბორგი"

ამ მატჩის წინ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი რეალურად იდგა ჯგუფში ჩარჩენის საფრთხის წინაშე. უკადრისი პერსპექტივა კიდევ უფრო გაღვივდა 75-ე წუთზე, როცა სილვესტრმა უხეიროდ გამოიტანა საჯარიმოდან ბურთი და საშუალება მისცა ვან ბომელს ბარტეზის კარის „ცხრიანი" შეუფერხებლად დაელაშქრა. ნეტავ ეს არ ექნა! მასპინძელთა თავმოყვარეობის შელახვას წამიერი აფეთქება და ჰოლანდიელთა გაცამტვერება მოჰყვა, ყველაფერს კი სათავე უბერებელმა შერინგემმა დაუდო.

„მანჩესტერი" – 7, „ანდერლეხტი", „ეინდჰოვენი" – 6-6 ქულა, „დინამო" – 4 ქულა.

„თ" ჯგუფი

„მილანი" – „ბარსელონა" 3:3.

გოლები: ალბერტინი (2), ხოსე მარი („მილანი"), რივალდო (3, „ბარსელონა").

კაცმა რომ თქვას, მიმდინარე გათამაშებამ უკვე პირნათლად მოიხადა ვალი გულშემატკივართა წინაშე. მან ხომ სახსოვრად აღნიშნულ სუპერკლუბთა მილანური შედევრი დაგვიტოვა. ქებათაქება მის თითოეულ მოქმედ პირსა და შემსრულებელს (შეცდომებით მოასპარეზე მეკარეთა ჩათვლით), მაგრამ განსაკუთრებით – ლაზარეთად ქცეულ კატალონიურ ანსამბლს, რომელსაც ეშხი რივალდომ შესძინა. ბრაზილიელი ვარსკვლავი დაცემაშიც კი არ თაკილობდა გარჯას და, შეიძლება ითქვას, მარტომ გამოსტაცა ძვირფასი ქულა ძაკერონის ბიჭებს.

„ბეშიქთაში" – „ლიდსი" 0:0.

„ლიდსი", „მილანი" – 7-7, „ბეშიქთაში", „ბარსელონა" – 4-4 ქულა.

24 ოქტომბერს ითამაშებენ „ლიდსი" – „ბარსელონა", „ბეშიქთაში" – „მილანი".

გია პლატონიშვილი.

ჭიდაობა

სამბო ფოთშიც პოპულარულია

სიდნეის ოლიმპიური თამაშების შემდეგ სამბოს ოლიმპიადების პროგრამაში შეტანის საკითხი ისევ დგება დღის წესრიგში და მისი ინიციატორი გახლავთ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელიც დიდ პატივს სცემს ჭიდაობის ამ სახეობას. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, მაშინ სამბო, შესაძლოა, 2004 წლის ათენის XXVIII თამაშებში ვიხილოთ. მაშინ, უეჭველია, დიდი საზრუნავი გაუჩნდებათ ქართული სპორტის ხელმძღვანელებს, რომლებსაც მოუწევთ ისევე დააფინანსონ საქართველოში ძალიან პოპულარული სპორტის ეს სახეობა.



დასტურად გამოდგება თუნდაც დიღმის მოზარდთა და ბავშვთა ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის დარბაზში ახლახან დასრულებული საქართველოს 1984-87 წლებში დაბადებულ ჭაბუკ სამბისტთა პირველობა, რომელშიც 15 რეგიონის 170 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

შეჯიბრების შედეგებმა დაგვანახა, რომ ჭიდაობის ეს სახეობა ძალიან პოპულარული ყოფილა ფოთშიც, რომლის ექვსმა წარმომადგენელმა – თემურ ღვანიამ (35 კგ), მელიტონ ბაბილუამ (38 კგ), ნიკო კუციამ (41 კგ), ნუკრი ბერაიამ (44 კგ), თამაზ სახეიშვილმა (56 კგ) და ლევან მიქაბერიძემ (59 კგ) პირველი ადგილები დაიკავეს. დანარჩენ წონებში გაიმარჯვეს – ვახტანგ სეთურმა (თბილისი, 47 კგ), დავით მუნჯიშვილმა (თბილისი, 50 კგ), ნოდარ მაისურაძემ (კასპი, 53 კგ), ლევან ბეინაშვილმა (კასპი, 62 კგ), გოგა ბაინდურაშვილმა (თბილისი, 65 კგ), დავით ბარამიამ (თბილისი 68 კგ), დიტო ჩიხლაძემ (რუსთავი, 75 კგ) და გელა ბეჭვაიამ (ქუთაისი, მძიმე წონა). შეჯიბრების ორგანიზატორებმა პრიზიორები და გამარჯვებულები უსახსრობის გამო მხოლოდ დიპლომებით დააჯილდოვეს.

შოთა ბოკერია.

სუმო

ოთხი მედალი პოლონეთიდან

სუმოს ქართველმა ოსტატებმა კრაკოვში (პოლონეთი) გამართული ევროპის ჩემპიონატიდან ოთხი ჯილდო ჩამოიტანეს. ვერცხლის მედალს დაეუფლა თბილისელი ხვიჩა ქობალია (115 კგ-მდე წონა), ქარელელი ჯონდო დაბრუნდაშვილი (მძიმე წონა) და ახმეტელი ალექსანდრე დავითაშვილი (აბსოლუტური წონითი კატეგორია) ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

გუნდებს შორის პაექრობაში დაბრუნდაშვილმა, დავითაშვილმა და ლევან ებანოიძემ (ხაშური) ასევე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. აქ პირველი იყო გერმანიის ნაკრები, მეორე – მასპინძლები. სულ ჩემპიონატზე გამოვიდა 22 ქვეყნის 100-ზე მეტი სუმოისტი.

ამირან გაგნიძე.

ყოველი მხრიდან

ტურნირმა მისამართი შეიცვალა

ზამთრის საჩოგბურთო ტურნირმა **ATP TUR**, რომელიც 1997 წლიდან წლევანდლამდე ლონდონში იმართებოდა, მისამართი შეიცვალა და მილანში ბრუნდება. 2001 წელს ინტერნაციონალური სერიის ეს ტურნირი იტალიაში 29 იანვარს, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დამთავრების მეორე დღეს, დაიწყება.

მეორე ეტაპი ნოემბერში იწყება

მართალია, ჯერ არ დამთავრებულა ევროპის ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის მატჩები, მაგრამ უკვე ცნობილია მეორე ეტაპის კალენდარი: **პირველი ტური** – 2000 წლის 21,22 ნოემბერი, **მე-2 ტური** – 2000 წლის 5,6 დეკემბერი, **მე-3 ტური** – 2001 წლის 13,14 თებერვალი, **მე-4 ტური** 2001 წლის 20,21 თებერვალი, **მე-5 ტური** – 2001 წლის 6,7 მარტი და ბოლოს, **მე-6 ტური** – 2001 წლის 13,14 მარტი.

თუ როგორ დალაგდებიან პირველი ეტაპის ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები, ეს 10 ნოემბერს ჟენევაში გამართულ წილისყრაზე გაირკვევა. 16 გუნდი ოთხ ჯგუფად დაიყოფა. რეგლამენტის მიხედვით, ერთ ჯგუფში არ მოხვდება ერთი ქვეყნის ორი გუნდი, აგრეთვე გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპის მატჩებში შეხვდნენ ერთმანეთს. მეოთხედფინალში თითოეული ჯგუფიდან 2-2 გუნდი გავა.

და კიდევ, პირველი ეტაპის ჯგუფებში შეიძლება ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, რომ რამდენიმე გუნდს ერთნაირი ქულები აღმოაჩნდეს, რაც გაამძნელებს მეორე ეტაპზე გასულის განსაზღვრას. ამიტომაც გამარჯვებულის გამოვლენისას თვის მაჩვენებლები შემდეგი რიგითაა განსაზღვრული.

ა) ქულათა რაოდენობა, რაც დაგროვილია ამ გუნდების ერთმანეთთან შეხვედრისას; **ბ)** ამ გუნდების ერთმანეთთან მატჩებში გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობა; **გ)** ამ გუნდების მიერ გასვლით მატჩებში გატანილი ბურთები; **დ)** ჯგუფში ნათამაშევ ყველა მატჩში გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობა; **ე)** ჯგუფში გამართულ ყველა მატჩში გატანილი გოლები; **ვ)** კლუბის კოეფიციენტი, აგრეთვე მისი ასოციაცია წინა ხუთი სეზონის შედეგებით.

ფრენბურთელთა ახალი ჩემპიონატი

მიუხედავად იმისა, რომ ფრენბურთელთა საერთაშორისო კალენდარი ძალზე გადატვირთულია სხვადასხვა შეჯიბრებებით, ამ ყველასათვის მისაწვდომი სპორტის საერთაშორისო ფედერაციას სურს ერთი დიდი პაექრობის დამატება. ახლა იმართება კონტინენტური და მსოფლიო პირველობები, მსოფლიო თასის გათამაშება, მსოფლიო ლიგა, გრან-პრი, ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირები, ეროთასი და ა. შ. აგვისტოში სევილიაში გამართულმა ფედერაციის კონგრესმა გადაწყვიტა, მოაწყოს მსოფლიო ჩემპიონატი საკლუბო გუნდებისათვის.

კონგრესის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ყველა ეროვნული საკლუბო შეჯიბრებები უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 30 აპრილისა, ხოლო დაიწყოს 15 ოქტომბრის შემდეგ. ამ შემთხვევაში, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის რუბენ აკოსტას აზრით, უნდა გამონახოს „ფანჯარა" ახალი ტურნირისათვის.

თავგანწირული დაშვება შემდგარა

როგორც ჩანს, საეჭვოდ გახადეს ევერესტიდან თხილამურებით დაშვების შესაძლებლობა. კატმანდუში 38 წლის სლოვენიელმა დავოსინ კარნოჩერმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ 7 ოქტომბერს თანამემამულე ფრანც ოდერლაპისა და ორი გამცილებელი შერპის თანხლებით ნამდვილად დაეშვა ევერესტის მწვერვალიდან (8848 მეტრი). მისი განცხადებით, დაშვება 4,5 საათს გრძელდებოდა. სლოვენიელმა განაცხადა, რომ პირველად ასეთი დაშვება სცადა 1996 წელს, მაგრამ 8300 მეტრის ნიშნულზე იძულებული გახდა, შეეწყვიტა ის ამინდის მკვეთრი გაუარესების გამო.

ოქრომ პატრონი მოძებნა

ნორვეგიელი ფეხბურთელი ქალი ანა ტონესენი ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი გახდა სიდნეის თამაშების დამთავრებიდან სამი კვირის შემდეგ, თანაც იმ დრამატული ფინალის შემდეგ, როცა ნორვეგიის ნაკრებმა ამერიკელები დაამარცხეს – 3:2.

26 წლის ტონესენმა რეიტერის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გააოცა ამ ცნობამ. თურმე მან ისიც არ იცის, თუ როდის მიიღებს ამ ჯილდოს.

მისი ასეთი გაჭიანურებული დაჯილდოების მიზეზი ის გახდა, რომ მან ოლიმპიადაზე ნორვეგიის ნაკრებში მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა, მაგრამ ტვინის შერყევა მიიღო და გუნდს ველარ დაეხმარა. ბედნიერი ფინალიც მის გარეშე ითამაშეს.

მთელმა გუნდმა (სათადარიგო მოთამაშეებმაც კი, რომლებიც მინდორზე არ გამოსულან) მიიღო ოქროს მედლები, მაგრამ ტონესენი არ გახსენებიათ. ფეხბურთელის აღშფოთებულმა დედამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში იჩივლა. იქ კი გადაწყვიტეს ოლიმპიური კანონებით, ანას ოქროს მედალი ეკუთვნის, რადგან განაცხადშიც იყო და ერთ მატჩშიც მონაწილეობდა.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ამბროლაურის რაიონის სოფელი თლუღი, დიდი ბაბუა გრიგოლ ჭიჭინაძე. 1964 წ.

ფოტო მოგვაწოდა ნინო ჭიჭინაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ლიმილის დოზა

ორი ახალი რუსის საუბრიდან:

— ასეთი მათხოჯი ცოლი სად იპოვენე, კოლიან?

— რა გესმის შენ! შინაგანად ისეთი ლამაზია...

— გადმოაბრუნე.

* * *

ზუშინ მინსკში ერთ-ერთმა უცხოელმა დაკარგა საფულე ათასი დოლარით. ასეთი ეკონომიკური ალმავლობა ბელორუსში 10 წელიწადია არ ყოფილა.

* * *

ნამდვილი მამაკაცი ყოველთვის გააკეთებინებს ქალს იმას, რაც ქალს თავად სურს მამაკაცისგან.

* * *

— არ მითხრათ, რა უნდა გავაკეთო და არც მე გეტყვით, სად უნდა წახვიდეთ!

სს „საქლითონი“

იწვევს აქციონერთა საერთო კრებას 2000 წლის 16 ნოემბერს 14 სთ-ზე.

დღის წესრიგი:

1. წესდებაში ცვლილებების შეტანა.
2. ორგანიზაციული საკითხები.
3. სხვადასხვა.

სს ადმინისტრაცია.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე)

20 ოქტომბერი, 2000 წ.

ქ. თბილისში ნუცუბიძის პლატოზე, ნოდარ დუმბაძის, ქეთევან წამებულის და დავით აღმაშენებლის გამზირებზე წყალ-კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის პროექტი

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისაგან მიიღო კრედიტი მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს სახსრების ნაწილი გამოიყენოს ქ. თბილისში ნუცუბიძის პლატოზე, ნოდარ დუმბაძის, ქეთევან წამებულის და დავით აღმაშენებლის გამზირებზე წყალ-კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის პროექტის დასაფინანსებლად.

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის პროექტის ფიზიკური ინვესტიციების კომპონენტის განხორციელების მიზნით (შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში ნუცუბიძის პლატოზე, ნოდარ დუმბაძის, ქეთევან წამებულის და დავით აღმაშენებლის გამზირებზე წყალ-კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს ნუცუბიძის პლატოზე „603“ ნიშნულზე მდებარე მოქმედ რეზერვუარებიდან გამავალი დამხარჯი მილსადენების გადალაგებას, ნ. დუმბაძის გამზირზე (№5-დან №11 კორპუსამდე) წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციას, ქეთევან წამებულის გამზირზე წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციას (ხახანაშვილის ქუჩიდან კასპის ქუჩამდე) და კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციას (ხახანაშვილის ქუჩიდან 300 არაგველის ქუჩამდე), და დავით აღმაშენებლის გამზირზე (კიევის ქუჩიდან ზაარბრუკენის ქუჩამდე) წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციას (კონტრაქტის №TBILISI/NCB-004/00).

3. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41, ტელ: 94-32-40; 94-29-47, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 120 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ უნდა თან ახლდეს წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 7.500 ლარის ოდენობით (ან ეკვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2000 წლის 27 ნოემბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

ავია კომპანია «აირზენა – საქართველოს ავიახაზები»

29 ოქტომბრიდან გთავაზობთ სიახლეს:

საქმიანი ადამიანებისთვის რეისები მოსკოვის მიმართულებით შესრულდება ყოველდღე დილის 9 საათსა და 35 წუთზე.

ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს თეირანის გავლით შეგიძლიათ გაფრინდეთ შემდეგ ქალაქებში: დუბაი, ყარაჩი, პეკინი, ბომბეი, ტოკიო, დამასკო, ბაჰრეინი.

ყველა რეისი შესრულდება კომფორტული „ბოინგით“.

მოქმედებს სხვა ძველი მარშრუტებიც.

დაგვირეკეთ: 94-70-14; 77-88-11; 77-88-33.

„აირზენა – საქართველოს ავიახაზები“.

ტელევიზია

პარასკევი, 20 ოქტომბერი

8.00 ალიონი. 9.30 ტელესერიალი „ძილისწინ“. 9.45 ტელესერიალი „შავი მარგალიტი“. 10.25 მაესტრო. 10.45 თბილისის დროით. 11.05 ტელესერიალი „სენტროპე“. 12.00 მოამბე. 12.15 ტელესერიალი „ფსიქფაქტორი“. 12.35 ეძიე ქალი. 13.00 ნაშუადღევი — საინფორმაციო მუსიკალური პროგრამა. 14.05 ტელე-სინე-ვიდეო. 14.35 ყველაფერი ქორეოგრაფიაზე. 15.00 მოამბე. 15.15 მხ. ფილმი „კოვბოებთან ასეა მიღებული“. 17.00 50/50. 17.50 მუსიკალური პაუზა. 18.00 ვესტნიკი. 18.15 „სენტროპე“. 19.05 ვიდეოპატრული 02. 19.15 მაესტრო. 19.25 ოვერტაიმი. 19.40 ბასტი-ბუბუ. 20.00 მოამბე. 20.50 ტელესერიალი „შავი მარგალიტი“. 21.40 მეოცე საუკუნე. 22.00 მოსკოვი-თბილისი. 22.20 მრავალსახეობა. 22.40 „ფსიქფაქტორი“. 23.10 მოამბე. 23.50 სერიალი „ძილის წინ“. 0.10 მე ქალი ვარ. 0.25 მხ. ფილმი „ტყავი“. 2.35 „ვიდეოპატრული 02“.

19.00 ინფორმაცია. 19.35 იყო და არა იყო რა. 20.00 360. 20.15 სტუდია „რე“. 21.00 ექსტრა. 21.30 აფხაზეთის ტელევიზია. 22.00 ინფორმაცია. 22.15 ანტრე. 22.55 ჰიტპარადი. 23.20 მხ. ფილმი „უბრალოდ სისხლი“.

7.00 მუსიკა. 7.30 „ტექსავერი“, „შავი მეკობრე“. 8.00 კურიერი. სერიალები: 8.55 „ბლანკოს ქვრივი“. 9.50 „ნიკიტა“. 10.40 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“. 11.10 „სამანტა“. 12.00 კურიერი. 12.15 მულტსერიალი. 13.30 მხ. ფილმი. 15.00 კურიერი. 17.00 ტომი და ჯერი. 17.25 „მოდელების აკადემია“ — სარიალი. 18.00 კურიერი. სერიალები: 18.20 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“. 18.55 დოკ. ფილმი. 19.50 „სამანტა“. 21.00 კურიერი. 21.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“. 23.00 კურიერი. 0.05 მხ. ფილმი „ვნებით გათანგულნი“. 2.10 წითელი ფეხსაცმლის დღიურები. 2.40 კურიერი. 2.50 კლასიკა.

14.00 არგენტინული ტელესერიალი „მილედი“. 14.45 დოკ. ფილმი. 15.30 მხ. ფილმი „ცენტრალური ვაგზალი“. 17.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“. 17.15 ტელესერიალი „მხოლოდ შენ ერთს“. 18.00 მსოფლიო სპორტი. 19.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“. 19.20 სტუდია-სპექტრი. 20.30 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“. 21.00 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“. 21.30 არგენტინული ტელესერიალი „მილედი“. 22.15 მხ. ფილმი. 23.45 მუსიკა. 24.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“. 0.20 გადაცემა „რატომ?

ხსოვნა

გობრონ ჯოხთაბერიძე



საქართველოს ტურიზმის კოლექტივმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და დამსახურებული რკინიგზელი, ბატონი **გობრონ ჯოხთაბერიძე**.

დაიბადა 1923 წლის 18 ივნისს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთში.

1947 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი.

მდიდარი იყო მისი შრომითი ბიოგრაფია. თვალსაჩინო იყო მისი წვლილი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო საქმიანობაში. სრულიად ახალგაზრდა დანიშნეს რკინიგზის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგედ. იყო აფხაზეთის ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი, აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე, საოლქო კომიტეტის პარტიულ-საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

1968-1973 წლებში პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია.

1973-1985 წლები იყო საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

დიდია ბატონ გობრონის დამსახურება საქართველოს ტურიზმის განვითარების საქმეში. მისი მუშაობის ცამეტი წლის მანძილზე დარგის კოლექტივი 12-ჯერ ფლობდა გარდამავალ წითელ დროშას. მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ტურისტული პოტენციალი, აშენდა მრავალი ტურისტული სასტუმრო და ბაზა, დიდი წვლილი მიუძღვის ახალი ათონის მღვიმის კეთილმოწყობის საქმეში.

სად არ ილვაწა, რა თანამდებობას არ მიაღწია, ყველგან იყო სასურველი თანამოსაქმე თუ ხელმძღვანელი. ყველგან ჩანდა მისი მაღალი პასუხისმგებლობა, ნიჭი, ინტელიგენტობა, დახვეწილი გემოვნება, როგორც საქმეში, ასევე ყოფაცხოვრებაში. იყო ზნემაღალი, კაცთმოყვარე, პრინციპული. ამავე დროს სხვათა აზრის გამზიარებელი, მომთხოვნი, პირველ რიგში საკუთარი თავისადმი.

ბატონი გობრონ ჯოხთაბერიძე იყო საქართველოს და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი, ტურიზმის ცენტრალური (საკავშირო) საბჭოს კოლეგიის წევრი, დაჯილდოებული ხალხთა მეგობრობის, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მრავალი მედლით.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, ვალმოხდილი ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება თანამშრომლების, კოლეგების, აღზრდილების, მეგობრების გულში.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი.

მეუღლე მარიზა ყოჩიაშვილი, შვილი თეა, და ქეთინო, შვილიშვილები დათო, მიკა, ლევანი, რძალი ეკა კერესელიძე, სიძე ზაზა ჯვარშეიშვილი, გერმანე და ნანა ყოჩიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურმან კიკნაველიძე

პანაშვიდი 22, 23 X, 5 სთ. იოსელიანის ქ. №37; გამოსვენება 24 X, 3 სთ. საპატრიარქოს კარის ეკლესიიდან (საპატრიარქოს უკან).

მამია ზოდელავა, იელიანე თოდუა, გრამიტონ კვარაცხელია, გიორგი ნაჭყებია და არსენ გაგუა ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გობრონ ანდრონიკის ძე ჯოხთაბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის „ცოდნა“ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დიდ მწუხარებას გამოთქვამენ ინსტიტუტისადმი ამაგდარი პიროვნების

გობრონ ჯოხთაბერიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ანზორ კალმახელიძე, ფრიდონ გუნცაძე, გურამ გარაყანიძე, ნოდარ ბაქრაძე, დავით გეგეშიძე, ჯანგირ მამალაძე-ვლადიმერ სანიკიძე დიდ მწუხარებას გამოთქვამენ

გობრონ ჯოხთაბერიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

მიშა, ლიზა, ნანი თოდუები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გობრონ ჯოხთაბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსის

ცარო საბაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

გობრონ ჯოხთაბერიძე



მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **გობრონ ჯოხთაბერიძე**. გონების თვალს ვავლებთ რა მის მიერ განვლილ სასახელო გზას, კანონიერი სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ გობრონ ჯოხთაბერიძე ქართველი ხალხის საუკეთესო ტრადიციების ატმოსფეროში მისხალ-მისხალ ნაწრთობი მამულიშვილი იყო.

საგანგებოდ აღვნიშნავთ მის კაიკაცობასა და დიდბუნებოვნებას, იგი გულალალად, დაუზარელად მოსარჩლეობდა და ქომაგობდა მათ, რომლებსაც დახმარება და წახალისება სჭირდებოდათ. იგი იყო გაჭირვების ტალკვესი, ცხოვრების შუაგულში აქტიურად ტრიალმა, ხალხისათვის მუყაითად შრომამ და ღვთით მომადლებულმა ბუნებათნაზიარობამ მას დამსახურებულად მოუხვეჭა მაღალი და მყარი ავტორიტეტი.

საშუალო სკოლა დაამთავრა ხუთებზე, ხოლო 1947 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი. წლების განმავლობაში მუშაობდა რკინიგზის მშენებლობებზე და მოკრძალებული წვლილი შეიტანა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე ზუგდიდის, სენაკისა და ერევნის რკინიგზის სადგურების მშენებლობაზე, ინსტიტუტში მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად ახორციელებდა შრომის ფრონტზე, რისთვისაც მინიჭებული ჰქონდა რკინიგზელის საპატიო წოდება.

ბატონი გობრონი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა კომკავშირულ, პარტიულ, სამეურნეო სამუშაოებზე. იყო პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საოლქო კომიტეტის მრეწველობის, შემდეგ კი საორგანიზაციო განყოფილების გამგე, აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარე.

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ, სადაც კი მოღვაწეობდა, გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, შინაგანი კულტურით, ადამიანების მიმართ საოცარი გულისხმიერებით, სითბოთი, სიკეთით, ახასიათებდა იშვიათი პიროვნული თვისებები, შინაგანი კეთილშობილება, ქართული სიდარბაისლე, სულიერი სისპეტაკე, ჰქონდა განურისხებელი გული, ფენომენალური მეხსიერება, იყო უნიჭიერესი ორგანიზატორი, გააჩნდა საზოგადო მოღვაწის სიბრძნე, ხელმძღვანელობის იშვიათი უნარი, ორგანიზაციის პრობლემების განსჭვრეტის უტყუარი ალღო, საქმის ორგანიზების დიდი უნარი, ადამიანების, განსაკუთრებით თანამშრომლების მიმართ, განუსაზღვრელი ნდობა. აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს პროფსაბჭოს და საქართველოს ტურიზმის სამმართველოს, რომელსაც იგი თავკაცობდა ქვეყნის აღმშენებლობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით არაერთხელ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშებით.

მისი გონიერული ხელმძღვანელობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მიღებული ჰქონდა მთავრობის მაღალი ჯილდოები, საპატიო ნიშნის ორი, ხალხთა მეგობრობის ორდენები და მრავალი მედალი. ყოველივე ეს მიღწეული იყო დაუღალავი შრომის შედეგად. თანამშრომლებს ხიბლავდა მისი სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ბატონი გობრონი იყო პრინციპული პიროვნება, ავკაცობის მტერი, ნაღდი, ჭეშმარიტი მეგობარი.

ცხოვრებაში ბევრს გაუხსნა გზა, შეეშველა, მხარი დაუჭირა, იყო უაღრესად განათლებული, ფართო ერუდიციის მქონე ადამიანი, ჩინებული ორგანიზატორი. მისი აღზრდილებიდან ბევრი თვალსაჩინო სამეურნეო მოღვაწე, მეცნიერი, პრაქტიკოსია, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ და დღესაც ემსახურებიან ქვეყანასა და ხალხს.

ყოველთვის, სადაც კი მოღვაწეობდა ბატონი გობრონი, განსაკუთრებულ დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას, იგი მიაჩნდათ თაობათა შორის ურღვევი კავშირის მუდმივ მქადაგებლად და პრაქტიკულად საქმის განმხორციელებლად. ახასიათებდა მამაშვილობის, მიმტევებლობის, კეთილშობილების თვისებები, რითაც დაიმსახურა დიდი პატივისცემა და სიყვარული...

მსუბუქი იყოს, ბატონო გობრონ, ქართული მიწა, რომლის სიყვარული, ერის გაერთიანების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დარდი თან გაგყვათ.

განვიცდით, რომ მეტს ველარ შეგხედებით, ბატონო გობრონ, მეტს ველარ ვიხილავთ მარადიულობის სასუფეველში უკვდავად გადასულს, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენ საუკეთესო მაგალითად დარჩებით, სიტყვა მართალო, გულმართალო, სიკეთისა და სილამაზის მსახურო, ჩვენო ჭირფასო და ნაცადო მეგობარო. ვაგლახ, რა ადამიანი დავკარგეთ. განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა.

მეგობრებისა და ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ [illegible]

[illegible]

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის თანამშრომლები [illegible]

[illegible]

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

მაგთი MAGTI
GSM
უდიდესი
დაფარვა
ორი სიხშირე
900 1800
არჩევანი
საბონენტო
დამრგვალება
5 წმ-მდე
მონო ბარათი
საბონენტოს
გარეშე
უახლესი
ტექნოლოგია
ხარისხი
მაგთი MAGTI
GSM
მუდმივი კავშირის სამყარო

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოიცემა ჟურნალისტურ შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, გონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, გონდო მინდიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოგულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა –
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგამომცემლო კორპუსში, [illegible] 29